პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რ ე დ ა ქ ც ი ა
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 7 ივნისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 127 (1872)

დ ღ ი უ რ ი

- გაიხსნა შვეციის კომპარტიის ყრილობა.
- პრაღაში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი იმპერიალისტების პოლიტიკის წინააღმდეგ.
- გაიხსნა ინგლისის კოოპერატორთა კონგრესი.
- ეგვიპტეს მთავრობის პრესა მოითხოვს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლებას.
- ბერლინის პროლეტარიატი აღფრთოვანებით შეხვდა წითელ ფრონტელების საალლუმოდ ჩამოსვლას.
- გავრცელდა ხმები, რომ ჩან-ძო-ლინი სტოვებს პეკინს.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის

გაერთიანებულ პლენუმის

სხდომა გაიხსნება 1927 წ. 7 ივნისს, დღის 12 საათზე, სასახლის წითელ დარბაზში

---

10 ივნისს, საღამოს 6 საათზე,
საქართველოს სახკომსაბჭოს წითელ დარბაზში
შესდგება

საქ. კომ. პარ. (ბ) ცეკას მორიგი პლენუმი

საქ. კომ. პარ. (ბ) სამაზრო და საოლქო კომიტეტების მდივნებთან ერთად
საქ. კომ. პარ. (ბ) ცეკას მდივანი—ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს კომპარტიის (ბ)

თბილისის კომიტეტის პლენუმი

რომელიც 7 ივნისისათვის იყო დანიშნული, **გადადებულია** 9 ივნისისათვის, საღამოს 6 საათ.
თბილისის აღმასკომის დარბაზში
კომპარტიის (ბ) რაიკომების ბიუროების წევრთა, მსხვილი უჯრედების მდივნების და სადუქნე კომისიების რაიბიუროების ფრაქციის წევრთა დასწრება
სავალდებულოა.

ს. ა. ლ. კ. კ. ყველა ორგანიზაციის წევრებს

ს. ა. ლ. კ. კ. ც. კ. არ მიიღებს განცხადებებს სხვა და სხვა სკოლებში გაგზავნის შესახებ.

ადგილები დაეთმობა ადგილობრივ კომიტეტებს, სადაც შეტანილი უნდა იქნას განცხადებები.

ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას სასკოლო განყოფილება

ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა და სოციალ-დემოკრატია

კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელი პლენუმის რეზოლიუციებთან ერთად ჩინეთის რევოლიუციის საკითხზე და ამხ. ტროცკი'ა და ვუიოვიჩის გამოსვლის შესახებ ამ პლენუმზე, კვირის ნომერში ჩვენ მოვათავსეთ აგრეთვე კომინტერნის აღმასკომის თეზისები ომისა და ომის საფრთხის შესახებ. დღეს ჩვენ გვინდა შევჩერდეთ ამ თეზისებზე, კერძოდ მათ იმ ნაწილზე, რომელიც სოციალ - დემოკრატიას ეხება.

ყველამ იცის სოციალ - დემოკრატიის სამარცხვინო როლი 1914—18 წლის მსოფლიო ომში. ის „მშობლიურ" ბურჟუაზიას ამოუდგა გვერდში და მთელი თავისი, მაშინ კიდევ ძლიერი გავლენა გამოიყენა, რომ ერთი ქვეყნის მშრომელები მეორესათვის მიესია. ფეხქვეშ იქნა გათელილი ინტერნაციონალიზმის და პროლეტარული სოლიდარობის დროშა. რეფორმისტები თავიანთ ქვეყნების იმპერიალისტებს ეხმარებოდენ როგორც ომის იდეოლოგიურ გამართლებასა და პოპულიარიზაციაში, ისე მათ პრაქტიკულად ყოველნაირად უწყობდენ ხელს ამ ომის ძლევამოსილად წარმოებასა და დამთავრებაში. და თუ წარსულ მსოფლიო ომს არ მოჰყვა სოციალური რევოლიუცია, მუშათა კლასის შეიარაღებული აჯანყება კაპიტალისტური წესწყობილების დასამხობად, როგორც ეს ყოფ. რუსეთის იმპერიაში მოხდა, ამაში დიდი „დამსახურება" უეჭველად მეორე ინტერნაციონალს და მის პარტიებს მიუძღვით.

დღესაც, როცა ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის საფრთხე ასე საგრძნობია, საერთაშორისო სოციალ - დემოკრატია ისეთივე და უფრო მეტ გამცემლობას სჩადის. რომ ომის საფრთხე სერიოზულია, ეს ეჭვს გარეშეა. კაპიტალისტური ქვეყნის წინააღმდეგობანი უაღრესად გამწვავებულია. ისინი სულ უფრო აძლიერებენ შეიარაღებას და ემზადებიან ერთმანეთისათვის ბაზრების წასართმევად ან ახლების დასაპყრობად და კოლონიებისა თუ ნახევრად კოლონიებისათვის მონობის მუხრუჭის უფრო მოსაჭერად. კიდევ მეტი: არამც თუ ემზადებიან, იმპერიალისტები ფაქტიურად უკვე აწარმოებენ ომს ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ, რომელიც თავისი განთავისუფლებისათვის იბრძვის. ამავე დროს ინგლისის მთავრობამ გასწყვიტა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, რომლის წინააღმდეგ ერთიანი იმპერიალისტური ფრონტის შესაქმნელად ის ყოველ ღონეს ხმარობს. იტალია - სამხრეთ-სლავიის კონფლიქტი, რომელიც დროებით თითქო მინელდა, ისევ ატარებს ბალკანეთში ხანძარის გაჩაღების საშიშროებას. მრავალი სხვა ფაქტები მეტყველებენ, რომ მსოფლიო ომის საფრთხე მეტად რეალურია.

რას აკეთებს ამ დროს სოციალ - დემოკრატია? პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ის ცდილობს ამ საშიშროების მიფუჩეჩებას. ის თვალთმაქცურად არწმუნებს მასებს, რომ თითქო კაცობრიობა შევიდა ახალ ხანაში, ზეიმპერიალიზმის, კაპიტალიზმის პირობებში წინააღმდეგობათა დაძლევის და მშვიდობიანი თანამშრომლობის განხორციელების ხანაში. ამ დებულების დასამტკიცებლად სოციალ - შემთანხმებელნი ყოველ ხავსს ეკიდებიან. არის ეს ამერიკელ ბანკირების ცნობილი მანიფესტი ვაჭრობის თავისუფლების შესახებ, ლაყბობა განიარაღებაზე, ეკონომიური კონფერენცია, ერთა ლიგის „მუშაობა" თუ სხვა რამ, რეფორმისტები მორთავენ ყვირილს, თითქო ყველაფერი ეს მათი ახალი „თეორიის" დამადასტურებელი იყოს. ამ გზით ისინი აძინებენ მშრომელ მასების სიფხიზლეს და აძნელებენ მომავალი ომის შესახვედრად ამ მასების მომზადების საქმეს.

ხანდახან ისინი, უფრო მათი „მემარცხენე" ჯგუფები, რომ შეინარჩუნონ თავისი გავლენა მუშათა კლასზე, მიმართავენ ბუნდოვან და ზოგად „სიტყვიერებას" ომის საფრთხესთან ბრძოლის შესახებ, მაგრამ პრაქტიკულად, რა თქმა უნდა, თითსაც არ სძრავენ მშრომელ მასების დასარაზმავად ომის წინააღმდეგ და თუ ის დაიწყო, ცხადია, სოციალ - დემოკრატები განიმეორებენ იმ მოღალატურ როლს, რომელიც მათ შეასრულეს 1914 წ.

და რომ ეს ასე იქნება, ამას მჭერმეტყველურად მოწმობს რეფორმისტების დამოკიდებულება იმპერიალისტურ ინტერვენციისადმი ჩინეთში. მეორე ინტერნაციონალის პარტიები პირველ ყოვლისა „უხალისოდ" ეკიდებიან ჩინეთის რევოლიუციის საკითხს, რომელსაც მათი „მუშაობის" დღის წესრიგში ერთი უკანასკნელი ადგილთაგანი უკავია. საქმე ის არის, რომ ამით მათ სურთ ევროპის მასების ყურადღება ჩამოაშორონ ჩინეთის ამბებს და იმპერიალისტებს გაუადვილონ ჩინეთის მებრძოლი ხალხის გატეხა. კიდევ მეტი: მაკდონალდები იწონებენ კონსერვატორების მთავრობის მიერ ჯარების გაგზავნას ჩინეთში „ინგლისელ მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად".

უფრო საძაგელია სოციალ - დემოკრატიის დამოკიდებულება იმპერიალისტების მტრული დამოკიდებულებისადმი საბჭოთა კავშირის მიმართ. მისი ხელმძღვანელები და პრესა საბჭოთა წყობილებას მასებს უხატავენ შავი ფერებით, ავრცელებენ ჭორებს საბჭოთა მთავრობის „წითელ იმპერიალიზმზე", რომ გააქარწყლონ ევროპის მუშათა კლასის აქტიური სიმპატია მუშურ - გლეხურ სახელმწიფოსადმი და იდეოლოგიური ნიადაგი მოამზადონ იმპერიალისტების გამოლაშქრებისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. რეფორმისტები ჩემბერლენების მოკავშირეებად გამოდიან.

ასეთია სოციალ - დემოკრატიის ზედა წრეების „მოღვაწეობა". კომუნისტების უპირველეს ამოცანას შეადგენს სოციალ - დემოკრატების დაუზოგავი მხილება ერთი მხრით, ხოლო მუშაობის გაძლიერება მომავალი ომის წინააღმდეგ მასების რევოლიუციონური დარაზმვისათვის — მეორე მხრით. დღეს ადვილი არ არის დასავლეთის მუშათა კლასის გამოყენება იმპერიალისტური ომის ბრმა იარაღად. ამისთვის მან 1914 წ. შემდეგ საკმაო გაკვეთილები მიიღო, მისი კლასობრივი შეგნება გაიზარდა. ევროპის მასების ამხედრება კერძოდ საბჭოთა კავშირის და ჩინეთის წინააღმდეგ მეტად ძნელი საქმეა. და ეს პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ვერავინ დაარწმუნებს მათ, რომ, ეს ორი ქვეყანა თავდამსხმელი მხარე იყოს და აქ „სამშობლოს დაცვის" გახუნებული ლოზუნგი ვერ იქნება დამაჯერებელი, ლოზუნგი, რომელიც რეფორმისტებმა წარსულ ომში წამოისროლეს. დასავლეთის კომპარტიებმა ფართედ უნდა განუმარტონ მასებს ჩინეთის რევოლიუციის მიზნები და ანტი-საბჭოთა კამპანიის შინაარსი, რაც უეჭველად გააძლიერებს ევროპის მუშათა კლასის ბრძოლას საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის დასაცავად და საერთოდ ომის საფრთხის ასაცილებლად.

რა თქმა უნდა, მარტო აგიტაცია არ არის საკმარისი. საჭიროა ენერგიული პრაქტიკული მუშაობა, რათა მსოფლიო ომის დაწყების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება და შეიარაღებულ აჯანყების მოწყობა კაპიტალიზმის დასამხობად, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის.

კომინტერნის აღმასკომმა თავის თეზისებში გარკვევით დასახა ომის საფრთხესთან დაკავშირებით კომპარტიების წინაშე მდგარი ამოცანები და ის კონკრეტიული ღონისძიებანი, რომელთა გატარება აუცილებელია ამ ამოცანების გადასაჭრელად. ამ თეზისების შეთვისება მასების მიერ და მათ საფუძველზე მუშაობის გაჩაღება — ასეთია კომპარტიების რევოლიუციონურ ბრძოლის [illegible] აზრი და ლოზუნგი.

გლეხობის მომარაგება სასოფლო-სამეურნეო იარაღებით

„სოფლის კავშირმა" მიმდინარე წელში თავის ძირითადი ქსელის საშუალებით მიაწოდა გლეხობას 73.000 ფუთი შაბიამანი, 33.000 ფ. გოგირდი, 3000 ვენახის სასხურებელი მანქანა, 520 გუთანი, 400 კულტივატორი და აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები და რკინეულობა. გარდა ამისა მან დაუკვეთა „ზაკსელმაშ"-ს 31 ტრაქტორი, მაგრამ მათი მიღება დაგვიანდა და ჯერ-ჯერობით მხოლოდ 9 ტრაქტორია გლეხობისათვის მიწოდებული. სულ მთელი საქართველოსათვის, ავტონომიური რესპუბლიკების გამოკლებით, „სოფლის კავშირს" განზრახული ჰქონდა არა ნაკლებ 800.000 მანეთად ღირებული იარაღ-მანქანების და საწამლო მასალის დარიგება; ამ გეგმის დიდი ნაწილი უკვე შესრულებულია.

აღსანიშნავია, რომ თუმცა „სოფლის კავშირი"-ს ძირითადი ამხანაგობების საშუალებით დარიგებულ იქნა 73.000 ფ. შაბიამანი და 10.000 ფუთიც წარსული წლიდან იყო შემონახული, მაგრამ მოთხოვნილება შაბიამანზე მაინც ვერ იქნა მთლიანად დაკმაყოფილებული. მიწათმოქმედების კომისარიატის წინასწარი ცნობებით კი საკმარისი უნდა ყოფილიყო 80.000 ფუთი შაბიამანი. არ აღმოჩნდა საკმარისი აგრეთვე 3.000 ვენახის სასხურებელი მანქანა; მათზე მოთხოვნილება უკანასკნელ ხანებში საკმაოთ გაიზარდა და ის ნაწილობრივ კმაყოფილდება უშუალოდ რუსეთის ტრესტების საშუალებით.

საერთოდ ძნელია მანქანა-იარაღების და საწამლო მასალის საჭირო რაოდენობის წინასწარ სისწორით განსაზღვრა. განსაკუთრებით ძნელი იყო ეს ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ახალი ცენტრისათვის, რომელსაც ამ მხრივ წარსული გამოცდილება სრულებით არ მოეპოვებოდა. მეტად რთული საქმეა აგრეთვე მანქანა-იარაღების შერჩევა სხვადასხვა რაიონებისათვის. ჩვენი ქვეყნის ბუნების და ნიადაგის სხვადასხვაობა შეუძლებლად ხდის ყველა რაიონებში ერთი და იმავე ტიპის მანქანის გავრცელებას. ეს ითქმის არა მარტო ტრაქტორებზე, რომელთა გამოყენებაც ჩვენში სრულებით ახალი საქმეა, არამედ აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესახებაც, როგორიცაა, მაგალითად, სხვადასხვა სისტემის გუთნები.

ადგილობრივი პირობების მიხედვით მანქანა-იარაღების შერჩევის და გამოყენების საქმეში ჯერ კიდევ დიდი მუშაობის გაწევა მოუხდება აგრონომიულ პერსონალს, რომელმაც თავისი დაკვირვებით და ცოდნა-გამოცდილებით ფართო დახმარება უნდა გაუწიოს კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობას. როგორც ცენტრში, ისე რაიონებში მომუშავე აგრონომებმა პასუხისმგებლობის სრული შეგნებით უნდა მოჰკიდონ ხელი ისეთი რთული ამოცანის გადაჭრას, როგორიცაა ჩვენი გლეხობის მომარაგება გამოსადეგ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით და მისი მომზადება მათი გამოყენებისა და ხმარებისათვის.

არის შემთხვევები, როდესაც რაიონში გადაგზავნილი გუთანი ფუჭდება მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სხვადასხვა ნაწილები სწორათ ვერ ააწყვეს. თუ ასეთი მაგალითები ხდება გუთნის გამოყენების დროს, მით უმეტეს მოსალოდნელია ეს უფრო რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების ხმარების დროს. მანქანის სულ უმნიშვნელო ნაწილიც რომ გაფუჭდეს, მისი შეკეთება ან გამოცვლა ადგილებზე არ ხერხდება და საჭირო ხდება ცენტრში მიმართვა. ამიტომ აუცილებელია მთავარ პროვინციალურ პუნქტებში მაინც სარემონტო სახელოსნოების მოწყობა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ჯერ-ჯერობით ვერ შესძლებს ამ საქმის მოგვარებას და ის უნდა იკისროს მიწათმოქმედების კომისარიატმა.

დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო იარაღების ფასებს და ზედნადები ხარჯების ყოველგვარ შემცირებას. მთავრობის დადგენილებით, მანქანა-იარაღების მიწოდებამ ქარხნიდან მის მომხმარებლამდე უნდა გაიაროს არა უმეტეს სამი საფეხურისა და ორი საწყობისა. ჩვენში ეს საქმე ასე ხდება: მანქანა-იარაღებს ღებულობს „ზაკსელმაში" და თავის საწყობიდან „სოფლის კავშირი"-ს დაკვეთით უგზავნის პირდაპირ სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო ამხანაგობებს, რომლებიც თავის საწყობებიდან მათ ანაწილებენ გლეხობაში.

ამხანაგობები ნაღდათ იხდიან საქონლის ღირებულების 25 პროცენტს, დანარჩენი 75 პროცენტს კრედიტად იძლევა სხვადასხვა ვადებით სასოფლო-სამეურნეო ბანკი, რომლის წინაშეც პასუხისმგებელია ძირითადი ამხანაგობა. გლეხობა ყოველთვის თავის დროზე არ უსწორებს ანგარიშს თავის ამხანაგობებს და ამიტომ ეს უკანასკნელნი ხშირათ კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ამ მიზეზით კოოპერატიული ამხანაგობები ხშირათ ზედმეტ სიფთხილესაც იჩენენ მანქანა-იარაღების და აგრეთვე საწამლო მასალის შეძენის დროს, ამიტომ აუცილებელია, რათა გლეხობამ წინდაწინვე მისცეს დაკვეთა თავის ამხანაგობას და უზრუნველჰყოს მისი ღირებულების გადახდა. თავის მხრივ ამხანაგობებმაც არ უნდა დააგვიანონ ამ დაკვეთების დროით გადმოგზავნა „სოფლის კავშირში". მხოლოდ ამ გზით შეიძლება სოფლის მეურნეობისთვის საჭირო მანქანა-იარაღების და აგრეთვე სხვა საქონლის გეგმიანი მიწოდების უზრუნველყოფა.

ი. ბუაჩიძე.

გაზეთების მიმოხილვა

საბჭოთა პრესა

გაცრუებული იმედი

ინგლისელი იმპერიალისტები როცა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას სწყვეტდენ, მოელოდენ, რომ საზოგადოებრივი აზრი მათ თანაგრძნობით და მოწონებით უპასუხებდა, როგორც „კულტურის დამცველს" მუშურ-გლეხურ მთავრობის „დამანგრეველ მუშაობიდან". ამასთან, მათი მიზანი იყო დანარჩენ ქვეყნებზე ზეგავლენის მოხდენა ჩვენთან ეკონომიურ და დიპლომატიურ ურთიერთობის შესაწყვეტად. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს მოლოდინი არ გამართლდა. ცოტად თუ ბევრად პროგრესიული და საქმიანი წრეები ჩემბერლენის ნაბიჯს უარყოფითად შეხვდენ. „იზვესტია" ეხება კონსერვატორების იმედების ამ გაცრუებას და სწერს:

„იქ, სადაც პრესას უხდებოდა ფართე საზოგადოებრივი წრის ნამდვილი სულიერ განწყობილებასთან ანგარიშის გაწევა, სადაც სამეურნეო და პოლიტიკური ჯგუფები ყოველმხრივ არიან დაინტერესებული მსოფლიო ომის შედეგების რაც შეიძლება მალე და უმტკივნეულოდ აღმოფხვრაში და სადაც ამიტომ განსაკუთრებით მწვავე ხდება არსებულ ურთიერთობათა სულ მცირე შერყევა,—ამ ქვეყნებში ბრიტანეთის მთავრობა წააწყდა მისთვის სრულიად მოულოდნელ მდგომარეობას. საბჭოთა კავშირის მიმართ ბრიტანეთის პოლიტიკის პროვოკაციულ მოქმედების მოწონების მაგივრად, ბრიტანელ მინისტრების ფალსიფიკატორულ მუშაობის და მათი უხეში სოფისტიკის ქების მაგივრად, — ამ ქვეყნებში მკაფიოთ გაისმა ხმა, რომელიც აშკარად კიცხავს კონსერვატიულ მთავრობის გაუმართლებელ ღონისძიებებს. ამ ხმას ოდნავადაც არ შეუძლია ინგლისელ კონსერვატორებს შეუქმნას ილუზია, თითქო მათ მოწოდებას საბჭოთა კავშირისათვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ დიდებითი გამოხმაურება გამოეწვიოს მსოფლიოს ხელმძღვანელ ქვეყნების პროგრესიულ წრეებში, რომელნიც ჩვენთან ნორმალურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან.

კიდევ მეტი: ინგლისის ოფენზივამ თანაგრძნობა ვერ დაიმსახურა იმ საქმიან ჯგუფებშიც კი, რომელთაც,—თუმცა მათთვის სრულიად უცხოა საბჭოთა იდეოლოგია,—მაინც ესმით მსოფლიოს ეკონომიკაში საბჭოთა კავშირის მოზიდვის მთელი მნიშვნელობა".

შუბლმაგართა პროვოკაციული ანტისაბჭოთა პოლიტიკის მორალური დამარცხება აშკარაა. მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს „იზვესტია", ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ძველებური ჯიუტობით არ განაგრძობენ ანტი საბჭოთა ბლოკის შექმნის ცდას. ამიტომ გაძლიერებული მუშაობა ქვეყნის თავდაცვის უნარის განსამტკიცებლად და მეურნეობის განსავითარებლად ასეთია ის ამოცანა, რომელსაც ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა გვიკარნახებს.

უცხოეთის პრესა

საფრანგეთი და საბჭოთა კავშირი

ინგლისის კონსერვატიული მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის მეორე დღესვე შეიქნა ლაპარაკი ინგლისის ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებში იმ პოზიციის შესახებ, რომელსაც დაადგებოდა საფრანგეთი ამ ამბავის შემდეგ. გამოსთქვამდნენ აზრს რომ საფრანგეთი გაჰყვებოდა ინგლისის „გზას". თითქოს ამის საპასუხოდ გაზეთი „ტან", ორგანო საფრანგეთის საგარეო სამინისტროსი ათავსებს წერილს, სადაც ლაპარაკობს შემდეგს (25 მაისის ნომერი):

„საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ინგლისის მეფესთან ვიზიტის მეორე დღესვე, მას შემდეგ, რაც ბრიანს ხეირთო საუბარი ჰქონდა სერ ოსტინ ჩემბერლენთან ფორეინ ოფისში (ინგლისის საგარეო სამინისტრო) და დადასტურდა ინგლის-საფრანგეთის თანხმობის განმტკიცება—ამ ფაქტიდან იმ დასკვნის გაკეთება სურდათ, თითქოს ამიერიდან პარიზის კაბინეტს მოსპობილი აქვს ლონდონის მთავრობის მიერ მოქმედების თავისუფლება მოსკოვის მიმართ. ცხადია, რომ ყველა სახელმწიფოები თანახმა არიან ებრძოლონ კომუნისტურ პარტიებს, რომელთა მიზანია ამ სახელმწიფოების ნაციონალური და სოციალური დარღვევა და კომუნიზმის გამარჯვება მსოფლიო რევოლიუციის მომზადებით, მაგრამ რაც შეეხება ჩვენ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირთან, ისე როგორც სხვა სახელმწიფოებთანაც, საფრანგეთის პოლიტიკა დამოუკიდებელია რომელიმე სხვა სახელმწიფოს პოლიტიკისაგან და ხელმძღვანელობს მხოლოდ და მხოლოდ (და ეს ასეც უნდა იყოს) მარტო საფრანგეთის ინტერესებით. საფრანგეთ - ინგლისის გულითადი შეთანხმება საკმაოდ მოქნილია (და სწორედ ეს მოქნილობა შეადგენს მის ძალას), რომ მან არავითარ შემთხვევაში არ შებორკოს ორივე სახელმწიფოს მოქმედება, რომელიც [illegible] თანახმად სრული მათი სუვერენული თავისუფლებისა".

⁂

„ევროპის სახელმწიფო მოღვაწეების უნიჭობა"

ასე ახასიათებს ევროპის სახელმწიფოების მეთაურებს ავსტრიის გავლენიანი გაზეთი „ნოიე ფრაიე პრესსე", რომელიც მეთაურ წერილს უძღვნის ინგლის - საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტის საკითხს. ის სწერს (26 მაისის ნომერი) შემდეგს:

„ცხადია, რომ სისხლით დაცლილ ევროპისათვის, რომელიც დიდი ვაივაგლახით ცდილობს ფეხზე წამოდგომას, ფრიად სამძიმოა სამეურნეო კავშირის გაწყვეტა საბჭოთა რუსეთთან, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ბაზარს და დიდ პერსპექტივებს შლის ევროპის მრეწველებისათვის. თუმცა ცხადია, რომ ომის საშიშროება არ გვიდგას წინ, რადგან ინგლისი არ არის იმის გუნებაზე, რომ გაიმეოროს [illegible] და სხვა [illegible] ვებული სამეურნეო დამოკიდებულება უკვე თავისთავად ქმნის მძიმე მდგომარეობას. ეს ომის მსგავსი მდგომარეობა რვა წლის შემდეგ მსოფლიო ომის დამთავრებიდან, წარმოადგენს ჩვენი დროის სახელმწიფო მოღვაწეთა უნიჭობის სამწუხარო ფაქტს. ეს უნიჭობა იმაში გამოიხატება, რომ მათ ვერ გადასჭრეს არსებული ამოცანები, ვერ გამოიყვანეს მსოფლიო დღევანდელი ქაოსიდან".

რასაკვირველია, აქ საქმე მარტო იმდენად უნიჭობაში არ არის, რამდენადაც იმაში, რომ ბურჟუაზიას, თვით თავისი სოციალური ბუნებით არ ძალუძს დააღწიოს თავი ამ ქაოსს, რომლის ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ თვით ბურჟუაზიული წესწყობილების ლიკვიდაციით.

ამერიკის ბანკირებს სურთ კრედიტების გაფართოება საბჭოთა კავშირისათვის

უთანხმოება ჩან-ძო-ლინის შტაბში.—პანიკა პეკინში

გერმანიის წითელ-ფრონტელების აღლუმი ბერლინში

კრედიტები საბჭოთა კავშირისათვის

ნიუ-იორკი, 5 ივნისი. „ჯორნალ ოფ კომერს", იმ საუბრების მიხედვით, რომელიც მის თანამშრომლებს ჰქონდათ ზოგიერთ ბანკირებთან, სწერს: **ბანკირების წრეებში იხილავენ საკითხს, რომ საბჭოთა კავშირს გაუდიდოეს კრედიტები, რაც ხელს შეუწყობს ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის განვითარებას და გაფართოებას. ამერიკის ფინანსიურ-სამრეწველო წრეებში ფიქრობენ, რომ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.**

„ამტორგის" თავმჯდომარემ ბრონმა, პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ მისი აზრით, მოსალოდნელია ამერიკა-საბჭოთა ვაჭრობის გაფართოება. ბრონმა დასძინა, რომ „ამტორგმა" უკვე მიიღო ხელსაყრელი წინადადებები, რომ ჩ. ამერიკის შეერთ. შტატებში იქნეს დაკვეთილი ის საქონელი, რომელსაც საბჭოთა კავშირი წინედ ინგლისიდან იღებდა. (ადს).

ჩიჩერინის და შტრეზემანის შეხვედრა

შტრეზემანის შუამავლობა

ბერლინი, 5 ივნისი. გერმანიის პრესის ცნობით, ფიქრობენ, რომ შტრეზემანი, რომელიც ჩიჩერინთან შეხვედრის შემდეგ ჟენევაში გაემგზავრება ერთა ლიგის თათბირზე, მოახერხებს ჩემბერლენთან ერთად განიხილოს სადაო საკითხები ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის. (ადს).

პრესის გამოძახილი

ბერლინი, 5 ივნისი. „ბერლინერ ტაგებლატი" იუწყება, რომ შტრეზემანის შეხვედრა ჩიჩერინთან მოხდება 6 ივნისს ბადენ-ბადენში.

გაზეთი, ისე როგორც დანარჩენი პრესა, კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ცნობა მომავალი შეხვედრის შესახებ მიღებულ იქნა რუსული წყაროებიდან.

„ახლა, სწერს გაზეთი, შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ, ვინაიდან ამ მომავალმა შეხვედრამ უმისოდაც წარმოშვა ზოგიერთ წრეებში ისეთი შთაბეჭდილება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ეჭვი, რომ გერმანია ნეიტრალიტეტს იცავს ინგლის-საბჭოთა კონფლიქტში. ხმებს, რომ ვითომც ჩიჩერინს განზრახვა აქვს შეეხოს საკითხს გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირისათვის ახალი კრედიტების მიცემის შესახებ, გაზეთი დაუსაბუთებლად სთვლის, ვინაიდან გერმანიას „წმინდა ფინანსიური მოსაზრების მიხედვით არ შეუძლია ამჟამად აწარმოოს მოლაპარაკება ამის შესახებ".

გაზეთი დასასრულ აღნიშნავს, რომ ყოველგვარი პოლიტიკური ვერსიები მომავალი შეხვედრის შესახებ „სინამდვილის საზღვარს სცილდება".

გაზეთის სიტყვით, შტრეზემანს განზრახვა აქვს ჩიჩერინთან საუბარში ხაზგასმით აღნიშნოს, რომ გერმანია მტკიცედ დაიცავს ნეიტრალიტეტს.

„ტეგლიშე რუნდშაუ" (შტრეზემანის ორგანო) ხაზს უსვამს, რომ გერმანიის საზოგადოებრივობის სხვადასხვა წარმომადგენლების მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით, გერმანიის განცხადების ძირითადი მომენტი შტრეზემანისა და ჩიჩერინის მოლაპარაკების დროს იქნება ის, რომ გერმანია უეჭველად დაიცავს ნეიტრალიტეტს ლოკარნოს და ბერლინის ხელშეკრულებათა საფუძველზე. (ადს).

ურთიერთობის ჩაშლის შემდეგ

ინგლისის კონსულის გამგზავრება.

ვლადივოსტოკი, 6 ივნისი. 5 ივნისს ინგლისის კონსული ვლადივოსტოკში პეტონი ინგლისური გემით გაემგზავრა მანილაში (ადს).

ბირკენჰედის განცხადება

ლონდონი, 5 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, ბირკენჰედმა, ლესტერში წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა, რომ ურთიერთობის შეწყვეტას საბჭოთა კავშირთან არ შეიძლება ექნეს მუდმივი ხასიათი. თუ მოსკოვი, „ხელს აიღებს მსოფლიო რევოლიუციის მოხდენის გეგმაზე და ბრიტანეთის იმპერიას თავს დაანებებს. (ადს).

სიხარული, რომელიც სანანებელი გახდება

ლონდონი, 5 ივნისი. „მორნინგ პოსტი", უკეთებს რა კომენტარიებს როზენგოლცის გამგზავრებას და გამოსათხოვარ სცენას სადგურზე, განსაკუთრებით მკაცრად ილაშქრებს ჰენდერსონის წინააღმდეგ იმის გამო, რომ მან მონაწილეობა მიიღო როზენგოლცის გაცილებაში.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ როზენგოლცის უკანასკნელ განცხადებას პრესის წარმომადგენლებისადმი „თავხედური ხასიათი ჰქონდა".

„ჩვენ მოხარული ვართ,—სწერს გაზეთი,—დავინახოთ აქ როზენგოლცის ზურგი და უფრო უკეთესად მივაჩნია, რომ მასთან ნაცნობობა არ გვექნეს". (ადს).

ლენინგრადი, 6 ივნისი. ინგლისის ნაოსნობის („ლოიდ-რეგისტრ") ზედამხედველობის წარმომადგენელმა ლენინგრადში გელერმა აღნიშნა, რომ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტა გავლენას არ იქონიებს „ლოიდის" მუშაობაზე, რომლის ექსპერტები განაგრძობენ ზედამხედველობას საბჭოთა გემების აგებასა და გამოცდაზე (ადს).

წითელ ფრონტელების აღლუმი

აღლუმის წინ

ბერლინის მუშების მისალმება

ბერლინი, 5 ივნისი. 3 ივნისს პროლეტარიატი მიესალმა ახალგაზრდა წითელ ფრონტელების კავშირს.

სპორტის სასახლის უზარმაზარი შენობა გავსებული იყო ხალხით.

ნორჩ პიონერთა, ახალგაზრდათა კავშირის და კომკავშირის გამოსვლას მხურვალე ტაშით შეხვდენ.

საფრანგეთის ანტიფაშისტური ახალგაზრდობის დელეგაციას ოვაციები მოუწყვეს.

ფრონტელების წითელი კავშირის თავმჯდომარემ ლეოვმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც იგი მოუწოდებდა, რომ საბჭოთა კავშირის ირგვლივ აღმართულ უნდა იქნას ფოლადის კედელი.

საფრანგეთის ანტიფაშისტური ახალგაზრდობის გვარდიის წარმომადგენლების გამოსვლას ტრიბუნაზე „ინტერნაციონალის" სიმღერით შეხვდენ.

ჩინეთის კომკავშირის წარმომადგენლებმა, რომელსაც ოვაციებით შეხვდენ, ჩინეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლთა სახელით გერმანიის წითელ ახალგაზრდობას გადასცა სალამი.

შემდეგ წითელი ფიცი მიიღო კავშირის ბერლინის ორგანიზაციის 300 ახალმა წევრმა. (ადს).

ჟურნალისტები წითელ ფრონტელებთან

ბერლინი, 5 ივნისი. წითელ ფრონტელების კავშირის პრეზიდიუმმა მიიღო ჟურნალისტები, რომელთაც გააცნო მომავალ აღლუმის მიზნები და ამოცანები.

პრეზიდიუმის აზრით, პროვინციებიდან ჩამოვიდა კავშირის ასი ათასამდე წევრი (ადს).

აღლუმში მონაწილეთა ჩამოსვლა

ბერლინი, 5 ივნისი. 4 ივნისს ბერლინში ჩამოვიდა 30 სპეციალური მატარებელი, დატვირთული წითელ ფრონტელების კავშირის აღლუმის მონაწილეებით. დანარჩენ მატარებლებს მოელიან.

აღლუმის მონაწილეების საქსონიიდან გამომგზავრებამ საგრძნობი მასიური დემონსტრაციის ხასიათი მიიღო. ხემნიცში აღლუმის მონაწილეთა გამომგზავრების დროს გაიმართა დიდი მიტინგი, რომელსაც 25 ათასამდე კაცი დაესწრო. (ადს).

კომპარტიის მოწოდება

ბერლინი, 5 ივნისი. გერმანიის კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა მოწოდება წითელ ფრონტელების კავშირის აღლუმის გამო. მოწოდებაში ნათქვამია, რომ წითელ ფრონტელების კავშირს და მის მიერ გაერთიანებულ ახალგაზრდობას თავისი მოვალეობის შესრულება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრძოლას განავითარებენ ლენინიზმის პრინციპის მიხედვით და მჭიდროთ დაუკავშირდებიან კომპარტიას.

„გერმანიის მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის,—ნათქვამია მოწოდებაში,—აუცილებელია საბჭოთა კავშირის თავდაცვის გაძლიერება. ჩადექით კომინტერნის ერთადერთ რევოლიუციონურ პარტიის რიგებში, კომპარტიის და კომკავშირის რიგებში". (ადს).

გრანდიოზული სანახაობა

ბერლინი, 6 ივნისი. „წითელ ფრონტელების" სრულიად გერმანიის კავშირის აღლუმი დაიწყო გუშინ. აღლუმი გაიხსნა მასიურ მსვლელობით, რომლის მგზავსი გერმანიას არ ახსოვს განსვენებულ ლიბკნეხტის ხელმძღვანელობით ჩატარებულ დემონსტრაციების შემდეგ. ბერლინში გერმანიის ყველა რაიონებიდან ჩამოვიდა ნავარაუდევზე გაცილებით მეტი ფრონტელი. შაბათს ბერლინის უდიდეს დარბაზებში შესდგა რევოლიუციონური კრებები, რომლებზედაც წითელ ფრონტელთა ბერლინის განყოფილებების და კომპარტ. რაიონულ კომიტეტების წარმომადგენლები იღებდენ სტუმრებს. კვირას ბერლინის მუშათა რაიონში არ იყო წითელი დროშით მოურთველი თითქმის არცერთი ქუჩა. ბევრ სახლში ყველა სართულები მორთული იყო წითელი ტილოებით და პლაკატებით, რომლებზედაც წარწერილი იყო მისალმებები წითელ ფრონტელების მიმართ. მრავალ ქუჩებზე გადაჭიმულია წითელი ტილოები ლოზუნგებით: „იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირთან—მთელი ქვეყნის მუშათა კლასის სამშობლოსთან სოლიდარობისკენ". „სიკვდილი ფაშისტებს, ბერლინი კვლავ წითელია". დილის დაახლოებით 11 საათზე ცალ-ცალკე კოლონიები დაიძრნენ შეკრების ადგილისაკენ ბერლინის სამ ყველაზე დიდი მოედნებისაკენ. მასიურმა დემონსტრაციამ, რომელიც შეკრების უმთავრეს პუნქტში ლიუსტგარტენში მოეწყო ისეთი გრანდიოზული სახე მიიღო, როგორიც იშვიათად უნახავს ბერლინს. განსაკუთრებით მხურვალეთ ესალმებოდა შეკრებილი ხალხი წითელ მეზღვაურებს. მსვლელობამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო აგრეთვე ტირგარტენშიაც. (ადს)

ჩან-ძო-ლინის არმიის გახრწნა

განხეთქილება მუკდენის არმიაში

შანხაი, 6 ივნისი. იაპონიის სააგენტო ტოხო იტყობინება: „მუკდენის არმია გაიყო ორ ჯგუფად: ხეილუნც-ზიანის დუბანი გენერალი უ-ცზუნ-შენი მოითხოვს ჯარების გაყვანას ჩინეთის დიდი კედლის შიგნით იმ მიზნით, რომ მანჯურიაში დაცული იქნეს მშვიდობიანობა და წესრიგი. მეორე ჯგუფი კი გენერალ იან-იუ-ტინის მეთაურობით მოითხოვს მუკდენის არმიის სტატუს-ქვოს შენარჩუნებას ჩან-კაი-შისთან და ენ-სი-შანთან კომპრომისის მიღწევების გზით. თუმცა, როგორც სჩანს არცერთ ჯგუფს არ სურს ერთმანეთთან დათმობაზე წასვლა, მაგრამ ორივე თანახმაა, რომ ჩან-ძო-ლინმა თავი დაანებოს სახელმწიფო მუშაობას. ამავე დროს იტყობინებიან ჩან ძო-ლინის საწინააღმდეგო გადატრიალების შესაძლებლობის შესახებ მანჯურიაში.

მემარჯვენე გომინდანის ორგანო „ჩაინა კურიერ" ფიქრობს, რომ ჩან-ძოლინს მუკდენის ჯგუფის მეთაურობას მალე ჩამოართმევს იან-იუ-ტინი.

„როგორც იტყობინებიან—სწერს გაზეთი—ასეთ გადატრიალებას მხარს დაუჭერენ მუკდენის ჯგუფის უფრო ახალგაზრდა წრეები, აგრეთვე იაპონელი კომერსანტები მანჯურიაში, ვინაიდან იან-იუ-ტინი ცნობილია, როგორც იაპონოფილი". (ადს)

გენერლები წაიჩხუბენ

შანხაი, 5 ივნისი. **ჩინეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ სერიოზული უთანხმოება ჩამოვარდა ჩან-ძო-ლინსა და ჩან-ცზუნ-ჩანს შორის.** გაზეთები ამ უთანხმოებას ხსნიან მით, რომ ჩან-ცზუნ-ჩანი უკანასკნელ დამარცხების შემდეგ არავითარ სამხედრო ძალას არ წარმოადგენს და აღარაფრად ესაჭიროება ჩან-ძო-ლინს. ჩან-ძო-ლინი ყურადღებას არ აქცევს ჩან-ცზუნ-ჩანს, რომელიც მას დახმარებას სთხოვს. (ადს).

ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ

შანხაი, 5 ივნისი. იაპონიის სააგენტო „ტოხო" იტყობინება, რომ **ენ-სი-შანმა შან-სის პროვინციის მმართველმა, გადასწყვიტა ჩრდილოელების წინააღმდეგ გამოსვლა.** სააგენტო აცხადებს, რომ **შან-სის პროვინციის 20.000 ჯარისკაცი გომინდანის დროშებით მიემართება კალგანისაკენ მუკდენის ჯარებზე იერიშის მისატანად.** ენ-სი-შანის არმიის მთავარ ძალების მეორე ჯგუფი მიდის ში-ცზია-ჩუანისის მიმართულებით. (ადს).

მდგომარეობა პეკინში

შანხაი, 5 ივნისი. ნორდ ჩაინა სტანდარტ"-ის ცნობით, **პეკინში დიდი მღელვარებაა. უცხოელები ზომებს ღებულობენ, რომ უეცარ შემოტევის შემთხვევაში საელჩოების უბანში გადავიდენ. ქალაქის კარებს მუკდენელების გაძლიერებული რაზმები იცავენ.** (ადს).

მუკდენი და ნანკინი

პეკინი, 5 ივნისი. „ნორდ ჩაინა სტანდარტ"-ის ცნობით, **მუკდენსა და ნანკინს შორის სწარმოებს მოლაპარაკება ზავის ჩამოგდების შესახებ.** გაზეთი იტყობინება, რომ ჩან-ძო-ლინი შეიძლება დათანხმდეს იმაზე, რომ შუამავლის როლი იკისროს ენ-სი-შანმა. (ადს).

ჩინელების პროტესტი

შანხაი, 5 ივნისი. **შანხაიში ჩინელების საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და სავაჭრო ორგანიზაციებს გამოაქვთ საპროტესტო რეზოლიუციები** იმის გამო, რომ სასამართლომ გაამართლა ინგლისელი ჯარისკაცი, რომელსაც ბრალად ედებოდა ჩინელი ქალის გაუპატიურება.

იმის გამო, რომ ჩინეთში არსებობს უცხოელების ექსტერიტორიალობის უფლებები, ნათქვამია ვექილთა ასოციაციის რეზოლიუციაში, ბრალდებული გაამართლა ინგლისის სასამართლომ. გასაკვირი არ არის, რომ ეს სასამართლო თავის მოვალეობად არ სთვლის ჩინელების დაცვას.

ჩინელ ქალთა ორგანიზაციები მოითხოვენ საქმის გადასინჯვას. მაგრამ ჩინელების წრეებს შიშობენ, რომ ინგლისის სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლები მანამდე გაამგზავრებენ სადმე დამნაშავე ჯარისკაცს. (ადს).

იაპონიის პრესის აზრი

ტოკიო, 5 ივნისი. **იაპონიის პრესა ეხება ჩან-ძო-ლინის დაცემის შესაძლებლობას** და შიშს გამოსთქვამს, რომ იაპონიის მდგომარეობა მანჯურიაში ამასთან დაკავშირებით შეირყევა.

გაზეთების უმრავლესობა დაჟინებით მოითხოვს, რომ მთავრობამ თავი შეიკავოს საომარ მოქმედებისაგან და მით იაპონიისათვის ხელსაყრელი ატმოსფერა შექმნას იმ მომენტში, როცა მანჯურიის საკითხი დაისმება. (ადს).

ბოროდინას დაკითხვა

პეკინი, 6 ივნისი. „ნორტ ჩაინა სტანდარდ" აქვეყნებს ბოროდინის და სამ დიპლომატიურ კურიერის დაკითხვის ოქმის თარგმანს. გაზეთის სიტყვით ბოროდინის ცოლმა არ უპასუხა კითხვას—არის თუ არა ის კომუნისტი, და განაცხადა, რომ ამას ის არ იტყვის, სანამ მის დამცველს სასამართლოში გამოსვლის საშუალება არ მიეცემა. ბაროდინამ უარყო ბრალდება შეთქმულების და პროპაგანდის შესახებ. დანარჩენმა ბრალდებულებმაც უარყვეს წარდგენილი ბრალდებები და განაცხადეს, რომ ისინი არიან საბჭოთა დიპლომატიური კურიერები. (ადს).

„სტანდარტ ოილ"-ის საწყობების ხელში ჩაგდება

პეკინი, 5 ივნისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ჩუნ-ცზიანში (სი-ჩუა-ნის პროვინცია) პროვინციის სამხედრო გუბერნატორის ბრძანებით „სტანდარდ ოილ კომპანი"-ს საწყობებზე მოხსნეს ამერიკის საკონსულოს ბეჭდები; საწყობებიდან გაიტანეს ნავთის პროდუქტების მთელი მარაგი. ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს პროტესტი. (ადს).

პეკინის მთავრობის პროტესტი

პეკინი, 5 ივნისი. სააგენტო გოვენი იტყობინება შემდეგს:

„პეკინის მთავრობამ შეადგინა პროტესტი, რომელიც გადაეცემა იაპონიის ელჩს პეკინში. პროტესტში ნათქვამია, რომ იაპონიის საქციელს არ ამართლებს არსებული მდგომარეობა და, ალბად, მას გაუგებრობა მოჰყვება, როცა იოშიზავამ (იაპონიის ელჩი პეკინში) გააცნო ჩან-ძო-ლინს ცინდაოში იაპონიის ჯარების გაგზავნის მოტივები, ჩან-ძო-ლინმა სთქვა:

იაპონიას დიდი ზარალი მოუვიდა ხანკოუში და ნანკინში, მაგრამ დღემდე იქ იაპონიის არცერთი ჯარისკაცი არ ყოფილა გაგზავნილი. ეხლა კი იაპონია ჩემს ტერიტორიაზე გზავნის ჯარებს. ეს საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ ფარულ ზრახვებზე". (ადს)

მექანიკური ცნობა

ნიუ-იორკი, 5 ივნისი ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა მინისტრის განცხადების თანახმად, ალბად, მექანიკურად იცნობენ დე ფაქტო ნაციონალურ მთავრობას იმ შემთხვევაში, თუ მისი ჯარები პეკინს დაიკავებენ. (ადს)

„ხელები შორს ჩინეთისაგან"

ტოკიო, 5 ივნ. **იაპონიის მუშურ-გლეხური პარტიის, მუშათა მთლიანობის ლიგის, ვექილების ასოციაციის, იაპონიის გლეხთა კავშირის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენციამ დაადგინა: დაარსოს ლიგა „ხელები შორს ჩინეთისაგან", რომლის მუშაობა უნდა ვრცელდებოდეს იაპონიის მთელს ტერიტორიაზე.** (ადს).

პეკინის ბედი

შანხაი, 5 ივნისი. ხმებია, რომ **ჩან-ძო ლინმა გადასწყვიტა დასტოვოს პეკინი და უბრძანოს მუკდენის ჯარებს უკან დაიხიონ შანხაი-გუანამდე.** (ადს).

ჯანდაბას იქით გვირგვინოსანი პარაზიტი

შანხაი, 5 ივნისი. ინგლისის მეფის დაბადების დღესასწაულის დღეს ჩინელ მცხოვრებლებს შორის გავრცელდა გომინდანის პროკლამაციები, რომლებიც წინადადებას აძლევდენ ჩინელებს არ დასწრებოდნენ აღლუმს.

ინგლისური გაზეთი „ნორტ ჩაინა დეილი ნიუს" აღშფოთებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ეს ფურცლები გავრცელდა ინგლისელ ჯარისკაცებს შორის ინგლისურ ენაზე ფურცლებს ხელს აწერდა „შანხაის დამცველ კორპუსის რევოლიუციონურ ჯარისკაცების კომიტეტი". მოწოდებაში სხვათა შორის, ნათქვამია:

„რითი სჯობს ინგლისელი მეფე, წარმოშობით უცხოელი, რომელსაც არცერთი დღე შრომაში არ გაუტარებია, რომელიმე მუშას და რით არის უფრო მნიშვნელოვანი მისი დაბადების დღე? შანხაიში გამართული დღესასწაული წარმოადგენს იმპერიალიზმის ჯადოქარის ბრძოლის ყიჟინას, სიგნალს საერთაშორისო ომისაკენ მუშათა კლასის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ფული, რომელიც დაიხარჯა ბარბაროსულ ცერემონიებზე შანხაიში, მოხმარდეს მუშების სამუშაო ხელფასის მომატებას.

პროკლამაცია მოუწოდებს ინგლისელ ჯარისკაცებს:

„ჯანდაბას იქით გაგზავნეთ გვირგვინოსანი პარაზიტები, რომელიც თავის მუქთამჭამელ ოჯახით ყოველწლიურად ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგი უჯდება ქვეყანას, დაცემულ და გათახსირებულ არისტოკრატიასთან ერთად! პროტესტი განაცხადეთ ჩინეთში ინგლისის ჯარისკაცების ყოფნის წინააღმდეგ. მოითხოვეთ მათი სახლში დაბრუნება!" (ადს)

ჟენევის კონფერენციის შემდეგ

„მუშათა ჯგუფის" ტაქტიკა კონფერენციაზე

მოსკოვი, 6 ივნისი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს საბჭოთა დელეგაციის წევრმა საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე, მელითონეთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ლეპსემ გააშუქა ეგრეთწოდებულ მუშათა ჯგუფის პოზიცია და ტაქტიკა ეკონომიურ კონფერენციაზე.

პოზიცია, რომელიც დაიკავა ამ ჯგუფმა, მდგომარეობდა იმაში, რომ იგი სცდილობდა ოპოზიციის როლი ეთამაშა კონფერენციაზე და სიტყვებით სცდილობდა მიეღწია სიტყვიერ დათმობას კაპიტალისტებისაგან.

კაპიტალისტური ჯგუფების და მუშათა ჯგუფების წარმომადგენლები მოუწოდებდენ ერთმანეთს ურთიერთის გაგებისაკენ, კლასიურ თანამშრომლობისაკენ და ყველა კლასების მშვიდობიანათ ცხოვრებისაკენ.

საბჭოთა დელეგაციის ყოფნამ კონფერენციაზე საშუალება არ მისცა ამსტერდამელ რეფორმისტებს ბოლომდი განეგრძოთ თავისი ცდები

თუ კონფერენციის პირველ დღეებში ამსტერდამელები ლაპარაკობდენ შრომის ხელფასზე კონკრეტიული წინადადებების წამოუყენებლად, კონფერენციის შემდეგი მუშაობის დროს ისინი უკვე გვერდს უხვევდენ ამ საკითხებს

რაციონალიზაციისა და კარტელების შესახებ წამოყენებულ რეზოლიუციისათვის კენჭის ყრის დროს, ისინი მიემხრენ კაპიტალისტების წარმომადგენლებს და ამით უფლება მისცეს მათ კიდევ უფრო სასტიკათ გაილაშქრონ მუშათა კლასის წინააღმდეგ (ადს)

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

საპროტესტო დემონსტრაცია ლონდონში.

ლონდონი, 6 ივნისი. გუშინ შესდგა გაზეთ „სანდეი უორკერ"-ის (მემარცხენე ფრთის ორგანოა) მიერ მოწყობილი საპროტესტო დემონსტრაცია ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტის წინააღმდეგ. მიტინგზე, რომელიც შესდგა ჰაიდ-პარკში და რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 10.000-ზე მეტმა კაცმა, მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც ჰკიცხავს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტას, რადგან ის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს საბჭოთა კავშირთან ომისათვის. რეზოლიუცია მოუწოდებს მოქმედების საბჭოების დაარსებისაკენ, ინგლისის მთავრობის როგორც ანტისაბჭოთა პოლიტიკის, ისე პროფკავშირების შესახებ გამოცემულ კანონის წინააღმდეგ საბრძოლველად (ადს).

ინგლისის და საბჭოთა კომკავშირილების მოწოდება

მოსკოვი, 6 ივნისი. ინგლისის და საბჭოთა კომკავშირის ორგანიზაციებმა მიმართეს ყველა ქვეყნის მშრომელ ახალგაზრდობას მოწოდებით. მოწოდებაში ნათქვამია, რომ ინგლისის და საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური ახალგაზრდობა გაერთიანებული ღონისძიებით აწარმოებს და მომავალშიაც განაგრძობს სასტიკ ბრძოლას შუბლმაგართა სისხლის მღვრელ ზრახვების წინააღმდეგ და მოუწოდებს ორივე ქვეყნის და მთელი მსოფლიოს მუშა ახალგაზრდობის მასებს შეამჭიდროვონ რიგები რევოლიუციის დროშის ქვეშ, ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირების ხელმძღვანელობით გადამბრძოლისათვის ინტერვენციის წინააღმდეგ (ადს).

ფეხბურთელებს არ უშვებენ ესტონეთში

რეველი, 5 ივნისი. ესტონეთის მთავრობამ უარი უთხრა შესასვლელი ვიზის მიცემაზე საბჭოთა ფეხბურთელებს, რომელნიც ადგილობრივმა ფეხბურთელთა კლუბმა მიიწვია შეჯიბრებაზე (ადს).

იტალია-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტი

ვენა, 6 ივნისი. სამხრეთ-სლავიის საქმეთა რწმუნებულმა ტირანში გადასცა ახმედ-ზოგუს მეორე კვლავ ულტიმატუმის ხასიათის ნოტა, რომელშიაც მოითხოვს დაპატიმრებულ დრაგომანის ყოველ მიზეზს გარეშე განთავისუფლებას. ნოტაში ნათქვამია, რომ თუ ეს მოთხოვნილება არ იქნა დაკმაყოფილებული, ალბანეთის მთავრობას წინადადება წარედგინება, რათა სამხრეთ სლავიის დიპლომატიურ მისიის შემადგენლობას მისცეს პასპორტი, ხოლო დიპლომატიური ურთიერთობა ჩაშლილად იქნება გამოცხადებული. ალბანეთის პასუხი ჯერ გამოურკვეველია.

მდგომარეობა კანტონში.

შანხაი, 6 ივნისი. შანხაის გაზეთების კორესპონდენტები იუწყებიან კანტონიდან, რომ მუშათა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ განაახლეს მუშაობა. ქალაქში ისევ გაჩნდნენ მუშათა პიკეტები. თამბაქოს ქარხნების გაფიცულმა მუშებმა განაახლეს მუშაობა, მაგრამ კვლავ გაფიცვით იმუქრებიან, თუ მათი მოთხოვნილებები არ იქნა დაკმაყოფილებული. ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცული მუშები აიძულეს დაეწყოთ მუშაობა მანამ, სანამ მათ მოთხოვნილებებს განიხილავს საფოსტო ინსპექცია პეკინში (ადს).

ინგლის-ამერიკის ძალები

შანხაი, 6 ივნისი. შანხაის დამცველ კორპუსის უფროსი ინგლისელი გენერალი დუნკანი თავისი შტაბით ჩავიდა ტიან-ძინში. ამერიკის სამხედრო სატრანსპორტო გემი „ჰენდერსონი" 1800 კაცისაგან შემდგარ საზღვაო რაზმით ჩავიდა ტაკუში (ნავთსადგური ტიანძინიდან 50 კილომეტრის დაშორებით).

ხენანის ფრონტზე დაჭრილთა დასახმარებლად

ხანკოუ, 5 ივნისი. ხენანის ფრონტზე დაჭრილ ჯარისკაცთა დასახმარებლად სწარმოებს შემოწირულებათა შეგროვება. შემოწირულებების შეგროვების კამპანიის დაწყების წინ სუნ-იატ-სენის ქვრივმა გამართა დღესასწაული, რომელსაც დაესწრნენ უცხოეთის გენერალური კონსულები (ადს).

50 ათასი მან. მოგება

ტაგანროგი, 6 ივნისი. „იუგოსტალის" ტაგანროგის ქარხნის ხუთმა მუშამ 1927 წლის სესხის ობლიგაციით მოიგო 50.000 მან (ადს).

შორეულ აღმოსავლეთის რეისი

ოდესა, 6 ივნისი. შორეული აღმოსავლეთის რეისიდან ოდესაში დაბრუნდა ოკეანეს გემი „ტრანსბალტი", რომელმაც ვლადივასტოკიდან ჩამოიტანა შაქარი და ბრინჯი (ადს).

სრულუფლებიან წარმომადგენლობის თანამშრომლების მოლოდინი

ლენინგრადი, 6 ივნისი. 8 მაისს დილით ლენინგრადში მოელიან ლონდონიდან გემს, რომლითაც ჩამოვლენ ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომლები (ადს).

ამხ. ენუქიძე ქუთაისში

ქუთაისი, 6 ივნისი. ქუთაისში ჩამოვიდა ამხ. ენუქიძე. ხვალ ის მიემგზავრება კურორტ შოვში (ადს).

უნივერსიტეტების მუშათა თათბირი

მოსკოვი, 6 ივნისი. დღეს ჟურნალისტიკის უნივერსიტეტში გაიხსნა სრულიად რუსეთის უნივერსიტეტების მუშათა პირველი თათბირი, რომელსაც 100-მდე დელეგატი ესწრება. თათბირი რამოდენიმე დღე გაგრძელდება (ადს).

აჯანყება სპარსეთში

თეირანი, 5 ივნისი. დედა-ქალაქში დაბეჯითებით ვრცელდება ხმები, რომ ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებში დაიწყო აჯანყებები. იტყობინებიან აჯანყების შესახებ ქურთისტანში. თეირანიდან ქურთისტანში გაიგზავნა 500 ყაზახი, ქვეითა ჯარის ერთი პოლკი და სამხედრო ჰაეროპლანები. იტყობინებიან აგრეთვე ლორისტანის მცხოვრებთა აჯანყების შესახებ; შახსევანების ძლიერი შეიარაღებული მოძრაობა დაიწყო არდებილის რაიონში. აჯანყებულები თითქოს, უახლოვდებიან ქალაქ არდებილს (ადს)

თვალთმაქცობა

ნიუ-იორკი, 5 ივნ. „ჯორნალ ოფ კომერს" მოწინავე წერილში ხაზ გასმით აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატები უნდა დაადგეს უფრო რეალისტურ პოზიციას საბჭოთა კავშირის მიმართ. გაზეთი ხაზს უსვამს „თვალთმაქცობას", რომელიც საბჭოთა კავშირის მიმართ გამოიჩინეს ზოგიერთმა ქვეყნებმა, განსაკუთრებით ინგლისმა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა; უკანასკნელთ არ სურთ ვაჭრობის შეწყვეტა საბჭოთა კავშირთან და ამავე დროს პოლიტიკურ ღონისძიებათა გზით, ხელს უშლიან საბჭოთა წარმოებებისათვის კრედიტების მიწოდებას" (ადს).

ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება

ანგორა, 5 ივნისი. მოხდა ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა-გამოცვლა (ადს).

ლოიდი მეფე ფაუდთან

ლონდონი, 5 ივნისი. რეიტერის სააგენტო ქაირიდან იტყობინება: „მეფე ფაუდმა მიიღო ინგლისის უმაღლესი კომისარი ლოიდი. ეგვიპტის მთავრობის პასუხს ინგლისის ნოტაზე ამჟამად იხილავს უმაღლესი კომისარი (ადს).

ჩემბერლინის გადაფრენა ატლანტიის ოკეანეზე

ლონდონი, 5 ივნისი. ამერიკელ მფრინავმა კლარენს ჩემბერლინმა, რომელიც მონოპლანით მოფრინავს ნიუ-იორკიდან, უკვე გადაუარა ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირს, როტერდამს, ამსტერდამს, ვესტფალიას. ჩემბერლინმა, მსოფლიო ექსპერტების აზრით, პირველი რეკორდი აიღო. ის გადაფრინდა არა მარტო ოკეანეზე, არამედ მთელს ევროპაზედაც.

ჩემბერლინს განზრახული აქვს გვერდი აუაროს გერმანიას და ჩამოფრინდეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე (ადს).

ჩემბერლინი ბერლინის ახლო დაეშვა

ბერლინი, 6 ივნისი. 6 ივნისს დილის ხუთ საათზე ამერიკელ მფრინავის ჩემბერლინის მონოპლანი ბენზინის გამოლევის გამო დაეშვა ეისლებენში, 160 კილომეტრის დაშორებით სამხრეთ-დასავლეთით ბერლინიდან, მან ჰაერში დაჰყო 43 საათი. მფრინავი და მგზავრები კარგად გრძნობენ თავს. ჩემბერლინმა მოიმარაგა ბენზინი და დილის 9 საათზე და 35 წუთზე გაფრინდა, მაგრამ მას გაუცივდა პროპელერი და იძულებული შეიქნა კოტბუსიდან 15 კილომეტრის დაშორებით დაშვებულიყო ჭაობიან ადგილებში. დაშვების დროს აპარატი ღრმად ჩაეფლა ჭაობში. ბერლინიდან მფრინავის საშველად რამოდენიმე აეროპლანი გაემართა (ადს).

დაპატიმრება ჩან-კაი-შის შეურაცყოფისათვის

შანხაი, 6 ივნისი. ჟანდარმებმა შანხაიში დააპატიმრეს 6 ჩინელი, რომელთაც ბრალდებად წაუყენეს ის, რომ „ისინი საჯაროდ შეურაცყოფას აყენებდენ ჩან-კაი-შის და ავრცელებდენ მოწოდებებს აჯანყებისაკენ" (ადს).

ინგლისის კოოპერატორთა კონგრესი

ლონდონი, 5 ივნისი. 3 ივნისს ჩოლტენხემში გაიხსნა ინგლისის კოოპერატიული მოძრაობის კონგრესი.

კონგრესი განიხილავს შემდეგ საკითხებს: გამგეობის მოხსენება, ჩინეთის ამბები, პროფკავშირთა საწინააღმდეგო კანონი, განიარაღება, დელეგაციის გაგზავნა საბჭოთა კავშირში და სხვ. საკითხები.

„ცენტროსოიუზმა" კონგრესზე დელეგატად გაგზავნა „ცენტროსოიუზის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე კისინი და „ცენტროსოიუზის" ლონდონის კონტორის დირექტორი გურევიჩი. მაგრამ ინგლისის მთავრობამ კისინს უარი უთხრა შესავალი ვიზის მიცემაზე. „ცენტროსოიუზის" გამგეობამ გურევიჩს (რომელიც მონაწილეობას იღებს კონგრესზე) დაავალა გამოსთქვას მწუხარება, რომ კისინს, ვიზის მიუღებლობის გამო არ აქვს საშუალება მონაწილეობა მიიღოს კონგრესზე. გურევიჩს დაევალა აგრეთვე, კონგრესის წინაშე გამოსთქვას რწმენა, რომ ინგლისის და საბჭოთა კოოპერაციის შორის არსებული მეგობრული საქმიანი ურთიერთობა, მოუხედავად კოოპერაციის მტერთა ცდებისა, არ დაირღვევა.

მუშების ბრძოლა
ამერიკაში

ნიუ-იორკი, 5 ივნისი. ნიუ-იორკის ბეწვეულზე მომუშავეთა კავშირმა, რომელიც მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთას ემხრობა, გაფიცვა გამოაცხადა იმ მიზნით, რომ მოიპოვოს ცნობა მემარცხენე კავშირისა, რომელიც პროფკავშირის ხელმძღვანელმა ბიუროკრატებმა გამორიცხეს საერთო-ნაციონალურ კავშირიდან.

მწარმოებლები, რომელნიც მემარჯვენე ფრთასთან თანამშრომლობენ, სცნობენ მხოლოდ მემარჯვენე ფრთის ახლად შექმნილ კავშირს.

მემარცხენე კავშირის ბელადები ამტკიცებენ, რომ უკვე გაიფიცა 3.000 მუშა და გაფიცვას უერთდებიან სხვა მუშებიც. სულ ნიუ-იორკში ირიცხება—12.000 ბეწვეულზე მომუშავე.

ამერიკის შრომის ფედერაცია ყოველგვარ საშუალებით სცდილობს გაფიცულთა დამარცხებას, ბრალს სდებს „მოსკოვს" ამ გაფიცვის მოწყობაში და მოითხოვს, რომ მთავრობამ ჩააქროს გაფიცვა. (ადს).

თოფის წამლის საწყობის აფეთქება

ვარშავა, 5 ივნისი. 5 ივნისს დილით ვიტკოვიცაში, კრაკოვის მახლობლად, აფეთქდა თოფის წამლის საწყობი. კრაკოვში ყველა სახლის ფანჯრების მინები ჩამტვრეულია. ქალაქში დაზიანებულია ბევრი სახლი, მათ შორის უნივერსიტეტის ქირურგიული კლინიკა. მინების ნამტვრევებით რამოდენიმე ასეული კაცია დაჭრილი, ბევრია მათ შორის მძიმედ დაჭრილი. მთავარი აფეთქება მოხდა დილის 10 საათზე ვიტკოვიცაში, სადაც აფეთქდა 133.000 კილოგრამამდე თოფის წამალი და სხვა ასაფეთქებელი მასალა. ვიტკოვიცაში დანგრეულია მთელი რიგი სახლები. უკანასკნელ ცნობების მიხედვით, მოკლულია გუშაგი, მხოლოდ ვიტკოვიცაში მძიმედ არის დაჭრილი 80 თუ მეტი კაცი. დაჭრილები არიან აგრეთვე კრაკოვშიც, უმთავრესად მინების ნამსხვრევებით. ყველაზე მეტად დაზარალდენ ბავშვები საბავშვო ბაღებში და ავადმყოფები ჰოსპიტალებში. აფეთქების რაიონიდან სამოქალაქო მოსახლეობა გადაყვანილია.

აფეთქების მიზეზები ჯერ არ არის გამორკვეული. დაზარალებულთ აღმოუჩინა [illegible] დახმარება.

უკანასკნელი ცნობები აფეთქების შესახებ მოწმობენ, რომ 133.000 კილოგრამიდან აფეთქებულა მხოლოდ 40.000 კილოგრამი ასაფეთქებელი მასალა (ადს).

ალბანეთ-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტი

ვენა, 5 ივნისი, ალბანეთის ელჩმა ბელგრადში ზენაბეკმა სამხრეთ-სლავიის მთავრობას აცნობა, რომ ალბანეთის მთავრობა მზად არის გაანთავისუფლოს დრაგომანი გუირაშკოვიჩი იმ პირობით, თუ სამხრეთ-სლავიის საქმეთა რწმუნებული ტირანში უკან წაიღებს მკაცრ გამოთქმებს, რომელსაც შეიცავს მის მიერ წარდგენილი საპროტესტო ნოტა.

სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა სამინისტრო დაჟინებით მოითხოვს გუირაშკოვიჩის განთავისუფლებას ყოველი პირობების გარეშე და აცხადებს, რომ მოლაპარაკებას მომავალში აწარმოებს მხოლოდ გუირაშკოვიჩის განთავისუფლების შემდეგ (ადს)

პარიზი—ჩიტა

პარიზი, 5 ივნისი. 4 ივნისს, დილის 5 საათზე, ფრანგი მფრინავები კოსტი და რინიო, რომლებსაც განზრახული აქვთ დაუსვენებლად გადაფრენა პარიზიდან ჩიტამდე უკვე გაფრინდენ ჰაეროდრომიდან (ადს).

საპროტესტო მიტინგი

პრაღა, 5 ივნისი. პრაღაში მოხდა მუშათა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი იმპერიალისტების პოლიტიკის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მიმართ. მიტინგმა საპროტესტო რეზოლიუცია მიიღო ომის წინააღმდეგ. რეზოლიუცია მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას ჩეხო-სლოვაკიის მიერ და აყენებს ლოზუნგს: „ხელები შორს ჩინეთისაგან". მიტინგი დიდის ენტუზიაზმით ჩატარდა. (ადს).

შვეციის კომპარტიის
ყრილობა

სტოკჰოლმი, 5 ივნისი. დიდი წარმატებით ჩატარდა კამპანია შვეციის კომპარტიის არსებობის ათი წლის თავის აღსანიშნავათ. კამპანიის ჩატარების შემდეგ სტოკჰოლმში გაიხსნა პარტიის მეშვიდე ყრილობა.

ყრილობას ესწრებიან: 173 დელეგატი ადგილებიდან, პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საპარლამენტო ჯგუფი, კომკავშირის ცეკა, კომინტერნის, გერმანიის, ნორვეგიის, დანიის კომპარტიების, „უორკერს პარტი"-ს და მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტის წარმომადგენლები. (ადს).

საბჭოთა კავშირი და ეგვიპტე

ქაირი, 5 ივნისი. გაზეთი „ას-სიასი" (მთავრობის პარტიის ორგანო) მოწინავე წერილს უძღვნის საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის საკითხს.

წერილი აღნიშნავს, რომ ომამდე რუსეთს მესამე ადგილი ეჭირა ეგვიპტიდან ბამბის გატანის საქმეში. ამ ორი ქვეყნის შორის ურთიერთობის უქონლობა ამწვავებს იმ კრიზისს, რომელსაც ეგვიპტე განიცდის. ამასთან ერთად, საბჭოთა კავშირს შეეძლო ეგვიპტეში შეეტანა ხე-ტყე და პურის პროდუქტები, რომელიც ეგვიპტეს ძალიან ესაჭიროება. დასასრულ, წერილი მოუწოდებს ეგვიპტის მთავრობას, რომ მან გარკვეული პოზიცია დაიჭიროს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის საკითხში (ადს).

საბჭოთა კავშირში

პროფკავშირული დემოკრატია

მოსკოვი, 6 ივნისი. საკავშირო ცენტრალურმა პროფსაბჭომ დაუგზავნა ყველა პროფსაბჭოებს და კავშირების ცენტრალურ კომიტეტებს ცირკულიარი პროფკავშირული დემოკრატიის გატარების შესახებ. ცირკულიარი აღიარებს, რომ პარტიის მე-14 ყრილობის დირექტივა დემოკრატიის გატარების შესახებ საერთოდ სრულდება, მაგრამ ადგილი აქვს ზოგიერთ ნაკლულოვანებებს: ყრილობებისათვის მზადება მოისუსტებს, ყრილობები ძალიან ჭიანურდება, ადგილებიდან ჩამოსული დელეგატების მიზანშეწონილ წინადადებას არ ექცევა სათანადო ყურადღება; უპარტიო მუშების რაოდენობა როგორც ყრილობის, ისე საკავშირო ორგანოების შემადგენლობაში მცირეა. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭო მთელ რიგ ღონისძიებებს სახავს აღნიშნულ ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად. (ადს)

ჰაეროპლანის კატასტროფა

გომელი, 6 ივნისი. გომელის ჰაეროდრომზე საცარჯიშო გაფრენის დროს დაიმტვრა ჰაეროპლანი. დაიღუპა მფრინავი, კომუნისტი პელცაკუ. (ადს)

.„ !..ც.---იშორისზ ჟკლბთ სუვო სუუ

დენატურატის სპირტის დაბეგვრა

მოსკოვი, 6 ივნისი. საბჭოთა კავშირის ცაკმა და სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინეს დაიბეგროს აქციზით დენატურატი სპირტი, რომელსაც სამეურნეო საჭიროებისათვის იყენებს მოსახლეობა. ვედრო სპირტი დაიბეგრება 2 მანეთით. (ადს)

დახმარება სამსახურიდან დათხოვის დროს

მოსკოვი, 6 ივნისი. შრომის სახალხო კომისრის მოხსენების მიხედვით, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: მუშებს, რომლებიც წარმოების ტეხნიკის და ორგანიზაციის გაუმჯობესების გამო იქნებიან დათხოვნილი ეძლევათ დახმარება რაიონის მიხედვით 1 ნახევრიდან 3 თვის ხელფასამდე.

საინჟინერო-ტეხნიკურ მუშაკების მომზადება

მოსკოვი, 6 ივნისი. მშენებელთა საინჟინერო-ტეხნიკურ სექციის ცენტრალურმა ბიურომ დაადგინა გაგზავნოს საზღვარგარეთ საინჟინერო-ტეხნიკური დარგის 20 მუშაკი, რომლებიც შეისწავლიან ახალ მიღწევებს მშენებლობის დარგში (ადს).

ბავშვთა ექიმების ყრილობა

მოსკოვი, 6 ივნისი. ბავშვთა ექიმების სრ. საკავშირო ყრილობამ განიხილა ბავშვთა მედიცინის საკითხები: ბავშვთა შორის ტუბერკულიოზთან ბრძოლა, ყელჭირვების და სხვ. ბავშვთა ავადმყოფობის მკურნალობა, ბავშვთა კვება და ბავშვთა დაწესებულებების ამოცანები (ადს).

სამუშაო ხელფასის ფონდი

მოსკოვი, 6 ივნისი. ს. რ. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭომ ყველა სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს მისცა წინადადება, რომ მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში არ იქნას დაშვებული მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის ფონდის გადიდება და შეურყევლად გატარდეს ცხოვრებაში სამმართველოების შესანახი ხარჯების შემცირება. (ადს).

ამხ. ვოროშილოვის ბრძანება

მოსკოვი, 6 ივნისი. გამოქვეყნებულია რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს ორი ბრძანება, რომელთაც ხელს აწერს ამხ. ვოროშილოვი.

„22—25 მაისს განმავლობაში,—ნათქვამია პირველ ბრძანებაში, — მე დავათვალიერე შავი ზღვის სამოგზაუროდ წასული, რეიდზე და აგრეთვე ნაპირებთან მყოფი სამხედრო-საზღვაო ძალები, გარდა იმ გემებისა, რომლებიც კაპიტალურ რემონტში არიან.

შავი ზღვის ფლოტის მთავარ ძალების მიერ ტაქტიკურ მეცადინეობის ჩატარებამ მე დამარწმუნა, რომ მთელი პირადი შემადგენლობის დაუღალავმა მუშაობამ სამხედრო მომზადების დარგში უკვე მოიტანა საგრძნობი შედეგები.

შავი ზღვის წითელმა ფლოტმა არა თუ სავსებით მოაწესრიგა თავისი მატერიალური ნაწილი, არამედ ის უკვე წარმოადგენს მტკიცედ შეკავშირებულ ძალას, რომელსაც შეუძლია შეასრულოს მასზე დაკისრებული ყველა სამხედრო ამოცანები.

წითელ ფლოტელებთან პირადათ პოლიტიკურად საუბარმა მე დამარწმუნა, რომ ისინი სავსებით მომწიფებული და შეგნებული არიან. შავი ზღვის ფლოტის, ისევე, როგორც მთელი წითელი არმიის, პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია.

მიღწევებთან ერთად უნდა აღვნიშნო მთელი რიგი ნაკლულოვანებებისა.

გემების მეურნეობა ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე, კვება თავისი ხარისხით არ შეეფერება გაღებულ თანხების რაოდენობას. გემების შინაურ ცხოვრებაში კიდევ არ არის რეგლამენტაცია, რომელიც სავსებით აუცილებელია სამხედრო გემებისათვის. დისციპლინა წითელფლოტელებს შორის ვერ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი. საჭიროა პირადმა შემადგენლობამ მუშაობა გასწიოს მის გასაღრმავებლად. სანაპირო თავდაცვის დარგში აქვს მთელ რიგ ორგანიზაციულ ნაკლულოვანებებს: ბატარეების მუშაობა კიდევ არ არის დაკავშირებული სამხედრო გემების მუშაობასთან.

საერთაშორისო პირობები და ახალ სისხლისმღვრელ ინტერვენციების მოსალოდნელი საფრთხე გვავალებს დაუყოვნებლივ აღმოვფხრათ ეს ნაკლი და ჩვენი მებრძოლი რაზმები მოვიყვანოთ სრულ წესრიგში.

შავი ზღვის ფლოტი სდგას დიდი საბჭოთა კავშირის სამხრეთ საზღვაო ბჭეებთან. მის შეკავშირებაზე, სიმაგრეზე და სამხედრო მომზადებაზე დიდათ არის დამოკიდებული სამხრეთის საზღვრების დაცვა.

გაწეულ მუშაობისა და მიღწევებისათვის მადლობას უცხადებ შავი ზღვის წითელფლოტელებს, სამხედრო-საზღვაო ძალების მეთაურებს და პოლიტმუშაკებს.

შავი ზღვის ფლოტის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს წინადადებას ვაძლევ მოკლე ხნის განმავლობაში აღმოფხვრას ყველა ის ნაკლულოვანებები, რომლებიც მე აღვნიშნე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სანაპირო თავდაცვის მოსამზადებელ მუშაობის სწორად დაყენებას".

მეორე ბრძანებაში ამხ. ვოროშილოვი ეხება უკრაინის სამხედრო ოლქის მსროლელ, საარტილერიო, ცხენოსან და საავიაციო ნაწილების მდგომარეობას, აღნიშნავს მიღწევებს და მიუთითებს ნაკლულოვანებებზე, რომელთა დაუყოვნებლივ აღმოფხვრა მას აუცილებლად მიაჩნია (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში
აზერბეიჯანი

ახალ თურქულ ანბანის შემომღებ კომიტეტის პლენუმის დახურვა

ბაქო, 6 ივნისი. დღეს დაამთავრა თავისი მუშაობა ახალ თურქულ ანბანის შემომღებ კომიტეტის პლენუმმა.

პლენუმმა მიიღო მის გამოყოფილ კომისიის მიერ შემუშავებული გაერთიანებული თურქული ანბანის პროექტი. არჩეულ იქნა კომიტეტის მუდმივი პრეზიდიუმი ამხ. აღამალი-ოღლის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულ იქნენ ტარმახოვი და კულბეშეროვი. პრეზიდიუმის წევრებად არჩეული არიან ამხ. ხოჯაევი, ტერ-იაკულოვი, დიმანშტეინი, სეიკი, ოსმან ალიევი და სხვ.

პლენუმის დახურვამდე აღამალი-ოღლიმ საბოლოო სიტყვაში ჯამი გაუკეთა პლენუმის მიერ გაწეულ მუშაობას. პლენუმი დაიხურა ინტერნაციონალის ხიმღერით (ადს).

ფირმა „ვიკერსის" წარმომადგენელი

ბაქო, 6 ივნისი. ბაქოში ჩამოვიდა ინჟინერი უაიტი — ინგლისის ფირმის „ვიკერსის" წარმომადგენელი. მისი ჩამოსვლის მიზანია გაეცნოს „ვიკერსის" მოწყობილობებს აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობაში (ადს).

250 ელექტრო მატორი

ბაქო, 6 ივნისი. აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ელექტრო განყოფილების მიერ განჯის ხართავ-სახვევ ფაბრიკისათვის შეკვეთილ იქნა 250 ელექტრო-მოტორი 3 ცხ. ძალის თითო (ადს).

სომხეთი

დოქტორი პიტი სომხეთში

ერევანი, 6 ივნისი. სომხეთში ჩამოვიდა დოქტორი პიტი, ამერიკულ დამხმარე კომიტეტის დამაარსებელი და მისი საპატიო წევრი. პიტი ათვალიერებს ამერიკულ კომიტეტის დაწესებულებებს სტეპანაკენში და ლენინაკანში. ერევანში მან დაათვალიერა უნივერსიტეტი, გაემგზავრა ვაგარშაპატში სიძველეების დასათვალიერებლად. 6 ივნისს პიტი ავტომობილით გაემგზავრა ლენინაკანში (ადს).

სომხკინოს ფილმა სამხრეთ ამერიკაში

ერევანი, 5 ივნისი. სომხეთის დამხმარე კომიტეტის ცენტრალურმა გამგეობამ ბუენოს-აირესიდან სომხების ადგილობრივი კოლონიისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც ისინი თხოულობენ საბჭოთა სომხეთის ფილმის გაგზავნას ბუენოს აირესში და სამხრეთ ამერიკის სხვა ქალაქებში საჩვენებლად (ადს).

სტეფანე შაუმიანის ძეგლის პროექტი

ერევანი, 6 ივნისი. სომხეთის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა ძეგლი აუგოს სტეფანე შაუმიანს ერევანში შაუმიანის და კარლ მარქსის ქუჩებს შუა. გამოცხადებულია კონკურსი ძეგლის პროექტზე. ძეგლის პროექტები წარმოდგენილ უნდა იქნეს ა. წ. 10 სექტემბრამდე. უკეთეს პროექტებზე ვაიცემა ჯილდო: პირველი—750 მან., მეორე—350 მან.. პროექტები შეიძლება განხორციელებულ იქნეს ხუროთ-მოძღვრების, ქანდაკების და შერეულ წესით (ადს).

ოვანეს სარუხანიანის ძეგლის გახსნა

ნორ-ბაიაზეთი, 6 ივნისი. 5 ივნისს მოხდა ოვანეს სარუხანოვის ძეგლის გახსნა. სარუხანიანი იყო ბოლშევიკი 1905 წლიდან, დიდი ხანი გაატარა არალეგალურ მუშაობაში და 1920 წელს მოაწყო აჯანყება დაშნაკელების წინააღმდეგ, რომლებმაც ის დახვრიტეს.

ძეგლის გახსნას დაესწრნენ მთავრობის წევრები (ადს).

რა ხდება უცხოეთში
მექსიკა ახალი სამოქალაქო ომის წინ

1928 წ. თავდება კაიესის პრეზიდენტობის ვადა, როგორც ვიცით, კაიესმა გენერალ ობრეგონთან და ადოლფ ხუერტასთან ერთად დაამხო (1920 წ.) პრეზიდენტ კარრანცას ბატონობა. კაიესი პრეზიდენტათ არჩეულ იქნა, როგორც მუშათა პარტიის კანდიდატი 1924 წ., როცა პრეზიდენტობის ვადა გაუთავდა გენ. ობრეგონს.

პრეზიდენტის არჩევნები ყოველთვის მწვავე მომენტს წარმოადგენდა მექსიკის ისტორიაში. გართულდა, ჩვეულებისამებრ, მდგომარეობა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებითაც. არაჩვეულებრივად გამწვავდა წინააღმდეგობანი მუშებსა და ბურჟუაზიას შორის, მემამულეებსა და გლეხებს შორის, შრომის რეფორმისტულ ფედერაციასა და კომპარტიას შორის, კათოლიკურ ეკლესიასა და მთავრობას შორის. ინგლის-ამერიკის კაპიტალი ცდილობს თავის ინტერესების მიხედვით გამოიყენოს შექმნილი მდგომარეობა და ამ მიზნით მხარს უჭერს ხან ერთსა და ხან მეორე მხარეს, რითაც აღრმავებს და აძლიერებს არსებულ წინააღმდეგობათ.

ინგლისის კაპიტალი მხარს უჭერს მექსიკის ყველაზე უფრო რეაქციონურ ძალებს—კათოლიკურ სამღვდელოებასა და მემამულეებს. ამჟამად ეს ბნელი ძალები ცდილობენ თავის სასარგებლოდ გამოიყენონ რამდენიმე თვის წინათ პარლამენტის მიერ პრეზიდენტის არჩევის წესში შეტანილი ცვლილება. ცვლილება მდგომარეობს იმაში, რომ დასაშვებათ თვლის ყოფილი პრეზიდენტის ხელმეორეთ არჩევას იმ შემთხვევაში, თუ მის ხელმეორეთ არჩევის წინ პრეზიდენტათ სხვა პირი იყო (წინათ არსებული წესის თანახმად, არ შეიძლებოდა პრეზიდენტათ ხელმეორეთ არჩევა იმ პირის, რომელიც ერთხელ უკვე იყო არჩეული ამ თანამდებობაზე). კონსტიტუციაში შეტანილი ეს ცვლილება აშკარათ ისახავს მიზნათ საშუალება მისცეს კაიესის თანამებრძოლის ობრეგონს დაიკავოს პრეზიდენტის პოსტი (ობრეგონი პრეზიდენტათ იყო 1920-24 წ.). ეს მოასწავებს მექსიკის ახლანდელი მთავრობის პოლიტიკის გაგრძელებას, რაც არაფრათ სიამოვნებს რეაქციონერებს, რათა ხელი შეუშალონ ობრეგონის არჩევას, რეაქციონერებმა დაარსეს „ხელმეორეთ არჩევის წინააღმდეგ მებრძოლი ნაციონალური პარტია". თავისი შავრაზმულ-კონტრ-რევოლიუციონური ბუნების დასაფარავად, პარტიამ თავის პროგრამაში შეიტანა ისეთი მოთხოვნილებები, როგორიც არის არმიის დემოკრატიზაცია, პასუხისმგებელი სამინისტრო და სხვ. მაგრამ პარტიის ნამდვილ ბუნებას ნათელყოფს მოთხოვნილება უცხოეთისა და ადგილობრივი კაპიტალისათვის გარანტიების მიცემისა და მიწების იძულებით და უსასყიდლოთ ჩამორთმევაზე ხელის აღების შესახებ. პარტიის სათავეში უდგას ცნობილი რეაქციონერი არნულფო გომეცი, ვერა-კრუცის რაიონის სამხედრო უფროსი, ადამიანი, რომელიც მჭიდროთ არის დაკავშირებული ნავთის კომპანიებთან და კათოლიკურ სამღვდელოებასთან.

კათოლიკური სამღვდელოების ანტი-სახელმწიფოებრივი მოქმედება მექსიკაში უკანასკნელ ხანებში საშიშ ხასიათს იღებს. ხუცები ბანდიტიზმის მოწყობასაც არ ერიდებიან, რომ მდგომარეობა გაართულონ. ამ რამდენიმე ხნის წინათ ხუცების მიერ მოწყობილი ბანდა თავს დაესხა მატარებელს ჟალისკოს შტატში. თავდასხმის დროს ბევრი მგზავრი დაიღუპა. ამის შემდეგ ბანდა თავს დაესხა ქალაქ ელ-სალტოს. მოჰკლეს ერთი პროფკავშირის მდივანი, გაძარცვეს კოოპერატივი და ცეცხლი წაუკიდეს რამდენიმე მუშის ბინას.

მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობამ დააპატიმრა და გააძევა კათოლიკური სამღვდელოების მრავალი წარმომადგენელი (ერთი ხუცესი სიკვდილით დასაჯეს), ხუცების ჯანყი ძლიერდება. კოლიმას შტატი ფსიქიურად კათოლიკური სამღვდელოების ხელშია. ჟალისკოს შტატში მათ მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალები ჰყავთ. გარდა ამისა, კათოლიკური ბანდები მოიპოება კიდევ 7 შტატში.

ჯარმა გენ. მარსელო კარვეოს მეთაურობით ჩიგუაგუას შტატში გადააყენა სამხედრო გუბერნატორი ალმენდა და მის ადგილზე დანიშნა შავრაზმელი მასკარენასი. მთელი კვირის განმავლობაში შტატსა და ცენტრს შორის სატელეგრაფო კავშირი გაწყვეტილი იყო. ჩიგუაგუას შტატს, რომელიც შეერთებული შტატების საზღვარზე მდებარეობს, უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. საზღვრების დაცვა სუსტია და აჯანყების დროს რეაქციონერები ადვილად ღებულობენ იარაღს შეერთებული შტატებიდან.

არა ნაკლებ უთანხმოებას იწვევს პრეზიდენტის არჩევის საკითხი ცენტრში—მექსიკოში (მექსიკის სატახტო ქალაქია). ამას წინათ ნაციონალურ-რევოლიუციონურმა პარტიამ (ახლანდელი უმრავლესობა პარლამენტში) მოიწვია კონფერენცია კანდიდატის საკითხის გადასაწყვეტლად. კონფერენციაზე ვერავითარ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

ერთმა ნაწილმა მხარი დაუჭირა ობრეგონს, მეორემ—სერრანოს (ავანტიურისტის ტიპია). ამრიგად საპარლამენტო უმრავლესობა განხეთქილების წინაშე იმყოფება. „მუშათა" დეპუტატები ალბათ მხარს დაუჭერენ სერრანოს, რადგან მექსიკის რეფორმისტული პროფკავშირების ლიდერი მორონესი (მექსიკის ვაჭრობა-მრეწველობისა და შრომის მინისტრი, რომელიც გაფიცულ მუშებს სისხლიან აბანოებს უმართავს), მტრულ დამოკიდებულებაშია ობრეგონთან.

გადამწყვეტი მნიშვნელობა არჩევნების შედეგებისათვის ექნება კაიესის დამოკიდებულებას ამა თუ იმ კანდიდატისადმი, ვინაიდან არჩევნებს ჩაატარებს მთავრობის აპარატი. მაგრამ კაიესი მერყეობს, რადგან ის თავისი გავლენის შესანარჩუნებლად საჭიროებს ობრეგონსაც, როგორც არმიის თვალსაჩინო წარმომადგენელს, და მორონესსაც, როგორც მუშების „წარმომადგენელს".

ამრიგად, ამჟამად სამი კანდიდატია პრეზიდენტის პოსტზე: 1) ობრეგონი, რომელიც ეყრდნობა არმიაზე და ხალ ნაციონალურ ბურჟუაზიაზე; სერრანო, რომელსაც მომხრეები ჰყავს არმიაში და რომელსაც მხარს უჭერს შრომის რეფორმისტული ფედერაცია და 3) გენ. გომეცი, რომელიც ეყრდნობა კათოლიკურ სამღვდელოებაზე, მემამულეებზე და ამერიკულ ნავთის მრეწველებზე; რომლებიც უკმაყოფილო არიან მექსიკის მთავრობის კანონით ბუნებრივ სიმდიდრეთა ნაციონალიზაციის შესახებ.

ბრძოლა კანდიდატებს შორის [illegible] ისეთ სტადიაში იმყოფება, რომ აშკარა სამოქალაქო ომის დაწყება დღე-დღეზე მოსალოდნელია.

შ. ხ.

გერმანიის მრეწველობა საერთაშორისო ასპარეზზე

იმპერიალისტური ტენდენციები ფეხზე წამომდგარ გერმანიის მრეწველობისა, რომელიც ცდილობს აღადგინოს თავისი ექსპორტი და დაიპყროს ახალი ბაზრები, თავს იჩენენ მრეწველობის სულ ახალ-ახალ დარგებში.

რამდენიმე ხნის წინათ გერმანიის კალიუმის მრეწველებმა მნიშვნელოვან შედეგს მიაღწიეს შეერთებულ შტატებში კალიუმის მრეწველობის პროდუქციის ექსპორტის საკითხში. შეერთებული შტატების მთავრობა დიდი ხნის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა კალიუმის პროდუქტების გასაღებაზე საფრანგეთ-გერმანიის ფაქტიური მონოპოლიის დამყარებას შეერთებულ შტატებში. ამ მიზნით, შეერთებულ შტატების სასამართლოში აღიძრა საქმე, რომ საფრანგეთ-გერმანიის კალიუმის სინდიკატის მოქმედება ეცნოთ, როგორც მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება შერმანის ცნობილ კანონს მონოპოლიური ტრესტების შესახებ. სასამართლოს პროცესის შედეგების შიშით, სინდიკატმა თავის მხრივ მიიღო ყველა ზომები, რომ სადაო საკითხი შეთანხმებით მოეგვარებია. რამოდენიმე ხნის წინათ ვაშინგტონში შემდგარ კონფერენციაზე მიღწეულ იქნა კომპრომისული შეთანხმება, რომლის თანახმად შეერთებულ შტატებში. ამ მიზნით, შეერთებულ შტა-სადაო საკითხი არ გადაწყდება სასამართლოში, არაფერი არა აქვს საწინააღმდეგო, თუ ევროპის ნეიტრალური ფირმა აწარმოებს შეერთებულ შტატებში საფრანგეთისა და გერმანიის კალიუმის მრეწველობის პროდუქციის გასაღებას.

მრეწველობის მეორე დარგში—ნახშირის მრეწველობაში—გერმანელი მწარმოებლები კიდევ უფრო შორს მიდიან. საფრანგეთ-გერმანიის დაახლოების ცნობილმა მოტრფიალემ, გერმანელმა მწერალმა არნოლდ რეხბერგმა გაზ. „ბერლინერ ბერზენ კურიერ"-ში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც განაცხადა, რომ „ლონდონის სიტის ერთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა მე მომცა წინადადება გერმანიისა და ინგლისის ნახშირის მრეწველობის ფართო გაერთიანების შესახებ".

გეგმა, რეხბერგის განცხადებით, ითვალისწინებს „კაპიტალების გაცვლა-გამოცვლას და ზოგჯერ ურთიერთ მონაწილეობას გერმანიის და ინგლისის ნახშირის მრეწველობის მოგებებში". გერმანელები თავის მხრივ წინადადებას აძლევენ ინგლისელებს შემოიღონ თავიანთ მაღაროებში უახლოესი ტეხნიკური მეთოდები, რომლებითაც სარგებლობენ გერმანიაში, რომ ამით გააიაფონ ნახშირის პროდუქციის თვითღირებულება. გადიდებული მოგება განსაზღვრულ პირობებში გაყოფილი უნდა იქნეს გერმანელ და ინგლისელ ნახშირის მრეწველებს შორის. ასეთი გაერთიანების შედეგები რეხბერგს წარმტაც პერსპექტივებში აქვს წარმოდგენილი.

„ერთმანეთთან მჭიდროთ დაკავშირებული ინგლისისა და გერმანიის მრეწველობა,—სწერს რეხბერგი,—შეადგენს კავშირს, რომელიც თავის მხრივ ფოლადის წარმოების შესახებ საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების საშუალებით დაკავშირებული იქნება საფრანგეთის მადანთან. ასეთი მძლავრი სამრეწველო კომბინატი იბატონებს მთელ ევროპაზე".

გაზეთი თავის მხრივ აღნიშნავს, რომ წამოყენებული იდეით მეტად არიან დაინტერესებული გერმანიის მრეწველები.

ვ. შ—ი.

მუშათა მოძრაობა
ნორვეგიის ბურჟუაზიის შეტევა მუშათა კლასზე

ნორვეგიის ბურჟუაზია უკვე დიდი ხანია ემზადებოდა შეტევისათვის მუშათა კლასზე. ეკონომიურმა კრიზისმა, რომელსაც ნორვეგია განიცდის, შეაკავშირა ბურჟუაზია. უკანასკნელი ცდილობს კრიზისის მთელი სიმძიმე მუშათა კლასის ზურგზე გადაიტანოს. დღემდე კაპიტალის შემოტევა ხვდებოდა დარაზმული მუშათა კლასის მძლავრ წინააღმდეგობას. მაგრამ უთანხმოება თვით მუშათა კლასის ბანაკში, პროფკავშირების რეფორმისტ-ლიდერების მოღალატური ტაქტიკა, კომუნისტ ტრამელის და სხვ. მსგავს რენეგატების პოლიტიკური სპეკულიაცია,—ყველაფერი ეს მხედველობაში მიიღო და გამოიყენა ნორვეგიის ბურჟუაზიამ. როცა მან, დაბოლოს, გადასწყვიტა ცხოვრებაში გატარებია კანონი სავალდებულო არბიტრაჟის შესახებ.

ეს კანონი საერთო სახით შემდეგში მდგომარეობს:

ყველა კონფლიქტები მუშებსა და მწარმოებლებს შორის აუცილებლად უნდა განიხილოს ხუთი კაცისაგან შემდგარმა საარბიტრაჟო კომისიამ. თავმჯდომარესა და კომისიის ორ წევრს და აგრეთვე მათ მოადგილეებს ნიშნავს მეფე, დანარჩენ წევრებსა და მათ მოადგილეებს ირჩევენ მხარეები. თუ მხარეებმა დანიშნული დროისათვის არ დანიშნეს წარმომადგენლები, მათაც მეფე ნიშნავს. ამრიგად, საარბიტრაჟო კომისიაში შედის მუშების მხოლოდ ერთი წარმომადგენელი. კომისიის დადგენილება სავალდებულოა მუშებისათვის, თუ გინდ მათი წარმომადგენელი არც დაესწროს სხდომას. მაგრამ იმ დროს, როცა კომისიის დადგენილება ხელფეხს უბორკავს მუშებს, თვით კომისიას უფლება აქვს 6 თვის შემდეგ შესცვალოს თავისი გადაწყვეტილება. ეს ნიშნავს, რომ ფაქტიურად კოლექტიური ხელშეკრულება იდება მხოლოდ 6 თვის ვადით.

ამ კანონპროექტში კონსერვატორებმა და მემამულეებმა შეიტანეს მთელი რიგი შესწორებები, რომლებიც წარმოადგენენ ინგლისის მთავრობის მიერ პროფკავშირების წინააღმდეგ შემუშავებული კანონპროექტის ასლს.

ახალი კანონით, პროფკავშირები მთელი თავიანთი თანხებით პასუხისმგებელი არიან არა მარტო თავისი, არამედ ცალკე წევრების მოქმედებისათვისაც. ასე მაგალითად, თუ პროფკავშირის ცალკე წევრი აწარმოებს აგიტაციას გაფიცვის სასარგებლოდ, პროფკავშირი პასუხისმგებელია ამისათვის.

პარლამენტში ამ კანონპროექტის განხილვის დროს მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა ნიშნად პროტესტისა მიატოვეს სხდომა. კანონპროექტის განხილვა გადაიდო მეორე დღისათვის, როცა მუშათა პარტიების დეპუტატები დაბრუნდენ პარლამენტში. კანონპროექტი მიღებულ იქნა ბურჟუაზიული პარტიების ხმების უმრავლესობით და მას მიეცა უკუმოქმედების ძალა. (ე. ი. ის გაავრცელეს უკვე დაწყებულ და მომხდარ სამრეწველო კონფლიქტებზე). ამის წინააღმდეგ მუშათა პარტიების დეპუტატებმა სასტიკი პროტესტი განაცხადეს.

ნორვეგიის მუშათა გაზეთების ცნობით, მუშათა ორგანიზაციებმა უარი განაცხადეს წარმომადგენლის გაგზავნაზე საარბიტრაჟო კომისიაში.

ბურჟუაზიის ამ შემოტევამ სასტიკი პროტესტი გამოიწვია მუშებში. ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ზემოხსენებული კანონპროექტი ირჩეოდა პარლამენტში, მუშებმა მოაწყვეს დიდი საპროტესტო დემონსტრაცია. საპირველმაისო დემონსტრაციებიც ამ აღშფოთების ნიშან-ქვეშ ჩატარდა.

ნორვეგიის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ—**ხალვარ ულსენმა** საუბარში განაცხადა: „ნორვეგიის მუშათა კლასი იძულებულია შეიმუშაოს ბრძოლის ახალი მეთოდები".

ბურჟუაზიის შემოტევასთან დაკავშირებით „ნორვეგიის მუშათა კლასი იძულებულია შეიმუ ობის მთლიანობის სასარგებლოდ.

ა. პ.

პარტიული ცხოვრება

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტი ოპოზიციის გამოსვლის შესახებ

მოსკოვი, 6 ივნისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის პლენუმმა ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

„მოისმინა რა ამხ. ბუხარინის ცნობა კომინტერნის აღმასკომის პლენუმის მუშაობის შესახებ, მოსკოვის კომიტეტის მე-3 პლენუმი სავსებით ადასტურებს კომინტერნის აღმასკომის გადაწყვეტილებებს და სცნობს, რომ ისინი იძლევიან საერთაშორისო მდგომარეობის ნათელ, ბოლშევიკურ—ლენინურ შეფასებას და სისწორით სახავს კომპარტიის მოქმედების ხაზს საერთაშორისო რევოლიუციის განვითარებაში.

პლენუმის გადაწყვეტილებანი სისწორით არკვევენ ჩინეთის ანტიიმპერიალისტურ რევოლიუციის მორიგ ამოცანებს, რომელიც (რევოლიუცია) მიუხედავად ნაწილობრივი მარცხისა, გადადის აგრარული რევოლიუციის უფრო მაღალ საფეხურზე და მიიმართება პროლეტარიატის და გლეხობის რევოლიუციონურ-დემოკრატიული დიქტატურის დამყარებისაკენ.

პლენუმმა დასახა საერთაშორისო ბოლშევიკური ბრძოლის ამოცანები ომის ახალი საფრთხის წინააღმდეგ, რომლისათვის მზადება წარმოებს კომუნისტურ პარტიაზე და მუშათა კლასზე აშკარა შეტევის გზით ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში და განსაკუთრებით ინგლისში, რომელიც მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის მეთაური გახდა. ამ გადაწყვეტილებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, ვინაიდან იმპერიალისტები თავის უმთავრეს მახვილს მიმართავენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, როგორც პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს პროლეტარული რევოლიუციის და ჩაგრული ხალხების განმანთავისუფლებელი ბრძოლის ბაზას და დასაყრდენს.

მოსკოვის კომიტეტის პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს გადაჭრით და ერთსულოვან პასუხს, რომელიც კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა გასცა ტროცკის და ვუიოვიჩის გამოსვლებს, რომლებმაც პლენუმზე წარადგინეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ოპოზიციის შეხედულებანი და რომელნიც აშკარად აწყობენ ბლოკს გერმანიის და საფრანგეთის ულტრა მემარცხენე (მასლოვი, რუტ ფიშერი) და მემარჯვენე (სუვარინი და კომპანია) რენეგატულ ჯგუფებთან. კლასიური ბრძოლის გამწვავებასთან ერთად ეს ჯგუფები სულ უფრო და უფრო სწყვეტენ კავშირს კომუნიზმთან და მიილტვიან მენშევიკური ბანაკისაკენ. კომინტერნის აღმასკომის პლენუმის პასუხი ოპოზიციისადმი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ოპოზიციონური ჯგუფები ქმნიან მთლიან ანტილენინურ ბლოკს, თავს იფარავენ მემარცხენე ფრაზეოლოგიით, აშკარად ესხმიან თავს პარტიას და კომინტერნს, ლიკვიდატორულ შეფასებას აძლევენ მდგომარეობას და „პარაჟენცულ" ხაზს სახავენ კომინტერნისა და აგრეთვე საბჭოთა კავშირისათვის.

შეტევაზე გადმოსულ საერთაშორისო იმპერიალიზმთან ბრძოლის მაგიერად ისინი თავის მახვილს მიმართავენ პარტიისა და კომინტერნის წინააღმდეგ. კრიტიკით, რომელიც ცილისწამების ყოველგვარ საზღვარს შორდება, გადამახინჯებით და სიყალბით ოპოზიცია პირდაპირ არღვევს პარტიის რიგებს, იგი დაადგა ულტრამემარცხენე სოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობად გადაგვარების გზას და საქმით ეხმარება კომუნისტური მოძრაობის მტრებს.

მოსკოვის კომიტეტის პლენუმი მოსკოვის ორგანიზაციის ყველა წევრებს მიმართავს მოწოდებით, რომ ყურადღებით შეისწავლონ კომინტერნის აღმასკომის პლენუმის გადაწყვეტილებანი. პლენუმი მოსკოვის კომიტეტს მოუწოდებს, რომ ამ გადაწყვეტილებათა ირგვლივ მობილიზაცია მოუხდინოს ფართო პროლეტარული მასების საზოგადოებრივ აზრს და შეურყევლად განახორციელოს ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები სოციალისტური აღმშენებლობისა და საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების დარგში. მოსკოვის კომიტეტის პლენუმი გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ პარტია შესძლებს საკავშირო კომპარტიის (ბ) მთლიანობის დაცვას ოპოზიციური ბლოკის ნამსხვრევების ახალი ცდების წინააღმდეგ, რომლის შეხედულებანი კვლავ დაჰგმო კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა.

ოპოზიციონერების ბრძოლა საკავშირო კომპარტიის (ბ) მთლიანობისა და კომინტერნის წინააღმდეგ წარმოადგენს პროლეტარული დიქტატურისა და კომინტერნის უცუდესი მტრებისათვის პირდაპირი სამსახურის გაწევას. მოსკოვის კომიტეტის პლენუმი სცნობს, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ უნდა გააკეთოს ყველა აუცილებელი დასკვნები ოპოზიციის უკანასკნელი გამოსვლებიდან და წაართვას მას ყოველგვარი საშუალება იმისა, რომ შეარყიოს პარტიის რიგები საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის მწვავე გართულების პირობებში.

მოსკოვის კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ ოპოზიციამ თავისი გამოსვლებით ზინოვიევის და ტროცკის სახით უხეშად დაარღვია თავისი 16 ოქტომბრის დაპირება და პარტიის ცეკას წინაშე მოითხოვს, რომ ისინი გამორიცხულ იქნან ცეკას პლენუმის შემადგენლობიდან (ადს).

ლენინგრადის კომიტეტის პლენუმის რეზოლიუცია

ლენინგრადი, 6 ივნისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინგრადის კომიტეტის პლენუმმა აქტივის თანდასწრებით სავსებით მოიწონა კომინტერნის აღმასკომის მე-8 პლენუმის გადაწყვეტილებანი ყველა საკითხებში. პლენუმმა ღრმა აღშფოთება გამოსთქვა ოპოზიციის ბელადების გამოსვლების წინააღმდეგ და ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი ოპოზიციის საბოლოოთ ჩამოშორებას ლენინიზმისაგან. რეზოლიუციაში ნათქვამია: „უკანასკნელად, მთელი პარტიის ნებისყოფით აუცილებელია წესრიგისაკენ მოუწოდოთ თავაშვებულ ოპოზიციურ ბელადებს" (ადს)

აგიტპროპჯგუფების ხელმძღვანელთა თათბირი

მოსკოვი, 6 ივნისი. ცეკას აგიტპროპჯგუფების ხელმძღვანელთა თათბირმა თავის რეზოლიუციებში განსაზღვრა აგიტპროპჯგუფების 1927-28 სამოსწავლო წლის მუშაობის ძირითადი ხაზი და აგრეთვე დასახა პრაქტიკული ხასიათის მთელი რიგი წინადადებანი.

ამასთან ერთად თათბირმა მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი სპეციალურად საპროპაგანდო მუშაობის შესახებ ფასების დაკლებისა, წარმოების რაციონალიზაციისა და მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიებთან დაკავშირებით (ადს).

პირველი ცდა

ქალაქის რაიკომმა უჯრედების ბიუროების უკანასკნელი გადარჩევის დროს თბილისის ორგანიზაციაში გაატარა კომუჯრედების მდივნების მოადგილეთა გამოყოფის ცდა. მდივნების მოადგილეები გამოყოფილ იქნენ 7 კომუჯრედში, უმთავრესად საწარმოო უჯრედებში.

უჯრედების მდივნების გამოყოფის მიზანია—სამდივნო მუშაობის შესწავლა და უფრო აქტიური მუშების დაწინაურება ამ საქმეში. ამ ინსტიტუტმა, რაიკომის აზრით, კომუჯრედს უნდა მისცეს გამოცდილი თანაშემწე კომუჯრედის მდივნის შვებულებაში წასვლის ან ავადმყოფობის დროს.

ხშირად ასეთ შემთხვევებში კომუჯრედები იძულებული ხდებიან მდივნის მოვალეობათა აღსრულება მიენდოთ ისეთი ამხანაგებისათვის, რომელნიც ამ მუშაობას არ იცნობენ, რის გამოც პარტმუშაობა სუსტდებოდა.

ამასთან ერთად, ახალი ინსტიტუტი კომუჯრედს მისცემს საშუალებას გამოარკვიოს, თუ რომელი პარტიული უფრო გამოსადეგია ამ მუშაობისათვის. ცნობილია, რომ მთელ რიგ უჯრედებში ერთ და იმავე მდივანს რამოდენიმე წლის განმავლობაში ირჩევენ ზედიზედ და იგი ხდებოდა „შეუცვლელი" მხოლოდ იმის გამო, რომ კომუჯრედს არ ქონდა საშუალება გამოენახა მდივნის თანამდებობისათვის გამოსადეგი ამხანაგი. ამ მხრივ მდივნის მოადგილეთა ინსტიტუტი კომუჯრედს დაეხმარება ხშირად განაახლოს თავის მდივანთა შემადგენლობა.

ამჟამად, მდივნების მოადგილეებს თბილისში, როგორც სპეციალური სამუშაო, ეკისრებათ კომუჯრედის გადაწყვეტილებათა შესრულების აღრიცხვის გატარება და აგრეთვე ცალკე ამოცანების შესრულების შემოწმება. მათ ეკისრებათ აგრეთვე მუშაობა პარტორგანოებთან.

უნდა ვიფიქროთ, რომ მდივნების მოადგილეთა გამოყოფა დადებით როლს ითამაშებს. ამ ცდის ცხოვრებაში გატარების პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია.

მდივნების მოადგილეთა თათბირი, რომელიც ქალაქის რაიკომის მიერ იქნება მოწვეული ივნისში, მოგვცემს მასალას იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად ნაყოფიერად ჩატარდა ეს ცდა.

ქ. ბ—კი.

სამაზრკომის პლენუმი
(ლეჩხუმი)

ა.-წ. 28 მაისს შესდგა ს. ა. ლ. კ. კ. ლეჩ. სამაზრკომის გაფართოებული პლენუმის სხდომა თემკომის მდივნებთან ერთად.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. საქ. კ. კ. მე-2 კონფერენციის შედეგები. 2. ღარიბ გლეხთა ჯგუფებში კ. კ. მონაწილეობა. 3. მოჯამაგირეთა შორის მუშაობა. 4. ნ: 3: სამაზრო ბიუროს საანგარიშო მოხსენება. 5. საორგ. საკითხები.

გაფართოებულმა პლენუმმა ხაზი გაუსვა განსაკუთრებით მუშაობის ახალ ფორმებს და მეთოდებს, რომელიც გამომდინარეობდა საქ. კომ. კავშირის მე-2-ე კონფერენციის და საქ. კ. კ. მე-5-ე კონფერენციის დადგენილებებიდან.

კ. კავშირის ლეჩხუმის ორგანიზაცია იწონებს საქ. კომკავშირის ცეკას და საქ. კ. კ. ცეკას პოლიტიკურ ხაზს, რომელიც მიმართულია კომკავშირის ორგანიზაციის სწორ ლენინურ ფორმებში აღზრდისაკენ. გაფართოებულმა პლენუმმა დაადგინა სამაზრკომის საშუალებით ჩატარებული იქნას ყველა ძირითად ორგანოებში საქ. კ. კ. მე-5 კონფერენცია და საქ. კ. კ. მე-2-ე კონფერენციის დადგენილებებზე ფართო მოხსენებები, რომლიდანაც უნდა გამომდინარეობდეს კავშირის ორგანიზაციის წევრთა თართო მასების პოლიტიკურ და კულტურულ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება

ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შორის მუშაობის მოხსენებების ირგვლივ კამათის შემდეგ მიღებული იქნა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებებისა.

გაფართოებულმა პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პიონერ-ორგანიზაციაში სიძნელეების აღმოფხვრას. ამის შესახებ მიღებულ იქნა პრაქტიკული ხასიათის წინადადებანი.

მანაგაძე.

კედლის გაზეთების გამოკვლევა

გასულ თვეში ლენრაიკომმა სპეციალურ კომისიის საშუალებით ჩაატარა კედლის გაზეთების გამოკვლევა. გამოკვლევამ ნათელი გახადა ის გარემოება რომ, პარტუჯრედები ადგილებზე საკმარის ხელმძღვანელობას არ უწევენ კედლის გაზეთებსა და მუშკორთა წრეებს. ჩვენმა ორგანიზაციამ დიდი ხანია უარჰყო კომკავშირის უჯრედის მიერ ცალკე კედლის გაზეთის გამოცემა საერთო გაზეთების პარალელურად, მიუხედავად ამისა ზოგიერთ წარმოება - დაწესებულებებში ასეთ შემთხვევებს კიდევ აქვს ადგილი. ა. ლ. კ. კ. უჯრედის მიერ ცალკე გაზეთის გამოცემა თიშავს ახკორებს დანარჩენ მუშკორთა წრიდან და ასუსტებს საერთოდ კედლის გაზეთის მუშაობას. საჭიროა კომკავშირის რაიკომმა და უჯრედებმა მიიღონ ზომები მომავალში ამ მავნე პარალელიზმის მოსასპობათ.

ზოგიერთ სარედაქციო კოლეგიებში დღემდე არსებობს კომფრაქციები. რასაკვირველია, ასეთი ფრაქციების არსებობა არ შეიძლება გავამართლოთ რაიმე მოსაზრებით. მათი დაშლა აუცილებელია.

დასასრულ, გამომკვლევმა კომისიამ აღნიშნა, რომ ადმინისტრატორები ყურადღებით არ ეპყრობიან კედლის გაზეთებში მოთავსებულ შენიშვნებს, ამ ნაკლის გამოსასწორებლად კომისიამ საჭიროდ ჩასთვალა პარტიულ ადმინისტრატორების მიწვევა კედლის გაზეთების საკითხის შესახებ გამართულ თათბირზედ.

ქ. ლ—ი.

პოლიტგანმანათლებელი მუშაობა მოისუსტებს

ბაღდათის თემის კომუჯრედში შემავალი კ. პ. კანდიდატთა ჯგუფის მუშაობა პოლიტიკურ აღმზრდელობითი დარგში ძლიერ მოისუსტებს. ამის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს თვით განვითარების საკითხის მოუგვარებლობა. პარტამხანაგები გაზეთებს არ იწერენ, და ვისაც გამოწერილი აქვს, არ კითხულობს. სახლის „გასაშპალიერებლად" ინახავენ, რაც სამწუხარო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

თუ რა მდგომარეობა იქნება პოლიტიკურ ლიტერატურის გაცნობის დარგში ამაზე პასუხის გაცემა მკითხველისათვის მიმინდვია.

საჭიროა ჩემის აზრით იმ დაბრკოლებების შესწავლა, რომელნიც ადუნებენ უჯრედის ენერგიას პოლიტგანათლების დარგში.

პროლეტარი.

თბილისის კომიტეტში
როგორ მუშაობს პროლეტსტუდენტების ბიურო

ორ ივნისს, თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო თათბირის სხდომაზე მოსმენილ იქნა კომისიის მოხსენება პროლეტარულ სტუდენტთა თბილისის ბიუროს გამოკვლევის შესახებ. თათბირმა აღნიშნა, რომ ბიუროს აქვს მიღწევები ძირითად ორგანიზაციების ხელმძღვანელობის დარგში. ბიურო გადასულა აგრეთვე გეგმიან მუშაობაზე და სტუდენტთა საგრძნობი რაოდენობა ჩაუბამს პროფკავშირებში. გაუმჯობესებულა სტუდენტთა პროფესიონალურ ორგანიზაციების მონაწილეობაც უმაღლეს სასწავლებელთა აკადემიურ ცხოვრებაში. არის მიღწევები კულტურულ - განმანათლებელ მუშაობის დარგში. ბიუროს გაუმჯობესებია პროლეტარულ სტუდენტთათვის ნივთიერი დახმარების საქმე (ჩაუტარებია სტუდენტთა კვირეული, გაუხსნია სასადილო ოთხასი კაცისათვის და სხვა).

ამასთანავე აღნიშნულ იქნა შემდეგი ნაკლი:

ბიურო არ უწევდა საკმაო ცოცხალ ხელმძღვანელობას ძირითად ორგანოების მუშაკებს, არ იწვევდა მათ თათბირებს, რის გამო არ სწარმოებდა გამოცდილებათა გაცვლა - გამოცვლა უმაღლეს სასწავლებელთა ორგანიზაციებს შორის. იშვიათად ისმებოდა აგრეთვე ბიუროს სხდომებზე ადგილობრივი ორგანიზაციების მოხსენებები. სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პოლიტეხნიკუმში არ იყო კლუბი, რის გამო სუსტად იყო დაყენებული მასიური პოლიტიკურ - განმანათლებელი და კულტურული მუშაობა და სხვა.

თათბირმა გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი მუშაობის გასაცხოველებლად. თბილისის ბიუროს წინადადება მიეცა გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა ძირითად ორგანიზაციებზე, მოიწვიოს ძირითად ორგანიზაციების მუშაკთა თათბირები, მოისმინოს ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაკთა მოხსენებები, ჩაატაროს ამ ორგანიზაციების მუშაობის წინასწარი გამოკვლევა სხვა უმაღლეს სასწავლებლების პროფაქტივის ძალებით და ამრიგად ხელი შეუწყოს გამოცდილებათა გაცვლა - გამოცვლას უმაღლეს სასწავლებელთა ორგანიზაციებს შორის

იმ მიზნით რათა დამყარებულ იქნას კავშირი სტუდენტობასა და საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს შორის მიზანშეწონილად ცნობილ იქნა სტუდენტთა პარტიულ და პროფესიონალურ [illegible] წარმოება - დაწესებულებებს მათ ფაკულტეტებისა და განყოფილებების მიხედვით, [illegible] საბჭოებში და კოოპერაციებში. წინადადება მიეცა თბილისის ბიუროს ფრაქციას დააყენოს საკითხი უმაღლეს სასწავლებლების გასამხედროების შესახებ და ახალ სამოსწავლო წლიდან დაწყებულ იქნას ამ მიმართულებით მუშაობა. ვინაიდან ბიუროს ეხლანდელი შემადგენლობაში უპარტიოთა რიცხვი მცირეა (10 პროც. მომავალ არჩევნების დროს მიღებულ იქნას ეს გარემოება მხედველობაში და გადიდებულ იქნას უპარტიოთა პროცენტი.

ძ—ია.

მუშაობის გაუმჯობესების გზით
(ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს კომუჯრედი)

გასულ წელს თბილისის კომიტეტის მიერ შექმნილმა კომისიამ სხვა უჯრედებთან ერთად გამოიკვლია ა.-კ. რკ. გზათა სამმართველოს უჯრედის მუშაობაც. გამოკვლევამ გამოააშკარავა მრავალი ნაკლი ხსენებულ უჯრედის მუშაობაში. თბილისის კომიტეტმა გამომკვლევ კომისიის დასკვნის საფუძველზე შეიმუშავა საჭირო ღონისძიებები და წინადადება მისცა უჯრედს ამ ღონისძიებათა მიხედვით ეწარმოებინა თავისი მუშაობა.

რამდენიმე დღის წინად ლენ-რაიკომის პრეზიდიუმმა მოისმინა რკ. გზ. სამმართველოს უჯრედის მოხსენება. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, უჯრედს მტკიცედ უხელმძღვანელებია თეკას დირექტივებით, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულა მისი მუშაობა. ეს გაუმჯობესება გამოიხატება იმაში, რომ უჯრედმა შესძლო მუშა-მოსამსახურეთა მასების ჩაბმა ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში, აღმოფხვრა კინკლაობა და ინტრიგები რასაც ადგილი ჰქონდა წინად, შექმნა ხელსაყრელი ატმოსფერა მუშაობისათვის და სხვ.

მიუხედავათ ამისა უჯრედის მუშაობაში მაინც დარჩა ზოგიერთი ნაკლი, როგორიცაა მაგალითად პარტმოვალეობათა არათანაბარი განაწილება, სუსტი დასწრება პარტიულ კრებებზედ, ა. ლ. კ. კ. უჯრედზედ მიმაგრებულ ამხანაგების სუსტი მუშაობა და სხვ.

აღნიშნულ ნაკლთა გამოსწორებისა და უჯრედის წინაშე დასმულ ახალ ამოცანათა შესრულების მიზნით, რაიკომის პრეზიდიუმმა მისცა უჯრედს მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები.

ქ. ხ—ლი.

მუშათა აქტივის მიმაგრება დაწესებულებებზე

იმ მიზნით, რათა ჩაბმულ იქნას მუშათა აქტივი ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში და საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების საქმეში, თბილისის კომიტეტთან არსებულმა საორგანიზაციო თათბირმა გადასწყვიტა მიმაგროს ცდის სახით აქტივისტ მუშათა ჯგუფი რამოდენიმე საბჭოთა დაწესებულებებზე. მიმაგრებულთა მუშაობა უნდა გამოიხატებოდეს შემდეგში: ისინი უნდა გაეცნონ დაწესებულებების მუშაობას, ამ დაწესებულებასთან ხელმძღვანელების საშუალებით გამოარკვიონ დაწესებულებათა მუშაობის უარყოფითი მხარეები (ბიუროკრატიზმი, ვოლოკიტა, და სხვა). მათ უნდა მიიღონ ზომები აღმოჩენილ ნაკლის თავიდან ასაცილებლად, დაამუშაონ ეს საკითხები დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან და ორგანიზაციებთან და აგრეთვე საბჭოს სათანადო სექციასთან ერთად, გადაიტანონ საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც მათი გადაწყვეტა არ შეიძლება დაწესებულებაში სათანადო სექციაში და აწარმოონ თავის მუშაობის აღრიცხვა.

აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილებამ დაევალა ჩაატაროს აქტივისტ მუშათა აღრიცხვა მსხვილ წარმოებებში (პროფკავშირების საშუალებით). ამავე დროს მოიწვიოს სექციების ბიუროთა თათბირი და პრაქტიკულად განიხილოს საკითხი მუშათა აქტივის შექმნის შესახებ საბჭოთა დაწესებულების გარშემო; დაამუშაოს დაწვრილებითი ინსტრუქცია მიმაგრებულ მუშების მუშაობის შესახებ, აარჩიოს დაწესებულებები აქტივისტების მისამაგრებლად (არაუმეტეს ათისა პირველ ხანებში). პირველ სექტემბრისათვის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებასთან ერთად ჯამი გაუკეთდეს მიღებულ გამოცდილებას.

ძ—ია.

კომკავშირში
დისციპლინა — წარმოებითი მუშაობის საწინდარია

დისციპლინა პირველი პირობაა საქმის წარმატებით წასაყვანათ. კომუნისტური პარტია და მისი ახალი თაობა — კომკავშირი ცნობილნი არიან თავისი დისციპლინის სიმტკიცით. ამას მიეწერება უმთავრესად ის გარემოება, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელსაც მეთაურობს კომუნისტური პარტია, უდიდესი დაბრკოლებანი და წინააღმდეგობანი მამაცურად და სახელოვნად გადალახა.

ეს კი ხშირათ ავიწყდებათ კომკავშირის ზოგიერთ ორგანიზაციებს. ისინი ვერ ითვალისწინებენ ყოველთვის იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც აქვს ჩვენს მუშაობაში დისციპლინას და ამიტომ ბევრგან შევხვდებით კომკავშირულ დისციპლინის უხეშათ დარღვევას. ეს სენი იწყება მცირეოდენიდან: კრებაზე დაუსწრებლობა, ხმაურობა სხდომის დროს, შემდეგ ამას მოსდევს უჯრედის დავალების შეუსრულებლობა, კომკავშირის დადგენილებებისა დაუმორჩილებლობა და დასასრულ ასეთი ელემენტები სრულიად განკერძოებით ცხოვრობენ კომკავშირისაგან. არ გრძნობენ მასთან არც იდეურ და არც ფაქტიურ ორგანიზაციულ კავშირს.

ხშირად ასეთ მდგომარეობას ხელს უწყობს თვით უჯრედის ხელმძღვანელი ორგანო. მისი სისუსტე, არევ - დარევა ერთმანეთში კომკავშირულ და პირად დამოკიდებულების საკითხების მოკლეთ „ძმა - ბიჭური" და არა კომკავშირული ამხანაგური ატმოსფერის შექმნა უჯრედის მუშაობაში. ამასვე უწყობს ხელს კომკავშირის წევრების ჯგუფობრივი დანაწილება თვით უჯრედის ფარგლებში.

ხშირათ პირად განწყობილების თუ რაიმე სხვა შემთხვევითი გარემოების ნიადაგზე უჯრედში იქმნება ცალკე „მეგობრული" ჯგუფები, რომელნიც ყოველთვის და ყოველგან ერთად არიან. ეს ქმნის ანტაგონიზმს ცალკე ჯგუფებს შორის, რაც საბოლოო ანგარიშით დიდ უარყოფით გავლენას ახდენს კომკავშირის მუშაობაზე.

ასეთ მოვლენებს კომკავშირის უჯრედებმა სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს. ამხანაგური, კომკავშირული ურთიერთობის დამყარება უჯრედის წევრთა შორის პირველი პირობაა მუშაობის სისწორით და ჩქარი ნაბიჯით წინ წასაყვანათ. ეს კი შესაძლებელია, თუ უჯრედის წევრთა შორის იქნება შეგნება დისციპლინის მნიშვნელობის და მის შერყევისაკენ მიმართულ ყოველგვარ შემთხვევას, თავიდანვე სასტიკად შეებრძოლება კომკავშირის მოწინავე ელემენტები.

ქ. კ—ლი.

მოჩხუბრების უჯრედი
(თბილისის მაზრა, არტნის თემი)

არტნის თემში არის ა. ლ. კ. კავშირის უჯრედი 15 წევრის შემადგენლობით. კომკავშირში თავმოყრილია სოფლის მშრომელი ახალგაზრდობა. რომლებსაც თავიდან ვერ აუცილებიათ ძველი დახავსებული ზნე-ჩვეულება.

დადიან ხატში, ეკლესიაში, ქელეხში და სხვ.

17 მარტს ერთის მიცვალებულის ქელეხში სასტიკად დათვრენ ბიძაშვილები და დალუურები. ერთმა ესროლა მეორეს ვინტ. თოფი გაარტყა მხარში და სასტიკად დააშავა ის. ყოველივე ასეთები არტნის კომკავშირში იმის ბრალია, რომ თიანეთის თემკომის მდივანი ნაკლებ ყურადღებას აქცევს კომკავშირის მუშაობას.

ეგოსუპერბი.

შეცდომის გასწორება

კომინტერნის აღმასკომის პლენუმის რეზოლიუციაში ჩინეთის საკითხის შესახებ (იხ. „კომუნისტი" № 126) გაპარულია შემდეგი კორექტურული შეცდომა: მერვე სვეტზე ზევიდან მეშვიდე აბზაცი იწყება ასე: „კომინტერნის აღმასკომში, მიზანშეწონილად სთვლის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ლოზუნგის წამოყენებას", უნდა იყოს: „კომინტერნის აღმასკომი **მიზანშეუწონლად** სთვლიან და სხვ.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

წყალტუბოს კურორტზე

ქუთაისი, 5 ივნისი. წყალტუბოს კურორტზე დიდძალი ავადმყოფები ჩამოდიან. სამმართველოს და კერძო მოქალაქეების შენობები სავსებით დაკავებულია ავადმყოფების მიერ. ზოგიერთი ავადმყოფი ქუთაისში ქირაობს ბინას და იქიდან დადის ყოველდღე სამკურნალოდ. კურორტზე ეწყობა დიზელი და 28 ცხენის ძალიანი დინამო-მანქანა ელექტრო-სადგურისათვის.

სახალხო სახლის გახსნა

ქუთაისი, 6 ივნისი. ქუთაისის მაზრაში ღანირ-ჭაგანის თემში გაიმართა ახლად აგებულ სახალხო სახლის საზეიმო გახსნა. გახსნას დაესწრენ საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე და. პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები

ჰაეროდრომი

ქუთაისი, 5 ივნისი. ქუთაისის აღმასკომმა 5.000 მანეთი გადასდო ჰაეროდრომის მოსაწყობად ქალაქიდან 3 ვერსის დაშორებით, წყალტუბოსაკენ. ჰაეროდრომის სივრცე უნდა უდრიდეს 13.500 კვ. მეტრს. სამუშაოების ჩასატარებლად ეწყობა კვირაობა წითელარმიელების და კომკავშირლების მონაწილეობით. პირველ კვირაობაში მონაწილეობა მიიღო 400 კაცმა (ადს).

აჭარისტანი

ბათომის ნავთსადგურში

ბათომი, 6 ივნისი. ნავთსადგური წინანდებურად გამოცოცხლებულია. ყოველდღე მოდის სამი-ოთხი გემი. 3 ივნისს ნავთის პროდუქტებით იტვირთებოდა უცხოეთის 4 გემი და ერთი საბჭოთა გემი „ელბრუსი". მათ გარდა, მოვიდა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის ორი გემი: „წითელი ფლოტი" და „ლენინი" (ადს).

წერილები

სკოლები დროზე შევაკეთოთ

ხშირად კორესპონდენციები მოგვდის გლეხკორებიდან სოფლის სკოლების მდგომარეობის შესახებ. ზოგან სკოლას სახურავი არ აქვს, წვიმა ჩამოდის, შენობა ფუჭდება და ლპება; ზოგან ფანჯრები ჩამტვრეულია; პარტები არ არის; ზოგ სოფელში კი შენობა ვიწროა; ყველა სკოლებში შესვლის მსურველებს ვერ იტევენ და ამიტომ ბავშვები უსწავლელი რჩებიან და სხვა.

ამ მდგომარეობას უსათუოდ ყურადღება უნდა მიექცეს. ზაფხულის არდადეგები იწყება. ეს დრო ჩვენ უნდა გამოვიყენოთ სოფლად ძველი სკოლის შენობების შესაკეთებლად, გასაფართოებლად და ახალის ასაგებათ. თემის საბჭოების საამშენებლო სექციებმა და სოფლის სხვა ორგანიზაციებმა ამას აქიდანვე უნდა მიაქციონ ყურადღება. ამ სამ-ოთხ თვეში გაძლიერებული მუშაობა უნდა აწარმოონ; რომ სწავლის დაწყების დროს სკოლები შეძლებისდაგვარად მოწყობილი ქნე. სოფელი სკოლისათვის არაფერს არ ზოგავს; გლეხი მზადაა უკანასკნელი კაპეიკიც კი გაიღოს ამ საქმისთვის ოღონდ ბავშვები არ დარჩეს სკოლის გარეთ. ამიტომ აქიდანვე უნდა იქნენ სოფლებში ამორჩეული სასკოლო კომისიები, რომლებიც გაუძღვებიან ამ საქმეს;—გააწერენ გლეხებს და შემდეგ შეუდგებიან სკოლების მოწყობას.

ამასთანავე ყურადღება უნდა მიექცეს; რომ არ დაიწყონ დიდი შენობის აგება, რომლების დამთავრებას სოფელი ვერ შესძლებს. ასეთ დღეს ბევრ თემში აქვს ადგილი—დაიწყებენ დიდ შენობას და უსახსრობის გამო 4—5 წლის განმავლობაში დაუმთავრებელი რჩება, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს გლეხებში. აღმშენებლობა უნდა შევუფარდოთ სალსარს; ისეთი საქმე არ უნდა დავიწყოთ; რის დამთავრებასაც ვერ შევსძლებთ.

თემსაბჭოებმა ზაფხულის თვეები უნდა გამოიყენონ სკოლების მოსაწყობათ; ამიტომ აქედანვე უნდა შეუდგენ მუშაობას.

თ—ა.

წიგნების გავრცელების შესახებ სოფლად

(თარჯოლის თემი, შორაპნ. მაზრა)

თვითეული სოფლად მომუშავე ამხანაგი, და ყველაზე უფრო ქოხ-სამკითხველო უნდა ზრუნავდეს გლეხობაში გაზეთების, და გლეხობისათვის გამოსადეგ წიგნების გავრცელებას. როგორი წიგნები უნდა გავავრცელოთ გლეხობაში? ისეთი, რომელიც ხელ-მისაწვდომი და გამოსადეგი იქნება. ამას ზოგიერთი გამომცემლობა და ცენტრიდან მოვლინებული ამხანაგები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. მოვიყვანთ მაგალითს:

13 მაისს, თერჯოლის თემის ერთ სოფელში, სახელდობრ, სიქთარვაში, ჩამოვიდენ ჩოგოვაძე და ერთი მისი ამხანაგი და გლეხებს აძალებდენ შეეძინათ მთელი ერთი კომპლექტი — 6 წიგნი ღირებული ცხრა მანეთად. გამოეწვიათ ასის თავი თემაღმასკომის დაუკითხავად და დადიოდენ გლეხებში. აი ის წიგნები, რომლებსაც ისინი ყიდდენ: 1) ქართული მუსიკა, 2) ძველი ქართული ლიტერატურა და სხვა ისეთი წიგნები, რომლებიდანაც ჩვენი გლეხი ვერას გაიგებს რას. ერთმა გლეხმა გაიგო, რომ დაძალების უფლება არ ყოფილა წიგნების შესაძენად, მეორემ კიდევ ვერა გაიგო რა ამ წიგნებიდან, მოითხოვა ისევ უკან წაეღოთ ეს წიგნები და ნაასხები ფული უკან დაებრუნებიათ.

ჩვენ ვკითხულობთ: აქვს თუ არა ვინმეს, მით უმეტეს წიგნების გამყიდველს გლეხების დაშინება წიგნების შესაძენად.

საჭიროა გლეხებს მივაწოდოთ იაფ-ფასიანი და მისთვის გასაგები და ცხოვრებაში გამოსადეგი წიგნები.

ვალ—ია.

საძოვრის საქმე უნდა მოგვარდეს

(ზემო რაჭა)

ზემო რაჭის ზოგიერთ სოფლებს გომს, ქედს, წედის და სხ. ზაფხულობით ივნისიდან ივლისის დამლევამდი მთაში მიყავთ საძოვრათ საქონელი. ვინაიდან ამ სოფლებში საბალახოები არ მოიპოვება. ამ სოფლებს საძოვარი მთები აქვთ დვალეთის გადასავალ საზღვართან. უხსოვარ დროიდან ეს სოფლები ფლობენ ამ მთებს და დაყავთ საძოვრათ ჯოგი.

როდესაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ეს მთები სამხრეთ ოსეთის ოლქმა მოიქცია თავის ფარგლებში. ამის შემდეგ თავისუფლათ ველარ დაყავთ ამ სოფლებს საქონელი მთაში. ოსები ელობებიან წინ. ეს მთა ეხლა არავის საკუთრება არაა სახელმწიფოთ ითვლება როგორც თევზი უწყლოთ არ ივარგებს, ისე ეს სოფლები უმთოდ არ ივარგებენ. თუ ზომები არ იქნა მიღებული ეხლა ივნისისათვის. უსათუოდ კიდევ მოხდება კონფლიქტი. ამას უნდა მიაქციოს ყურადღება როგორც რაჭის მაზრის, ისე ოსეთის აღმასკომმა და აუცილებლად მოაგვარონ ეს საქმე.

მახვილი.

წერილებიდან

— **მდგომარეობა ბაზარზე.** (ქ. ხონი). ამ ბოლო დროს ბაზარზე ძლიერ ნაკლებათ შემოდის პურეული - სიმინდის ფქვილი. რაც შემოდის ის მოთხოვნილების 50 პროცენტსაც ვერ აკმაყოფილებს. ფასებმაც აიწია. ფუთი სიმინდის ფქვილი 1—20 კაპეიკიდან 2 მანეთამდე ავიდა, აგრეთვე თეთრი პური თუ კი ღირდა 9 კაპ. ეხლა ღირს 10 კაპ. მოთხოვნილება აგრეთვე დიდია ჩითზე, ნარმაზე და საერთოდ თეთრეულზე. კოოპერატივები ამ მხრივ სიცალიერეს განიცდიან. რაც შეეხება ფასებს, მას ფასდაკლება არ ემჩნევა. მართალია, აპრილის პირველ რიცხვებიდან ჩვენს კოოპერატივებში ფასდაკლება მოხდა საშუალოდ 6 პროცენტამდე, მაგრამ როგორც კი მოიტანეს ახალი საქონელი, ის ისევ ძველ ფასებში იყიდება. კოოპერატივები ამ მოვლენას ხსნიან ცენტრიდან მაღალ ფასებში საქონლის შეძენით.

დიდი მოთხოვნილებაა საკლავ და სამუშაო საქონელზე, საშუალო მუშა ხარი წინედ თუ ღირდა 90 მან. დღეს 120-130 მანეთია.

— **გზები არ გვივარგა.** (საგარეჯო, გარე-კახეთი). სოფ. საგარეჯოდან სადგურამდე ისეთ მდგომარეობაშია გზები რომ ეტლს ვერ გაუვლია, დიდი ვაი ვაგლახით და ვაი-ვუის ძახილით უხდება მგზავრს ჩასვლა სადგურზე.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და აგრეთვე საჭიროა წვიმის წყლის სადინი არხების ამოწმენდა - გაღრმავება. ვფიქრობთ, რომ აღმასკომი ზემონათქვამს მიიღებს მხედველობაში და გზებს შეგვიკეთებს.

გ. გარსიაშვილი.

— **ჩვენი მიღწევა.** (ოზურგეთის მაზრა, ჩოჩხათის თემი). 8 მაისს მოხდა ჩოჩხათის თემის ამხ. კოწია ხომერიკის სახელობის სახალხო სახლის საზეიმო გახსნა. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე ავდრიანი დღე იყო, სახალხო სახლის საზეიმო გახსნას მთელი მოსახლეობა დაესწრო. სტუმრებმა წარმოსთქვეს მგრძნობიარე სიტყვები საბჭოთა ხელისუფლებისა და მის კულტურული მუშაობის შესახებ. ამის გარდა სიტყვები წარმოსთქვეს ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

ი. ორაგველიძე.

— **რატომაა ასე?** რკ.-გზ. ზეინკლებს სპეცტანსაცმელის განაწილების მიხედვით ეკუთვნით მხოლოდ ტუჟურკები და ხელთათმანები, მაშინ როდესაც უბრალო მუშებს უკეთესი ტანსაცმელი ეძლევათ. რატომაა ასე?

ინგურ.

— **რადიო ჩვენში** (ლია, ზუგდიდის მაზრა). ლია'ში დადგმული იქნა რადიო მიმღები აპარატი ინჟენერ სერებრიაკოვის მიერ, ადგილობრივ ქოხ -სამკითხველოსთან 21 მაისს 1927 წ. აპარატის დადგმის ღამესვე მოსმენილი იქნა სხვადასხვა ქალაქებიდან მოხსენებები, კონცერტები და სხ. კვირაში ოთხჯერ ისმენს ხალხი ხარკოვიდან, სტამბოლიდან და სხვ. მოხსენებებს, კონცერტებს, ოპერებს და სხვ. ჩამოყალიბებულია ქოხ-სამკითხველოს საბჭოს ინიციატივით თემში რადიო მეგობართა წრე.

პლ. როგავა.

მუშათა ცხოვრება

უღელტეხილის ტკივილები

უღელტეხილს, თავისი განსაკუთრებული ტკივილები აქვს, რომელსაც განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა უნდა.

ეს ლიანდაგის ნაწილი თავისი ციცაბო მოხვეულებით და ტეხილებით, დიდათ განსხვავდება ლიანდაგის სხვა ნაწილებიდგან.

უნდა ითქვას, რომ შედარებით წარსულ წლებთან, ის დღეს გცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, მაგრამ ეს არ კმარა, რადგან მისი ამოცანები წარსულ წელთან შედარებით გასკეცებულია.

წარსულ'ში აქ მსუბუქი ორთქლმავლები მუშაობდენ (სერია „ჩ და ფერელა"), დღეს კი მძიმე ორთქლმავლებია მოძრაობაში და ამ 10—12 წყვილი მატარებლების მაგივრად, რაც მაშინ იყო მოძრაობაში, განრიგებით 19 წყვილია, გარდა მუშა, დამხმარე და საგანგებო მატარებლებისა.

ამასთანავე, თუ წარსულში ადვილი ჰქონდა ტვირთის გადაზიდვის დაგროვებას დღეს მძიმე ორთქლმავლების წყალობით ასეთი შემცირებულია, მაგრამ მეორე მხრივ ეს მძიმე ორთქლმავლები საშინელ ცუდს გავლენას ახდენენ ლიანდაგის მდგომარეობაზე. როგორც ამბობს ვაჟკაცს ვერ შეუძლებს სუსტი კაცის სამოსი, ისე ამ ორთქლმავალს ვერ უძლებს ლიანდაგის ზედ ნაშენი, ე. ი. თვით ლიანდაგის მასალა.

გორის და ნავთლუღის შპალეთის საჟღენთი ქარხნებიდან ვამოგზავნილი შპალები დაბალი ღირსების აღმოჩნდა და 2—3 წელიწადს ვეღ ძლებენ.

თელას შპალები ისეთივე ხარისხისაა და მათი გამძლეობა 2—5 წელიწადს არ აღემატება, სანდარის მუხის შპალები 50 პროც. ზომა ნაკლები და დაგრეხილი გამოდის და ამავე დროს ხშირ შემთხვევაში არა აქვს თავებში დარტყმული გამირები (სკობები), რაც შპალს დახეთქვიდან უნდა უზრუნველ ყოფდეს. (

თვით რელსები, რომელიც 1925 წელში მივიღეთ და ლიანდაგზე დაეგო, დაბალი ღირსების გამოდგა.

მათი დაგებიდგან 2 წელს არ ვაუვლია და უვარგისთა რიცხვი 10 პროც. აღწევს, ასე რომ ერთი წლის შემდეგ უვარგისები, შესაცვლელად ლიანდაგის მარაგი აღარ გვექნება და 5—6 წლის შემდეგ მათი მთლიანი გამოცვლა იქნება საჭირო.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამ მძიმე რელსებთან არ მოყოლია თავის ჯიშის საკმაო სიმაგრეები და უბნები იძულებულნი გახდენ ეს რელსები ძველი მსუბუქი სამაგრეებზე დაეგოთ, მაგრამ მათი ხარისხის და სიდიდის სხვადასხვაობა თვალსაჩინოა.

ყველა ამას ზედ ერთვის შემადგენლობის რონოდათა რიცხვის და წონის გადაჭარბება, რაზედაც მრავალი წერილები იწერებოდა, მაგრამ ამას სათანადო ყურადღება არ მიექცევია. ასეთის გადაჭარბება კი, იწვევს ორთქლმავლის მთელი ძალის დაჭიმვას, ბორბალთა ერთ ადგილას თრეობას და ორთქლმავლის ქანაობას ყველა მიმართულებით, რაც გლეჯავს რელს ზედა პირებს, აგანიერებს გზას და აბრუნდებს ლიანდაგის მიმრთულებას.

დაფიქრებული.

ანგარიში სწერს, საქმე სდგას

ა.-წ. მარტის ბოლო რიცხვებში ა.-კ. რკ. გზ. სატყეო განყოფილებამ გადასცა სამასალო განყოფილებას თავის გამგებლობაში სად. ჭიათურის ხე-ტყის მასალის საწყობი.

გადაბარების დროს სხვა მასალებთან ერთად „გადაბარებული" აღმოჩნდა ორი დარაჯი. ერთი თვის შემდეგ დარაჯებმა მოითხოვეს კუთვნილი ჯამაგირი.

9 მაისს საწყობის გამგემ მიმართა წინადადებით სატყეო განყოფილებას — გაესტუმრებია დარაჯები, რაზედაც განყოფილებამ სრულიად სამართლიანად უპასუხა, რომ საწყობი ჩაბარებული აქვს სამასალო ვანყოფილებას და შტატიც მისი შესანახია. მაშინ საწყობის გამგემ მიმართა განმარტებისათვის 1 უბნის რევიზორს, რომელმაც თავის მხრივ მიმართა კაპანაძეს ვებერთელა მოხსენებით, სადაც ადასტურებდა დარაჯების „ჩაბარების" ფაქტს და მოითხოვდა ორი თვის ჯამაგირს. ეს უკანასკნელი ამ საქმეს მიუდგა „კაზიონურად" და შინაარსის გაუგებრად დაადო განაჩენი. „ეთხოვოს სატყეო განყოფილებას მისცეთ მათ ჯამაგირი".

გაზრდილი მიმოწერა თითქმის ოც ფურცლად დაუბრუნდა ისევ სატყეო განყოფილებას, დარაჯები კი დღესაც უჯამაგირონი რჩებიან.

ასეთ გაჭიანურებისათვის მუშგლეხინმა ზოგიერთებს ყური მაგრათ უნდა აუწიოს.

ა. სტრიშკო.

საყურადღებო წვრილმანი

— **მოწაფეები ექსკურსიაზე.** 5 ივნისს მოეწყო რკინისგზის მე-32 შრომის სკოლის მოწაფეთა ექსკურსია „ზაჰესში". მოწაფეებმა დაათვალიერეს საამშენებლო უბანი, გაეცვნენ ელექტროფიკაციის მნიშვნელობას ინახულეს ტურბინები, რითაც ისინი კმაყოფილნი დარჩენ.

სასურველია ასეთი ექსკურსიები მომავალ სასწავლო წელსაც მოეწყოს.

გ. ჯავახიშვილი.

— **სისუფთავეს არ იცავენ.** გოგებაშვილის მეორე შესახვევში არის სახლი № 20. ამ სახლში არამც თუ ცხოვრება, მასთან ახლო გავლაც კი შეუძლებელია. საქმე ისაა, რომ აქ ყოველგვარ სიბინძურეს პირდაპირ სახლის წინ ყრიან; ამას ემატება ის გარემოება, რომ ერთმა მდგმურმა ხელი მოჰკიდა ღორების მოვლა-მოშენებას.

სანიტარული კომისია უნდა ესტუმროს ამ ეზოს.

ფ. პ—ა.

— **„შინაურულად" აწყობენ.** როდესაც მატარებელზე სამოსამსახურო 2 ღერძიანი რონოდაა მობმული ასეთ რონოდებზე ვამყოლი არ უნდა ინიშნებოდეს. მაგრამ როცა მიდის ვინმე „დიდი კაცი" ისინი გამყოლების დანიშვნას აწყობენ „შინაურულად".

26 მაისს მატ. № 13 უნდა შებმულიყო რონოდა 129 ინსტრუქტორ ლენევიჩისათვის. წევის დარგის უფროსი სწერს თავის; თანაშემწეს ერთი გამყოლი დაუნიშნეთ მატარებელსო; გამყოლი მართლაც დანიშნულ იქნა და დაბრუნდა ჯულფიში მატარებელთან ერთად. 7 დღის მივლინების ფული კი გამყოლს, რა თქმა უნდა მისცა რკინისგზამ.

ასეთი შინაური მოწყობით რკ. გზის ბიუჯეტს ზარალს აყენებენ.

მუშკორი—სანი.

— **ადმინისტრაციის „მომჭირნეობა".** მიმდინარე წლის აპრილში სამსახურიდან დაითხოვეს სადგ. თბილისის თანამშრომლები კოკაია, კობანი, გონაძე და ჯვარშეიშვილი, რომლებიც ერთი თვის შემდეგ ისევ აღადგინეს სამსახურში და მათ უკანონოდ მოხსნის გამო გადაუხადეს ერთი თვის ჯამაგირი. რკინისგზას ეს დაუჯდა 500 მანეთზე მეტი.

ნუ თუ ბოლო არ უნდა მოეღოს ასეთ სიმახინჯეს?

სანი.

— **რატომ დასტოვეს?** ჩაქვის სახალხო მამულს გასულ წელში ქონდა ბამბუკის სახელოსნო, რომელიც დეფიციტს იძლეოდა. სახელოსნოში მუშაობდა 4 შტატში მყოფი მუშა. უკანასკნელი დაიხურა ა.-წ. 15 აპრილს, მუშები დაითხოვეს, გამგე კი, რომელიც არაფერს არ აკეთებს დასტოვეს. ნუ თუ ამ საქმეს ერთი უფროსი მუშა ვერ აასრულებდა?

ჩაქველი ქოჩორა.

მუშათა ქრონიკა

— **სპეცტანისამოსი მუშებს.** თბილისის საუბნო კომიტეტმა მოახდინა აღრიცხვა იმ მუშა-მოსამსახურეებისა, რომლებსაც არ მიუღიათ სპეცტანისამოსი. გამოირკვა, რომ წევის, სალიანდაგო და საექსპლოატაციო დარგის ზოგიერთ მუშა - მოსამსახურეებს სპეცტანთსაცმელები არ მიუღიათ. ამის გამო საუბნო კომიტეტმა მიმართა ზემოხსენებულ სამსახურებს დააკმაყოფილონ მუშები სპეცტანთსაცმელებით ან ფულადი კომპენსაციით.

—**უმუშევართა რაოდენობა.** თბილისის უბნის პროფკავშირის ცნობით, ამჟამად რკინისგზაზე ითვლება 926 უმუშევარი.

— **16 სახლი.** ტროცკის სახელობის რკინისგზის საბინაო კოოპერაცია ამჟამად აწარმოებს მუშაობას 16 სახლის ასაგებათ თბილისის უბანში. სახლებში ჩასახლებული იქნებიან რკინისგზელები.

— **საპაიო თანხა.** ამავე კოოპერაციის საპაიო თანხას ამჟამად შეადგენს 38.151 მან. 61 კაპ. კოოპერატივში გაერთიანებულია 221 წევრი. დოტაციის სახით კოოპერაციას მიეცა ა.-კ. რკ. გზის სამმართველოსაგან 22.477 მან. 62 კაპ.

— **რადიო სადგურები.** თბილისის საუბნო პროფკავშირი შეუდგა რადიო სადგურების მოწყობას გურჯაანის, გორისა და ნავთლუღის რკინისგზის კლუბებში.

განზრახულია მოეწყოს ასეთივე სადგურები მცხეთაში გარდაბანსა და საგარეჯოში.

— **ორკესტრი.** პლეხანოვის სახელობის კლუბისათვის საუბნო კავშირმა შეიძინა სასულე ორკესტრი ღირებული 5.000 მანეთად.

— **სიმფონიური ორკესტრი.** ამავე კავშირთან მოეწყო სიმფონიური ორკესტრი, რომელიც მართავს კონცერტებს რკინისგზის კლუბებში.

— **პროფსკოლა.** თბილისის უბნის კავშირთან მოეწყო პროფსკოლა, სადაც მეცადინობს 30 აქტივისტი მუშა.

— **კლუბების შესაკეთებლათ.** თბილისის საუბნო კომიტეტმა ნავთლუღის, გორის, გურჯაანის და საგარეჯოს კლუბების შესაკეთებლად გადასდო 2.000 მანეთი.

— **ინტერნატი.** ხაშის მუშათა ბავშვების ინტერნატში მოთავსებულია 80 ბავში. დახმარების სახით თბილისის უბკავშირმა გადასცა ინტერნატს 400 მანეთი.

ჩვენი მიწერ - მოწერა

ამხ. თიოკელს. გთხოვთ აუცილებლად შემოიაროთ დღის რედაქციაში.

ქალაქის საბჭოს სექციებში

გუშინ საღამოს შესდგა თბილისის საბჭოების ყველა სექციების მორიგი სხდომა.

კომუნალური სექცია.

კომუნალურ სექციის გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ინჟ. **ლ. დიასამიძის მოხსენება ნატახტარის წყალსადენის გასაყვანად წარმოებული მუშაობის შესახებ.** ავჭალის წყალსადენი, განაცხადა მომხსენებელმა, აგებულია ამ 40 წლის წინათ და მას. იმ თავითვე დაჰყვა მნიშვნელოვანი ნაკლულოვანებანი. ავჭალის წყაროები დღეღამეში იძლეოდენ 400.000 ვედრო წყალს. ქალაქის მოსახლეობის ზრდის გამო წყლის ასეთ მცირე რაოდენობამ ვერ დააკმაყოფილა საჭიროება და ამიტომ ოთხი წლის შემდეგ აუცილებელი გახდა ავჭალის წყალსადენისთვის მდინარის წყლის მიმატება, რამაც ცუდი გავლენა იქონია წყლის ღირსებაზე. არსებული წყალსადენი არც წყლის რაოდენობით და არც ღირსებით არ აკმაყოფილებს ქალაქის თანამედროვე მოთხოვნილებებს. ამიტომ დაისვა საკითხი ახალი წყალსადენის გაყვანის შესახებ. სამი წლის წინად დაიწყო თბილისის მახლობლად მდებარე წყაროების გამოკვლევა. გამოკვლეულ იქნა სამი ჯგუფი ძლიერი წყაროებისა: წალკის, ნატახტარის და ბულაჩაურის. გამოკვლევით დამტკიცებული იქნა, რომ წალკის წყაროები გადმომდინარეობენ ნაპრალებიდან და მოსალოდნელია, რომ მიწისძვრის დროს წყაროები შეიცვლიან მიმართულებას, ან სრულიად დაიკარგებიან. გამოკვლეულ წყაროებს შორის ყოველმხრივ ყველაზე მეტი უპირატესობა უნდა მიეცეს ნატახტარის წყაროებს. ამ წყაროების სათავე არის მდინარე არაგვი, რომლიდანაც წყაროები მდებარეობენ 2—3 ვერსის დაშორებით, მომდინარეობენ 20 მეტრის სიღრმეზე და ამგვარად განიცდიან ბუნებრივ ფილტრაციას, რაც ამ წყაროების დიდ პლიუსად უნდა ჩაითვალოს. წყაროების ყოველდღიური დებეტი უდრის 10—15 მილიონ ვედრო წყალს, ჩვენი ქალაქისათვის კი უახლოესი 30 წლის განმავლობაში საჭიროა 6 მილიონი ვედრო. გეოლოგიური გამოკვლევებიც ამტკიცებენ, რომ ნატახტარის წყაროები, როგორც მდინარე არაგვიდან გადმომდინარე, არ გაქრებიან და მისი მდინარების სიღრმის დონეს არ დაიწევს. ბულაჩაურის წყაროებიც ბუნებრივი ფილტრაციის შედეგია, მაგრამ მათთან შედარებით ნატახტარს აქვს შემდეგი უპირატესობანი: ნატახტარის წყაროების დებეტი უფრო მეტია, ჯდება უფრო იაფი და გაყვანაც უფრო ადვილი საქმეა. დასასრულ, მომხსენებელი აღნიშნავს, თუ რამდენად შემცირდება წყლის ღირებულება ახალი წყალსადენის გაყვანის შემდეგ. თუ ამჟამად ყოველი ასი ვედრო წყალი 35 კაპეიკი ჯდება, ახალი წყალსადენის გაყვანის შემდეგ ყოველი ასი ვედრო წყლის ღირებულება ორ კაპეიკზე მეტი არ იქნება.

ინჟ. ლ. დიასამიძის მოხსენება სექციამ მიიღო ცნობათ.

საფინანსო სექცია.

საფინანსო სექციის მორიგ სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. **კალანდიამ** იმ კომისიის სახელით, რომელსაც მინდობილი ჰქონდა **თბილისისა და მისი მაზრის საერთო ადმინისტრატიული დაწესებულებების, საზოგადოებრივი წესიერების დაცვის და იუსტიციის ორგანოების ფინანსიური მდგომარეობის გამოკვლევა.** კომისიამ,—განაცხადა მომხსენებელმა,—მუშაობა მოუნდა იმ დროს, როდესაც ამ ორგანოების ხარჯების შესამცირებლად მუშაობას აწარმოებდა თბ. აღმასკომის პრეზიდიუმი. ზემოხსენებულ ორგანოების საერთო ხარჯთაღრიცხვა შედგენილი ყოფილა 1.923.613 მანეთის რაოდენობით, აქედან ხელფასს უჭირავს 991.823 მანეთი. როგორც აღმასკომში, ისე კომისიამ, გასავლის ეს მუხლი სრულიად უცვლელად დაუტოვებია. საკანცელარიო ხარჯები შეადგენდენ 61.383 მანეთს. აღმასკომის პრეზიდიუმს ეს თანხა შეუმცირებია 6.383 მანეთით; სამეურნეო ხარჯები 64.912 მანეთს, აღმასკომის პრეზიდიუმს ეს ხარჯები შეუმცირებია 24.912 მანეთით. 4.700 მანეთით არის აგრეთვე შემცირებული სამივლინებო ხარჯები, რომელიც შემცირებამდე შეადგენდენ 37.703 მანეთს. სარემონტო და ინვენტარის ასლადენ ხარჯებს ბიუჯეტში ეჭირათ 80.536 მანეთი, რაც აღმასკომის მიერ 13.536 მანეთით იქნა შემცირებული. 50 პროცენტით შეუმცირებიათ აგრეთვე ყრილობებისა და კონფერენციების მოსაწვევად გადადებული თანხა, რომელიც 40 ათას მანეთს უდრიდა. საერთოდ ადმინისტრატიული, საზოგადოებრივი დაცვის და იუსტიციის ორგანოების ხარჯები შემცირებულია 84.439 მანეთით. ამგვარად შემცირების შემდეგ ამ ორგანოების ხარჯთაღრიცხვა უდრის 1.836.180 მანეთს. კომისია თავის მხრივ იწონებს რა პრეზიდიუმის გატარებულ ღონისძიებებს ხარჯების შესამცირებლად, საჭიროდ სცნობს შემცირებულ იქნეს ზემოხსენებული ორგანოების ხარჯები კიდევ 23.882 მანეთით, რომელნიც უმთავრესად უნდა გამოირიცხონ სამეურნეო და სარემონტო ხარჯებიდან. სექციამ მოიწონა და მიიღო კომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადება.

სავაჭრო - კოოპერატიული სექცია

პირველ რიგში სავაჭრო კოოპერატიულმა სექციამ მოისმინა ამხ. **გავაშელის** მოხსენება ფასების დასაკლებად წარმოებული კამპანიის შედეგების შესახებ თბილისსა და მის მაზრაში. მომხსენებელის გადმოცემით, კამპანიას საერთოდ დამაკმაყოფილებელი შედეგები მოჰყვა. დირექტივები ფასების დაკლების შესახებ დაახლოებით გატარებულია; თუმცა კამპანიის გატარების დროს შემჩნეული იყო მრავალი უკუღმართი მოვლენები, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა კამპანიის მომავალ ამოცანებს შეადგენს. ასეთია, მაგალითად საქონლის ხარისხის გაუარესება, ფასების დაკლება ისეთ საქონელზე, რომელზედაც მოთხოვნილება ნაკლებია, ან სულ არ არის, საქონლის გაყიდვა დაკლებულ ფასებში კერძო მოვაჭრეებზე და სხვა.

სექციამ მოხსენების მიხედვით მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ითვალისწინებს ამ მოვლენების საწინააღმდეგო ზომების ვატარებას.

შემდეგ სექციამ მოისმინა და დაამტკიცა უახლოესი ოთხი თვის სამუშაო გეგმა. სხვათაშორის გეგმაში შედის თბილისის ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის, ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გამოკვლევა თბილისის ფარგლებში, და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზრის შესწავლა. დასასრულ სექციამ აირჩია კომისიები.

ჯანმრთელობის სექცია

ჯანმრთელობის სექციის გუშინდელს სხდომაზე დღის წესრიგში დასმული იყო ქალაქის პოლიკლინიკის და პირველი რაიონული ამბულატორის გამგეთა მოხსენებები. **ქალაქის ცენტრალური პოლიკლინიკის შესახებ მოხსენება** გააკეთა ექ. **არჯევანიძემ,** რომელმაც ხაზი გაუსვა ცენტრალურ პოლიკლინიკის მეტად მძიმე მდგომარეობას, რაც მისი აზრით გამოწვეული არის საექიმო პერსონალის სიმცირით და მუშაობის მძიმე პირობებით. პოლიკლინიკაში თვითეულ ექიმს ყოველ საათში უხდება რვა ავადმყოფის მიღება, რაც ძალიან ცუდათ მოქმედებს დიაგნოზის წესიერად დასმაზე. ხუთი ავადმყოფის გასინჯვის შემდეგ ექიმი საშინლად იღლება და შემდეგი ავადმყოფის გასინჯვის შესახებ დასკვნების გამოტანა ფრიად უძნელდება. პოლიკლინიკაში ყოველდღიურად თავს იყრის დიდძალი ხალხი, რაც იწვევს დაუსრულებელ რიგში დგომას. ღარიბთა აფთიაქიც ვერ აკმაყოფილებს საკმარისად მოთხოვნილებებს, რადგან შტატის სიმცირის გამო, იგი ვერ ასწრებს წამლების დროზე დამზადებას. მომხსენებელი საჭიროდ სთვლის ყურადღება მიექცეს პოლიკლინიკაში ექიმთა განტვირთვას და პერსონალის გადიდებას. ასეთივე სურათი გადაუშალა სექციის წევრებს ექიმმა **გახნევმა,** რომელმაც დაახასიათა პირველი რაიონული ამბულატორიის მდგომარეობა. ამბულატორიის შენობა სრულიად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. იქ მუდამ სივიწროვე და ანტი-სანიტარული პირობებია. გამგე თავის პირდაპირ დანიშნულების გარდა, ასრულებს ბევრ სხვადასხვა მოვალეობებსაც. შტატის სიმცირის გამო ამბულატორია ყოველდღიურად დაუკმაყოფილებლად სტოვებს 10—15 პაციენტს. სექციამ აირჩია კომისიები, რომელსაც დაავალა ღონისძიებათა გამომუშავება ზემოხსენებულ სამკურნალო დაწესებულებათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

განათლების სექცია

განათლების სექციამ მოისმინა ამხ. ხრისტოლუბოვის მოხსენება კოლოკვიუმების და საზაფხულო დავალებების შესახებ. მომხსენებელმა სექციის წევრებს გააცნო კოლოკვიუმების დანიშნულება, მათი განსხვავება წინანდელ საეგზამენო გამოცდებიდან და ბოლოს გადავიდა მოწაფეთათვის საზაფხულო დავალებების დახასიათებაზე. მომხსენებლის გადმოცემით ზაფხულის განმავლობაში მოწაფეებს ევალებათ გაეცნონ სოფლის ან ქალაქის ამა თუ იმ რაიონის სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებას, ადგილობრივ უნდა შეისწავლონ კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობა, რაიონში ან სოფელში მომქმედ დაწესებულებათა საქმიანობა. შეკრიბონ მინერალური კოლექციები, შეადგინონ მცენარეთა ჰერბარიუმი, გამოიკვლიონ გეოგრაფიულად და ისტორიულად ღირსშესანიშნავი ადგილები და სხვა.

მხარეთ მცოდნეობა

მიმდინარე ზაფხულზე სამაზრო განათლების მუშათა სახლებთან ეწყობა მხარეთმცოდნეობის მოყვარეულთა საზოგადოებები, რომელთა დანიშნულებას შეადგენს იმ კუთხის ყოველმხრივი შესწავლა, სადაც საზოგადოების წევრებს უხდებათ მუშაობა. ასეთი საზოგადოება უკვე მოეწყო ქ; გორში. საზოგადოებამ უკვე გამოიმუშავა თავისი მუშაობის პროგრამა, სამაზრო აღმასკომმა ახალ საზოგადოებას გადასცა შენობა. საზოგადოების წევრებად ჩაწერილი არიან ყველა პროფესიის მუშა - მოსამსახურენი, უმთავრესად კი განათლების მუშაკნი. საზოგადოება დაყოფილია ორ მთავარ სექციათ — საზოგადოებათა მეცნიერებათა და ბუნების მეტყველების სექციებათ, რომელნიც უკვე შეუდგენ მუშაობას—გამოიმუშავეს პროგრამები და სამუშაო გეგმა მიმდინარე ზაფხულისათვის. საზოგადოების ინიციატივით მიმდინარე ზაფხულზე ქართლის სხვადასხვა კუთხეში მოეწყობა ექსკურსიები, რომელშიდაც წევრებს გარდა მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ გარეშე პირებმაც.

საქართველოს ცაკში

გლეხკომების სამაზრო კონფერენცია

დღეს, 5 ივნისს, თელავში გაიხსნება გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების (გლეხკომების) სამაზრო კონფერენცია. კონფერენციას ტფილისიდან დაესწრება საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების გამგე ამხ. კ. ხომერიკი.

ელექტრონის სადგურის მოსაწყობათ

ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით—ახალციხის სამაზრო გლეხკომმა 3.530 მანეთად თბილისში შეიძინა დინამო და მატორი აწყურის თემში ელექტრო-სადგურის მოსაწყობათ. აქვე შეიძინა მან მთელი თავისი მოწყობილობით ორი რკინის დაზგა 2.500 მანეთად და ელექტრონის სადგურისათვის საჭირო ყოველგვარი მასალები 5.000 მანეთის. მატორი, დინამო, დაზგები და ელექტრონის სადგურის მოსაწყობათ საჭირო სხვა მასალები ახალციხის სამაზრო გლეხკომმა გაგზავნა აწყურის თემში .

საქართველოს ცენტრალურ გლეხის სასახლეში

თბილისში საქართველოს ცაკთან არსებული გლეხის სასახლეში გასულ თვეში (მაისში) ჩამოვიდა და 3802 ჯერ გაათია ღამე 926 გლეხმა. ამათგან გლეხის სასახლეში სრულიად უფასოთ გაათევინეს ღამე 117 ღარიბ გლეხს, დანარჩენ გლეხებს ყველას ღამე გაათევინეს დაკლებულ და შეღავათიან ფასებში. მაისის თვის განმავლობაში გლეხის სასახლეში ჩამოსული გლეხებში იყო 583 ქართველი, 108 სომეხი, 68 თათარი, 108 რუსი და 59 სხვადასხვა ეროვნების. 926 გლეხში, რომლებიც გლეხის სასახლეში იყვნენ დაბინავებული 53 კაცი ჩამოსული იყო თბილისში ავადმყოფობის გამო, პირად საქმეებზე ჩამოსული იყო 699 კაცი და სხვა და სხვა მაზრების, სოფლების და თემების დაწესებულებებიდან და გლეხკავშირებიდან გამოგზავნილი იყვნენ თბილისში სხვა და სხვა კონფერენციებზე და თათბირებზე—174 კაცი. სასახლეში ჩამოსულ გლეხებში დაკლებულ ფასებში მიეცა სადილი 154 კაცს, მხოლოდ 107 გლეხს ღარიბს და ხელმოკლეს გლეხის სასახლემ სადილი სრულიად უფასოდ მისცა. გლეხის სასახლემ მაისში უფასოთ აღმოუჩინა საექიმო დახმარება 110 გლეხს; უფასოთვე მიეცა აქვე იურიდიული რჩევა-დარიგება 78 გლეხს და 66 სხვა და სხვა სახის და შინაარსის შუამდგომლობანი აღუძრეს თბილისში ჩამოსულ გლეხებს სხვა და სხვა დაწესებულებების და ორგანიზაციების წინაშე. ამ დროის განმავლობაში გლეხის სასახლის ბარაკში გაიარა გლეხების 442 სულმა საქონელმა და 325 ურემმა. ცენტრალური გლეხის სასახლეში—მაისში რადიოს საშუალებით კონცერტები და მოხსენებები მოისმინა 884 გლეხმა. ლექციები, მოხსენებები და საუბრები მაისში გლეხის სასახლეში გაიმართა 11-ჯერ და კინო-სურათი მოეწყო გლეხებისათვის სამჯერ.

გლეხკომის პლენუმი

ორშაბათს, 6 ივნისს, საღამოს 5 საათზე ზესტაფონში გაიხსნება შორაპნის სამაზრო გლეხკომის პლენუმი. გლეხკომის სამაზრო პლენუმს დაესწრება ცაკის სოც. უზრუნველყოფის გამგე და ცენტრალური გლეხკომის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. კ. ხომერიკი.

უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტების მიღების წესი

§ 1. მიმდინარე 1927 წელში ს. ს. ს. რ. უმ. სასწავლებლებში სტუდენტთა მიღების ჩასატარებლად განათლების სახალხო კომისარიატის პროფგანათლების მთავარმმართველობასთან ეწყობა ცენტრალური მიმღები კომისია, ხოლო თვითეულ უმ. სასწავლებლებთან ადგილობრივი მიმღები კომისია.

§ 2. ახლად მიღებულ სტუდენტთა ადგილების საერთო რიცხვი განისაზღვრება:

ა) სახ. უნივერსიტეტში 500.

ამ რაოდენობიდან პედაგოგიურ ფაკულტეტზე მიიღება 250, სოც. ეკონომიურზე 70, სამკურნალოზე 75, აგრონომიულზე 50, პოლიტეხნიკურზე 50.

ადგილების საერთო რიცხვიდან (500) გამოიყოფა:

ა) მუშფაკულტეტ. კურსდამთავრებულთათვის 110 ადგილი.

ბ) ავტონომიურ რესპუბლიკებისათვის 40: აჭარისტანს 25, აფხაზეთს 10, სამხრეთ-ოსეთს 5.

ბ) ლენინის სახელობის პოლიტინსტიტუტში მიიღება სულ 150, აქედან: სასოფ. სამეურნ. ფაკულტეტზე 75, და საინჟენეროზე 75,

ადგილების საერთო რიცხვიდან გამოიყოფა:

ა) მუშფაკულტეტ. კურსდამთავრებულთათვის 50 ადგილი.

ბ) ავტონომიურ რესპუბლიკ. 30.

აჭარისტანს 10, აფხაზეთს 15, სამხრეთ ოსეთს 5

§ 3 ყველა უმაღ. სასწავლებლებში შესვლის მსურველნი ჩაირიცხებიან კლასობრივი გადარჩევის შემდეგ, რომელსაც აწარმოებს უმ. სასწავ. მიმღები კომისია და გამოცდების ჩაბარების შემდეგ იმ საგნებსა და პროგრამების ფარგლებში, რომელიც გამომუშავებულია პროფ. განათლ. მთავარმმართველობის მიერ.

შენიშვნა: მუშფაკულტ. კურსდამთავრებულნი უმ. სასწავლებლებში მიიღებიან უგამოცდოთ.

§ 4. განცხადებები (განცხადებაში უნდა აღინიშნოს ფაკულტეტი და დარგი რომელზედაც მთხოვნელი შესვლას აპირებს) უნდა შეტანილ იქნას(შეიძლება გადაგზავნა ფოსტით) მხოლოთ დაზღვეული პაკეტით) **უშუალოდ** უმ. სასწავლებლის მიმღებ კომისიის სახელზე.

განცხადებას თან დაერთვის დედანი და [illegible] ორი პირი შემდეგი საბუთებისა:

ა) წლოვანების, ბ) განათლების, გ) სოციალური მდგომარეობის, დ) სამხ. ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმობა, ე) სწავლის ფულის რაოდენობის განსაზღვრისათვის (შემოსავლის ან მისი მშობლების ჯამაგირის, გადასახადის რაოდენობის და სხვ. მოწმობა), ვ) ორი სათანადოთ შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი. ზ) ანკეტა (მიღებული ფორმით) სათანადოდ შემოწმებული.

შენიშვნა: 1. უმ. სასწ. შემსვლელი უნდა იყოს არა ნაკლებ 17 წლისა. 2. სოციალურ მდგომარეობის შესახებ მოწმობა უნდა იყოს გაცემული და შემოწმებული აღმასკომის მიერ, ხოლო პროფკავშირ. წევრთათვის— პროფ. კავშირ. დაწესებულების მიერ.

§ 5. განცხადებები შეტანილ უნდა იქნეს უმ. სასწავლებლის მიმღებ კომისიაში 1-ლ აგვისტოდან იმავე აგვისტოს 25-მდე. 25 აგვისტოს შემდეგ შემოსული განცხადება არ განიხილება.

§ 6. გამოცდები დაიწყება 1-ლ სექტემბერს და დამთავრდება 18 სექტემბერს. სტუდენტთა ჩარიცხვა მიმღებ კომისიის მიერ უნდა დამთავრდეს 25 სექტემბერს.

§ 7. სტუდენტთა პირობითი ჩარიცხვა, გამოცდების გადადება, ან განმეორებითი გამოცდების ჩაბარება არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება.

§ 8. ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს დაწესებულ ნორმას.

§ 9. თუ ის პირი, რომელიც ჩარიცხულია სტუდენტად უმაღლეს სასწავლებელში, 1-ლ ოქტომბრამდე არ შეუდგება მეცადინეობას, ავტომატიურად გამოირიცხება უმ. სასწავლებლიდან.

განათლების სახალხო კომისარის მოადგილე
მარ. ორახელაშვილი.

მზადება ოქტომბრის 10 წ. თავის დღესასწაულისათვის

მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმთან შესდგა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლისთავის სადღესასწაულო-საზეიმო კომისია ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით.

ამ ხნის განმავლობაში კომისიას რამდენიმე სხდომა ჰქონდა. გაირჩა საორგანიზაციო, ფინანსიური და ტეხნიკური საკითხები.

კომისიამ დაადგინა მოეწყოს საზეიმო კომისიები: აჭარის და სამხრეთ-ოსეთის ც. ა. კ-ბთან და აგრეთვე მაზრების აღმასკომებთან, რომლებმაც მჭიდრო კავშირი უნდა იქონიონ საქ. ც. ა. კ. პრეზიდიუმის ც. კომისიასთან.

გამოყოფილ იქნა სამი ქვეკომისია: ლიტერატურულ-გამომცემლობისა, აგიტაცია-სანახაობისა და ამნისტიის.

გადაწყვეტილია გამოცემულ იქნეს ოთხი წიგნი. ერთი მათგანი შეიცავს საქართველოს ც. ა. კ-ისა და სახ. კომ. საბჭოს ანგარიშს ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ, კულტურულ და სხვა დარგებში მუშაობა-მიღწევებისას დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა 1927 წლის ნოემბრამდე.

მეორე წიგნი გააშუქებს საქართველოს კომპარტიის ბრძოლის ისტორიას მენშევიკურ ჟირონდასთან 1917 წლიდან გასაბჭოებამდე და მის შემდეგ. იქ შეკრებილი და გამოქვეყნებული იქნება მასალები, საბუთები და სურათები იმის შესახებ, თუ რა ზომებს მიმართავდა ჟორდანია - რამიშვილის ჯალათური მთავრობა რევოლიუციასთან ბრძოლაში, როგორი კავშირი ჰქონდა მას სხვადასხვა ჯურის რეაქციონერებთან: დენიკინ-ალექსეევთან, ინგლისელ, გერმანელ და სხვა ქვეყნის გენერლებთან.

მესამე წიგნში მოთავსებული იქნება მოკლე ისტორია საქართველოს მუშებისა და გლეხების ბრძოლისა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

მეოთხე წიგნი შეიცავს ჩვენში კომკავშირის დაარსებისა, ბრძოლისა და მუშაობის ისტორიას.

აღნიშნულ გამოცემათა გარეშე სხვა არავითარი ანგარიშების და ბროშიურების გამოცემა არც სახალხო კომისარიატებს და არც აღმასკომებს ან საბჭოებს არ შეუძლიათ. მათ ყოველივე მასალები უნდა გადუგზავნონ ცენტრალურ კომისიას.

გამომცემლობისათვის სათანადო თანხა იქნება გამოღებული სახ. კომ. საბჭოს მიერ, ხოლო, რაც შეეხება ზეიმებისა და სანახაობის მოწყობას, მათი ხარჯები ეკისრება თვით მომწყობ ორგანიზაციებს, წლიურ ხარჯთაღრიცხვაში ჩვეულებრივი წესით შეტანით.

ზეიმობა არ იქნება ერთდროული და ჩატარებული ერთ რომელიმე დღის ან ვადის განმავლობაში. ის წარმოადგენს გაბმულს და ზოგად კამპანიას. ყოველი უქმე, დღეობა და დასვენების დღეები უნდა იქნან გამოყენებული ოქტომბრის მონაპოვართა და მათ დამცველთა ბრძოლის ეპიზოდების და მიღწევების გასაშუქებლად. ამისათვის უნდა მოეწყოს სათანადო წარმოდგენები, დემონსტრაციები, ცოცხალი სურათები, ლექციები, მოგონებათა საღამოები, მოთავსდეს წერილები პრესაში და სხვა.

ოქტომბერი ფართო მშრომელი მასების შეტევისა და გამარჯვების დღესასწაულია, ამიტომ ზეიმის მედროშეც თვით მასები იქნება. დღესასწაულს არ ექნება მარტივი და ოფიციალური ხასიათი, ის იქნება სურათი-მოგონება მასის აბობოქრების და ქარტეხილისა იმ ფერადებ'ში, რომელსაც თვით მასები დაინახავენ საჭიროთ და შესაძლებლად.

ი. ტ—ძე.

ჭლექის დისპანსერი

კვირას, 5 ივნისს, მელიქიშვილის ქ. № 16 საძირკველი ჩაეყარა ტუბერკულიოზის დისპანსერის შენობას.

საძირკვლის საზეიმო ჩაყრას დაესწრენ თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე ამხ. **ი. მამულია** და სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მიტინგი გახსნა ამხ. **მამულიამ,** რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა დისპანსერის მნიშვნელობა მშრომელთა გაჯანსაღების საქმეში.

— დისპანსერის გახსნით, — სთქვა ამხ. მამულიამ,—ჩვენ ვანხორციელებთ საბჭოთა მედიცინის ლოზუნგს, რომელიც ამბობს: მშრომელთა გაჯანსაღება, თვითონ მშრომელების საქმეა.

დისპანსერი გახსნა მელიქიშვილის ქუჩაზე, მეცნიერების ტაძრის ახლოს, არ არის შემთხვევითი მოვლენა. ჩვენ დისპანსერს ვუკავშირებთ მეცნიერებას და მეცნიერულ მუშაობას.

შემდეგ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სახელით ილაპარაკა ამხ. **მამალაძემ.** რ? მისალმა თბილისის აღმასკომს, რომელმაც ასეთ დიდ საქმეს ჩაუყარა საძირკველი.

წითელი ჯვარის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **კიკალეიშვილმა,** რომელმაც სურვილი გამოსთქვა, რომ წითელი ჯვარი, ჯანსახკომი და თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება დისპანსერის საშუალებით გაერთიანებული ძალებით იბრძოლებენ ჭლექის წინააღმდეგ.

დისპანსერის საძირკველის ჩაყრას მიესალმენ რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილების სახელით ამხ. **ნათაძე** და ქალაქის პირველი საავადმყოფოს თანამშრომლების სახელით —ამხ. **ნემსაძე.**

დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა დისპანსერის დირექტორმა — ექ. **აბაკელიამ,** რომელმაც აღნიშნა, **რომ** აქამდი ჭლექთან ბრძოლა ჩვენში სწარმოებდა უმთავრესად სანატორიუმების საშუალებით. ამიერიდან ამ დაწესებულებებს მიემატება ახალი დაწესებულება — დისპანსერი, რომელიც მიზნად ისახავს საჭირო ღონისძიებების გამომუშავებას ამ საშინელი სენის თავიდან ასაცილებლად.

სიტყვების შემდეგ საძირკველს ჩააყოლეს ქილა, რომელშიაც ჩადებულია ქაღალდი წარწერით:

— 1927 წ. 5 ივნისს, კვირა დღის საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის დედა - ქალაქ თბილისში საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტის სახელით და ხარჯით ჩაეყარა საფუძველი ამა შენობას, დანიშნულ ტუბერკულოზის დისპანსერისათვის მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე: **ლ. სუხიშვილი.**

წევრები: ბოლქვაძე, მამულია, ფარნიევი, ასრიევი, ვართაპეტოვი, მესხი, ქაცარავა, კიკნაძე; მაჩაიძე; სვანიძე; ნიკიტინი, იავჯიანი, ტაქტაევი, აკოპოვი, იუსუპოვი; ასრიბეკოვი, კალანდაძე, ჯაფარიძე; ხაჩატუროვი, ელიაშვილი, თალაკვაძე, ადიკაშვილი, ხმალაძე.

წიგნის კვირეულის შედეგები

თბილისში წიგნის კვირეული დაიწყო 5 მაისიდან და გაგრძელდა 5 ივნისამდე. ამ ხნის განმავლობაში ბეჭდვითი სიტყვის ყველა ნაწარმოებნი იყიდებოდა მნიშვნელოვან შეღავათიან ფასებში. ცალკე გამომცემლობების მონაწილეობა წიგნის კვირეულში იძლევა შემდეგ სურათს:

საქართველოს სახელგამმა მოუწყვია 5 საკვირაო ბაზრობა ყველა თავის მაღაზიებში. თვის განმავლობაში წიგნებზე ფასი დაკლებული იყო 20-დან 75 პროცენტამდე.

გარდა 5 ცენტრალური წიგნის მაღაზიებისა, სახელგამი აგზავნიდა მუშათა უბნებში ავტომობილებზე მოწყობილ კიოსკებს. ზოგიერთ მაღაზიებთან ეწყობოდა წიგნის ლატარიები, რამაც კარგი შედეგები მოიტანა. გასაღებული წიგნების რაოდენობა ჯერ-ჯერობით არაა გამორკვეული, მაგრამ მათი რაოდენობა დაახლოებით 25.000 ცალი იქნება. გასაღებული წიგნებიდან 60 პროცენტი ქართული ლიტერატურაა.

გამომცემლობა „შრომა"-ს გაუსაღებია 2500 ცალ წიგნამდე. კიოსკ-გამოფენები მოწყობილი იყო განათლების მუშაკთა სახლში და ყველა მუშათა კლუბებში. საკუთარი გამოცემები იყიდებოდა 25-დან 80 პროცენტამდე ფასდაკლებით.

„ზაკკნიგა"-ს მიერ აღნიშნული ხნის გა მავლობაში გაყიდულია 35.000 წიგნამდე. გაყიდული წიგნებიდან 25 პროცენტი მოდ ქართულ ლიტერატურაზე. მოწყობილი იყ წიგნის ბაზარი ქუჩებში. წიგნები იყიდებოდა 20—75 პროცენტამდე ფასდაკლებით.

რ. ს. ფ. ს. რ. სახელგამს გაუყიდია 25,3 ცალი სხვადასხვა სახელწოდების წიგნი.

ამგვარად, მთელ ქალაქში გასაღებულ 106.382 ცალი სხვადასხვა სახელწოდებ წიგნი.

საქართველოს სახალხო მეურნეობა 1927 წ. აპრილში

(საქ. სახელ. საგეგმო კომისიის ეკონ.-სტატ. სექციის მოხსენება)

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობისათვის ამინდი საერთოდ არა ხელსაყრელია. სამხრეთ-ოსეთში, ახალქალაქის და გორის მაზრებში ცივი, ქარიანი და მშრალი ამინდია; აღმ. საქ. დანარჩენ რაიონებში—კი შედარებით ხელშემწყო ამინდი იდგა. რაც შეეხება დას. საქართველოს, აქ ცივი და წვიმიანი ამინდია იმერეთს და გურიაში. რაჭაში თოვლი მოვიდა, ხოლო დანარჩენ რაიონებში შედარებით უკეთესი დარებია. ამასთან დაკავშირებით ჯეჯილის ზრდა და თესვის მსვლელობა დამაკმაყოფილებლად ვერ მიმდინარეობდა.

გარდა უამინდობისა, გაზაფხულის თესვაზე უარყოფით მოქმედებდა აგრეთვე მუშა-საქონლის, იარაღების (ახალქალაქის და ქუთაისის მაზრებში) და თესლის ნაკლებობა (ოკრიბის რაიონში); ტრაქტორებით მიწის დამუშავებაზე მოთხოვნილება სრულებით ვერ იფარება ბორჩალოს და სენაკის მაზრებში. მთელ რიგ კონიუნქტურული პირობების გამო, წელს მოსალოდნელია თამბაქოს და ბამბის ნათესების შემცირება. ბორჩალოს მაზრის საექსპერტო კომისიის ცნობით, აქ ბამბის ნათესების ფართობი შეიძლება 40—45 პროც. შემცირდეს.

ნათესების და სხვა კულტურების მდგომარეობა ხუთიანიშნიანი სისტემის მიხედვით შემდეგნაირად ხასიათდება:

მთელს რესპუბლიკაში:

სახ.-სამ. კულტურები.	1927 წ.	1926 წ.	განსხვავება
ხორბალი შემოდგომის	3,3	3,6	— 0,3
„ გაზაფხულის	3,0	3,2	— 0,2
ქერი შემოდგომის	3,7	3,4	+ 0,3
„ გაზაფხულის	3,0	3,1	— 0,1
ხილის ბაღები	3,5	3,6	— 0,1
ვენახები	3,3	3,6	— 0,3

პირველი მაისისათვის **ხორბლის და ქერის მდგომარეობა** თუმცა საშუალო და უფრო მაღალი ნიშნით ხასიათდება, მაგრამ პირველი აპრილის და 26 წ. 1 მაისის მიმართ მათ შედარებით დაბალი მდგომარეობა ახასიათებს.

ხილის ბაღების და ვენახების მდგომარეობაც თუმცა საშუალოზე მეტი ნიშნით ხასიათდება, მაგრამ შარშანდელი აპრილის დამლევთან შედარებით აქაც დაბალი ნიშანი გვაქვს.

ჩაის გაშენების კამპანია დამაკმაყოფილებლად ჩატარდა; გლეხის მეურნეობაში წრეულს უნდა გაშენებულიყო გეგმით 443 დეს., წინასწარი ცნობებით კი უკვე 480 დეს. ფართობი გაშენდა, იმ დროს, როდესაც შარშან 75 დეს. იყო. აპრილის დამლევისათვის ჩაის ფოთლის კრეფა უკვე დაიწყო, მაგრამ იგი მოდუნებული ტემპით მიმდინარეობს უამინდობის და სიცივეების გამო. გლეხობისაგან მწვანე ფოთლის მიღება დაუბრკოლებლივ წარმოებს საქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ს მიერ. პირველ ხარისხის მწვანე ფოთოლზე გირვანქაში გადაწყვეტილია მიეცეთ 18 კაპ. საერთოდ ჩაის ბუჩქის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

საქონლის ჭირი, როგორც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი აღნიშნავს, თითქმის მთლად შესწყდა; საქონლის იალაღზე გარეკასთან დაკავშირებით, შესაძლებელია მომავალ თვეებში მისი გაძლიერება, რის შესახვედრათაც ჩვენ უნდა მზად ვიყოთ.

სოფლის ნაწარმოების დამზადება

სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების დამზადებას მნიშვნელოვანი შემცირება ახასიათებს. დამზადების საერთო ღირებულება მარტის განმავლობაში 6 მილ. მან. უდრიდა, ხოლო აპრილში—2,4 მილ. მან.

დამზადების ასეთი საგრძნობი შემცირება თამბაქოს შეძენის დამთავრებით უნდა აიხსნას, რომელიც აპრილში 5,6 მილ. მანეთის ღირებულების იქნა შესყიდული, ხოლო საანგარიშო თვეს—2;2 მილ. მანეთის. აპრილში სულ შეძენილია 95,3 ათ. ფ. თამბაქო, იმ დროს; როდესაც მარტში 241,2 ათ. ფუთი იქნა შესყიდული. სეზონის განმავლობაში სულ 584,5 ათ. ფ; თამბაქო იქნა დამზადებული, ე. ი. 11,6 პროც. მეტი გეგმაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ლაგოდეხის თამბაქოს დამზადება კვლავ არ სწარმოებს, რაც მძიმე პირობებში აყენებს როგორც მწარმოებელთ, ისე დამმზადებელ და სესხის გამცემ ორგანიზაციებს, და იწვევს ნათესების შემცირების საშიშროებას.

ღვინის და სპირტეულის შეძენა თითქმის მთლად შესწყდა; მატულობს **წვრილი ტყავის** შეძენა, რომელზედაც საკმაოდ დიდი მოთხოვნილებაა. სეზონურ პირობებთან დაკავშირებით **ჯაგარის, მსხვილი ტყავის და ბეწვეულის** შეძენა კლებულობს, თუმცა შარშანდელი აპრილთან მიმართ, მათი დამზადების საკმაო ზრდასთან გვაქვს საქმე.

მნიშვნელოვან გამოცოცხლებას ვამჩნევთ დაფნის ფოთლის დამზადებაში, რომელიც წინა თვესთან შედარებით 51 პროც. გაიზარდა და 104 პროც. სჭარბობს გასული წლის აპრილს. სეზონის განმავლობაში სულ 28,4 ათ. ფ. დაფნის ფოთოლი იქნა შეძენილი, წლიური გეგმა ჯერ-ჯერობით 81 პროც. შესრულდა.

ამნაირად, სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების შეძენა საანგარიშო თვეში მნიშვნელოვნათ ეცემა და მით საკმაოდ მცირდება თვით მოსახლეობის სყიდვითი უნარიანობა.

მრეწველობა

მრეწველობის უმთავრესი დარგების პროდუქცია მარტთან შედარებით 7 პროც. ეცემა 1913 წ. ფასების მიხედვით, ხოლო უფრო მეტათ თანამედროვე შეფასებით (—13.7 პროც.). პროდუქციის შემცირება გვაქვს ს. მ. უ. ს. მთავარ წარმოებათათვის—15,3 პროც. (ქვა-ნახშირი, თამბაქო, ტყავი, სპირტ-კონიაკი, საპონი და თუქა); საკონსესიო წარმოება—შავი-ქვის მრეწველობა ახალ ზრდას გვაძლევს (+5.9 პროც.). 1926 წ. აპრილის მიმართ აღებული დარგების საერთო პროდუქცია 19,7 პროც. შემცირდა (1913 წ. ფასებში), ჩაბმულ მუშა-ხელის შემცირების გამო (21,8 პროც.), წინააღმდეგ გამომუშავების 10.7 პროც. გაზრდისა.

თუ მხოლოდ ს. მ. უ. ს: წამოწყებებს განვიხილავთ, აქ შემდეგს ვნახავთ, მარტთან შედარებით პროდუქციის შემცირება ერთ კაც-დღის გამომუშავების დაკლებით მოხდა, პროდუქციის რეალიზაციის შემცირების პირობებში. 1926 წ. აპრილის მიმართ-კი პროდუქცია უცვლელია (13 წ. ფასებში) ჩაბმულ მუშა-ხელის, გამომუშავების და რეალიზაციის უმნიშვნელო ზრდის პირობებში. საანგარიშო თვეში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გაცდენილ კაც-დღეთა რიცხვის ზრდა (+8,4 პროც. მარტთან შედარებით და +10.2 პროც. 26 წ. აპრილის მიმართ), რომელიც ზოგიერთ დარგებში საკმაოდ მაღალ პროცენტს იძლევა (ტყავის ტრესტი—38 პროც., ქვა-ნახშირი—13,7 პრო.).

ცალკე დარგებს შემდეგი ახასიათებს:

შავი-ქვის მრეწველობაში, როგორც აღნიშნეთ, პროდუქციის ახალი ზრდა (+5.9 პროც.) გვაქვს, მუშა-ხელის ზრდის გამო (+21,2 პრ.), გამომუშავების შემცირების პირობებში (—6,7 პროც.); 26 წ. აპრილის მიმართ-კი შემცირებულია: პროდუქცია 59,2 პროც., მუშა-ხელი 37;9 პროც. და გამომუშავება—22;3 პროც.

ქვა-ნახშირის მრეწველობაში ამოღება 5,1 პროც. ეცემა, გამომუშავების 14,2 პროც. დაკლების გამო (დისციპლინის დაცემის ზეგავლენით), მუშა-ხელის ზრდის პირობებში. შარშანდელი წლის აპრილის მიმართ გვაქვს ზრდა: მუშა-ხელის 26,2 პროც., ამოღების 9,7 პროც. და რეალიზაციის 26,5 პროც. თუ არა დისციპლინის დაცემა და გასული წლის ხანძარი, პროდუქციის ზრდა უფრო მეტი იქნებოდა.

თამბაქოს მრეწველობაში მარტის მიმართ მცირდება: მუშა-ხელი 0,8 პროც., პროდუქცია (1913 წ. ფასებში) 4,4 პროც.; გამომუშავება 4,1 პროც. და რეალიზაცია 5,2 პროც. შრომის ნაყოფიერების დაკლება გამოწვეულია გაცდენათა გაძლიერებით და დატვირთვის შემცირებით. საწარმოვო გეგმის შემცირების გამო, ნაწარმის რეალიზაციის კრიზისთან დაკავშირებით. აღსანიშნავია რეალიზაციის შემცირება ერთ-ერთ მიზეზი—აქციზის გადაუხდელობის გამო ნაწარმის გამოტანის დაკლება, რამაც დიდათ იმოქმედა განაღდების შემცირებაზე"-ო სწერს თამბაქოს ტრესტი.

1926 წ. აპრილთან შედარებით თამბაქოს მრეწველობაში მუშა-ხელი 7,5 პროც. შემცირდა (მეოთხე ქარხნის გაუქმების გამო), პროდუქცია შრომის ერთეულში 2,2 პროც. იზრდება, გამომუშავება 15,5 პროც. მატულობს, ხოლო რეალიზაცია 8 პროც.

ტყავის მრეწველობაში მიუხედავათ გამომუშავების და მუშა-ხელის მატებისა (3 და 2,5 პროცენტებით სათანადოთ), გაცდენის ზეგავლენით (+38 პროც.) პროდუქცია 2,3 პროც. ეცემა) მსხვილ ტყავზე გადაყვანით), რაც შეეხება ნაწარმოების გასაღებას, სეზონთან დაკავშირებით იგი ახალი ზრდით ხასიათდება (+37,2 პროც.); თუ არა სათრიმლე მასალის სიმცირე გამომუშავების ზრდა უფრო მეტი გვექნებოდა.

26 წ. აპრილთან შედარებით აქ გვაქვს: შემცირება—მუშა-ხელის და პროდუქციის გამომუშავების და რეალიზაციის მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში.

საპნის ქარხნის პროდუქცია 18,8 პროც. ეცემა, გამომუშავების და მუშა-ხელის შემცირების გამო; პროდუქციის შემცირების ზეგავლენით დაკლება გვაქვს აგრეთვე გასაღების დარგში, გამომუშავების შემცირება მოხდა ნოტიო ამინდების და ნედლეულის ნაკლებობის ზეგავლენით.

ს. მ. უ. ს. დასახელებულ წარმოებათა დარგებში, გარდა თამბაქოს მრეწველობისა, საწარმოო გეგმის შესრულება უნდა დაუკმაყოფილებლად მივიჩნიოთ; რაც შეეხება მათ ფინანსიურ მდგომარეობას, იგი კვლავ მძიმე რჩება.

შრომა

ვინაიდან საანგარიშო თვეში თბილისის საშუამავლო ბიუროში უპროფესიო და უკვალიფიკაციო **უმუშევართა** მოხსნა მოხდა (მოიხსნა 2308 უმუშევარი). ამიტომ უმუშევართა საერთო რიცხვის სინამდვილით გამოკვლევა შეუძლებელი ხდება. თუ არა მათი მოხსნა, ვფიქრობთ, უმუშევართა რიცხვის ზრდა უნდა გვქონოდა, ვინაიდან უმუშევართა ჩაწერის გაგზავნაზე საკმაო გადაჭარბების პირობებში, უმუშევართა დენა (ჩაწერა) 0.7 პროც. იზრდება და მათი სამუშაოზე გაგზავნა-კი 13.5 პროც. ეცემა. რაც შეეხება პროფკავშირების წევრ უმუშევართ. მათი რიცხვი 0.6 პროც. კლებულობს მარტთან შედარებით და წ.წ. 1 მაისისას კი 31,2 პროც. სჭარბობს.

მუშის სამუშაო თვიური ხელფასი, ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის 2.4 პროც. შემცირების პირობებში, 2 პროც. მატულობს ნომინალით, ხოლო რეალით-საბიუჯეტო შენაწყობის 4 პროც. ზრდის გამო—1,8 პროც. ეცემა. შრომის ცალკე დარგების მიხედვით თვიური სამუშაო ხელფასს შედარებით მცირედი მერყეობა ახასიათებს, გარდა სარექტიფიკაციო წარმოების, სადაც იგი 12,5 პროც. იზრდება უმთავრესად ძირითად ხელფასზე „დანარჩენ დამატებათა" გაძლიერების ზეგავლენით.

1926 წ. აპრილის მიმართ თვიური სამუშაო ხელფასი უცვლელია რეალით, ხოლო 0,9 პროც. იზრდება ნომინალით.

ტვირთ-ბრუნვა

რკ. გზების ტვირთ-ბრუნვა მარტთან შედარებით 8,2 პროც. კლებულობს. ტვირთ-ბრუნვის შემცირება საერთოა როგორც მიღებისათვის, ისე დატვირთვისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ დატვირთვის დაკლება საერთო ხასიათს ატარებს თითქმის ყველა უმთავრესი საგნებისათვის, საიდანაც გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ „დან. საამშენებლო მასალა", რომლის დატვირთვაც 29,3 პროცენტით იზრდება. ღვინის დატვირთვა უცვლელია, ხოლო მნიშვნელოვნად ეცემა მასიურ საგნებიდან, შეშის (—49,8 პროც.) და ხილის (—42,8 პროც.), დატვირთვა სეზონურ პირობებთან დაკავშირებით.

1926 წ. აპრილთან შედარებით დატვირთვა შემცირებულია 15 პროც., მიღება იზრდება 58,6 პროც. და მთელი ტვირთ-ბრუნვა-კი 15,9 პროც. მატულობს.

რაც შეეხება უმთავრესი ნავთსადგურების (ბათომი, ფოთი და სოხუმი) ტვირთ-ბრუნვას, იგიც მნიშვნელოვნათ კლებულობს (—18,9 პროც.) გაგზავნის დაცემის ზეგავლენით (—21,7 პროც.), წინააღმდეგ მიღების 23 პროც. გადიდებისა. გაგზავნის ასეთი საგრძნობი შემცირება უმთავრესად საექსპორტო საგნების-ნავთეულის და შავი-ქვის გატანის შემცირებით უნდა აიხსნას. შარშანდელი წლის აპრილთან შედარებით მიღება იზრდება 25,6 პროც., გაგზავნა 14;3 პროც და მთელი ტვირთბრუნვა კი 15,2 პროც.

საურმე გზები თბილისში, ბათომში და სოხუმში საქონლის შემოტანა 9,9% ეცემა; თუმცა წ.წ. აპრილისას 19% აღემატება. შემოტანის დაკლება გვაქვს ისეთ საგნებზე, რომელიც დაკავშირებული არიან სეზონთან —ღვინო, ხილი, ბოსტნეული, შეშა.

ამნაირად, წინა თვის მიმართ ტვირთ-ბრუნვის საერთო შემცირება უნდა აღინიშნოს, იმ დროს, როდესაც გასული წლის აპრილთან შედარებით საგრძნობ გადაჭარბებას ვხედავთ.

ალებ-მიცემობა

გეგმიანი შემოტანა შედარებით დაუკმაყოფილებლად მიმდინარეობს. უნდა შემოტანილიყო 5,1 მილ. მან. საქონელი, ფაქტიურად კი 3,5 მილ. მანეთის შემოვიდა, ე. ი. 32,1 პროც. ნაკლები გეგმაზე და 34,5 პროც. მცირე წინა თვესთან შედარებით. გეგმის ყველაზე ცუდი შესრულება გვქონდა: სილიკატზე (11,9 პროც.), ფართე მოხმარების ლითონზე (25,5 პროც.), მარილზე (30.2 პროც.) და შაქარზე (32,9 პროცენტ.). საერთოდ, თოთხმეტი საგნიდან, რომელიც გეგმით შემოგვაქვს; სულ არ შემოტანილა ასანთი, გადაჭარბებით შემოვიდა სამი საგანი, ხოლო დანარჩენთა გეგმა მთლიანად არ შესრულდა.

საბითუმო ვაჭრობას მნიშვნელოვანი შეკუმშვა ახასიათებს: საბითუმო ვაჭრობა ეცემა—12,6 პროც. საერთოდ და 8,1 პროც. რეალით, სახელმწიფო ორგანიზაციათა ბითუმი გაყიდვა—6,1 პროც., ცეკავშირის გაყიდვა 19,1 პროც. და ჯდება 30.8 პროც. რაც შეეხება **საცალო ვაჭრობას,** იგი იზრდება კოოპერაციის ხაზზე, უმთავრესად ქალაქად, იმ დროს, როდესაც სახელმწიფოთ ვაჭრობის ხაზზე მცირდება.

1926 წ. აპრილის მიმართ ვაჭრობის მნიშვნელოვან შემცირებასთან გვაქვს საქმე.

სავაჭრო ოპერაციების შემცირება დაკავშირებულია საქონლის ნაკლებობასთან. სავაჭრო ორგანიზაციათა მძიმე ფინანსიურ მდგომარეობასთან ფასების ახალი დაკლების მოლოდინთან, ანგარიშგასწორების ისევ მძიმე პირობების გაუარესებასთან, ქალაქის და სოფლის მოსახლეობის სყიდვითი უნარიანობის შეკუმშვასთან, უამინდობასა და სოფლად სეზონურ მუშაობათა დაწყებასთან.

აღსანიშნავია საქონლის მარაგის მნიშვნელოვანი შემცირება, რომელიც სახელმწიფო ვაჭრობის ხაზზე 13,6 პროც., ხოლო კოოპერაციის ხაზზე—27,5 პროც. კლებულობს.

პურის ბაზარი, გეგმის ახალ შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, კვლავ მძიმე მდგომარეობაშია. დიდი მოთხოვნილებაა სეზონურ ქსოვილზე. თეთრეულ ქსოვილზე მოთხოვნილება მხოლოდ 6%-ით დაკმაყოფილებულა. საკაშვილო ნაწარმოებზე მოთხოვნილება 25 პროც. დაიფარა, მაუდზე 40 პროც., ბაზარზე კვლავ არ არის მზეს-უმზირას ზეთი; ნაკლებობაა—ერბოზე და საპნის ბაზარზე.

საქონლის ფასები და ინდექსები

თბილისში საბითუმო ფასების დონე უცვლელია, საცალო ფასების კი 0,4 პროც. იზრდება; სამრეწველო საგნების ფასების სუბინდექსი, როგორც საბითუმო, ისე საცალო ვაჭრობაში უცვლელად რჩება; იმ დროს, როდესაც სას.-სამ. საგნების ფასების სუბინდექსი ბითუმ ვაჭრობაში 2 პროც. ეცემა, ხოლო საცალოში—0,9 პროც. მატულობს. 1926 წ. აპრილის მიმართ ფასების საერთო დონის დაკლებასთან გვაქვს საქმე, სამრეწველო საგნების ფასების დაკლების ზეგავლენით, წინააღმდეგ სას.-სამ. საგნების ფასების ზრდისა.

რაც შეეხება სრულიად საქართველოს ქალაქთა საცალო ფასების ინდექსს, აპრილის მიმართ იგი 1 პროც. გაზრდილა, სას.-სამ. საგნების ფასების აწევის ზეგავლენით, სამრეწველო საგნების ფასების სუბინდექსი კი აქაც უცვლელია.

სას.-სამ. საგნებიდან ფასების ზრდას იძლევა: ქალაქად—სიმინდი და ძროხის ხორცი—სეზონთან დაკავშირებით, ხოლო სოფლად ყუბანის ფქვილი და ძროხის ხორცი—იმავე მიზეზით, რაც შეეხება დანარჩენ სას.-სამ. და სამრეწველო საგნებს, აქ თითქმის საყოველთაო შემცირებასთანა გვაქვს საქმე.

ამნაირად ფასების დონის სტაბილიზაცია ან მათი დაკლება, საერთო ხასიათს ატარებს, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, და საერთო მდგომარეობიდან მხოლოდ რამდენიმე საგანი შეადგენს გამონაკლისს და ფასების მატებას იძლევა.

კრედიტი

15 ბანკის გაერთიანებული უმთავრესი მაჩვენებლები, გარდა ანაბართა ნაშთისა, რომელიც 2.3 პროც. კლებულობს, ზრდით ხასიათდებიან: სესხი მატულობს 3,6 პროც., სალარო 10.4 პროცენტ. და ბალანსები-კი 6,3 პროც. 1926 წ. პირველ მაისთან შედარებით მათი ზრდა 17,7 პროცენტიდან.53,5 პრ.-დე მერყეობს.დავალიანების მატება თუმცა საერთო ხასიათს ატარებს,მაგრამ რესპუბლიკანურ და ფედერატიულ კლიენტურისათვის იგი უფრო ნაკლებ იზრდება, ვიდრე საკავშირო კლიენტურისათვის.

საამშენებლო სეზონთან დაკავშირებით საქართველოს კლიენტურაში კრედიტი უდიდდება მრეწველობას და კომ. მეურნეობა-საბინაო აღმშენებლობას (11,9 და 4.4 პროცენტებით სათანადოთ), იმ დროს, როდესაც დანარჩენი დარგების დავალიანება მცირდება. ამასთან დაკავშირებით; ცალკე კლიენტებიდან სესხი გაუდიდ და სახელმწიფო ორგანიზაციებს და კომუნალურ მეურნეობას, ხოლო შეუმცირდა ყველა დანარჩენთ და განსაკუთრებით კი კერძო კლიენტურას (—14.8 პროც.)., რომლის საერთო დავალიანება შარშანდელი 1-ლი მაისის დავალიანების 17.3 პროც. შეადგენს.

ზევით აღნიშნულ ანაბართა და სახელდახელო ანგარიშების შემცირება თითქმის საერთო ხასიათს ატარებს ყველა კლიენტთა ჯგუფებისათვის. გარდა სახ. ორგ. და კერძო პირების (გაიზარდა 4,2 და 11 პროც. სათანადოთ).

ფინანსები

საქართველოში მომქმედ სალაროებში საერთო შემოსავალი 2 მილ. მან. აღწევს; შემცირებულია წინა თვის მიმართ 29 პროც. და გ. წ. აპრილთან შედარებით 21,8 პროც. შემოსავლის შემცირება საერთო ხასიათს ატარებს ყველა საშემოსავლო წყაროებისათვის; გარდა პირდაპირი გადასახადისა, რომელიც საშემოსავლო ხარკის აკრეფის ზრდის გამო (სამჯერ მეტად გაიზარდა); 33,1 პროც. მატულობს. მატებას გვაძლევს აგრეთვე ობლიგაციების რეალიზაცია და შემოსავალი სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობიდან და ბანკებიდან. ყველაზე მნიშვნელოვან შემცირებას გვაძლევს არა პირდაპირი ხარკები, რომელშიაც უმთავრესად აქციზი კლებულობს, (—63,6 პროცენტ.), თამბაქოს ტრესტის მიერ მისი გადასახადის შეფერხების ზეგავლენით.

რაც შეეხება გასავალს; იგი 3.7 მილ. მან. უდრის და საკმაო ზრდას იძლევა, 28,4 პროც. მატულობს მარტთან შედარებით და 32,5 პროცენტ. 1926 წ. აპრილის მიმართ.

დასკვნა

საქართველოს სახალხო მეურნეობას 1927 წ. აპრილში შემდეგი ახასიათებს:

1. **სოფლის მეურნეობისათვის** ამინდი საერთოდ არახელსაყრელია, რამაც გამოიწვია ნათესების მდგომარეობის ოდნავი გაუარესება. საერთოდ, სას.-სამ. კულტურების მდგომარეობა საშუალოდ და უფრო მაღალი ნიშნით ხასიათდება. მოსალოდნელია ბამბის და თამბაქოს ფართობის შემცირება, განსაკუთრებით აღმ. საქართველოში იმ დროს, როდესაც ჩაის გაშენების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

2. სეზონურ და ნაწილობრივ კონიუნქტურულ პირობებთან დაკავშირებით **სას.-სამ. ნაწარმოების დამზადება** მნიშვნელოვანათ მცირდება: თამბაქოს დამზადების საერთო გეგმა 11.6 პროც. გადაჭარბებით შესრულდა. რაც შეეხება კერძოთ ლაგოდეხის თამბაქოს შეძენას—აქ ძველი მძიმე მდგომარეობა გრძელდება. დანარჩენი ნაწარმოების ბაზრებს საერთოდ ძველი მდგომარეობა ახასიათებს.

3. **მრეწველობის პროდუქცია** კლებულობს ს. მ. უ. ს. წარმოებათა პროდუქციის დაცემის გამო წინააღმდეგ საკონსესიო წარმოების პროდუქციის მატებისა, ს. მ. უ. ს. მთავარ წარმოებებში პროდუქციის შემცირებასთან ერთად,რაც ერთ კაც-დღის გამომუშავების ახალი დაკლებით აიხსნება, მცირდება პროდუქტის რეალიზაცია. გასულ უქმეებთან დაკავშირებით გაცდენილი კაც-დღეების რიცხვის განსაკუთრებულ ზრდას აქვს ადგილი. გარდა თამბაქოს მრეწველობისა, დან. დარგებში საწარმოვო გეგმების შესრულება არა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

4. **შრომის დარგში** სამუშაო ხელფასის მატება გვაქვს ნომინალით, ხოლო შემცირება რეალით, საბიუჯეტო შენაწყობის ღირებულების აწევის გამო.

5. **როგორც რკინის გზების,** ისე ნავთსადგურების და საურმე გზების ტვირთ-ბრუნვას შემცირება ახასიათებს. . თუმცა 26 წ. აპრილთან შედარებით ზრდასთან გვაქვს საქმე.

6. **გეგმიანი შემოტანა** შედარებით დაუკმაყოფილებლად შესრულდა. საბითუმო ვაჭრობის ხაზზე საერთო შემცირებასთან გვაქვს საქმე, იმ დროს, როდესაც საცალო ვაჭრობის ზრდა ახასიათებს. აღსანიშნავია საქონლის მარაგის მნიშვნელოვანი დაკლება. როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატიული ვაჭრობის ხაზზე. პურის ბაზარზე, შემოტანის შემცირებასთან დაკავშირებით, კვლავ მძიმე მდგომარეობა გვაქვს. დანარჩენი საგნების ბაზარზე მნიშვნელოვან ცვლილებებს ვერ ვამჩნევთ.

7. თბილისში საბითუმო **ფასების დონე** უცვლელია საცალო ფასები — მატულობს. სას.-სამ. საგნების ფასების ზრდის გამო. სამრეწველო საგნების ფასების სუბინდექსი უცვლელია. სრულიად საქართველოს საცალო ფასების ინდექსი 1 პროც. მატულობს, სას.-სამ. საგნების ფასების ზრდის ზეგავლენით,—სამრეწველო საგნების - უცვლელია.

8. **კრედიტის დარგში** მაჩვენებელთა ახალი ზრდა გვაქვს. კერძო კლიენტურის დავალიანება ახალ შემცირებას იძლევა. სესხის ზრდა ხდება მრეწველობის და აღმშენებლობის ხაზზე.

ქრონიკა

ამხ. მუსაბეკოვის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ამიერ-კავკასიის ცაკის სესიაზე დასასწრებლად აზერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარე ამხ. მუსაბეკოვი.

ბელგიის ფირმის წარმომადგენლის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ბელგიის სავაჭრო ფირმის „კონტროლ“-ის დირექტორი მოქ. ბერნგარდტი.

მისი ჩამოსვლის მიზანია საბჭოთა კავშირის, კერძოდ, ამიერ-კავკასიის მრეწველობის გაცნობა.

ინდოეთში მცხოვრებ სომხების ჩამოსვლა

გუშინ კალკუტიდან თბილისში ჩამოვიდა ინდოეთში მცხოვრებ სომხების ერთი ჯგუფი. მათი ჩამოსვლის მიზანია საბჭოთა კომხეთის აღმშენებლობის გაცნობა.

ამ.-კავ. აგრონომიულ მუშაკთა თათბირი

დღეს ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტი იწვევს ამ.-კავ. აგრონომიულ მუშაკთა თათბირს.

მარიამ ვარდოსანიძის იუბილე

11 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ქ. ქუთაისის აკადემიურ თეატრში გაიმართება 43 წლის პედაგოგიურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობის იუბილე დამსახურებული მასწავლებლის მარიამ ვარდოსანიძის ასულისა.

ბეჭვდითი სიტყვის მუშაკები — მბეჭდავთა კავშირში

საქართველოს პროფსაბჭოს მიერ ბეჭვდითი სიტყვის მუშაკების განათლების მუშაკთა კავშირიდან მბეჭდავთა კავშირში გადასარიცხავად გამოყოფილმა კომისიამ დაადგინა ბეჭვდითი სიტყვის მუშაკთა სექციის უმუშევარი წევრები, რომლებიც თავისი წარსული მუშაობით დაკავშირებული არიან მბეჭდავებთან, გადარიცხული იქნენ პოლიგრაფიულ წარმოების მუშაკთა კავშირში, ხოლო უმუშევრები კი, რომლებიც დაკავშირებული არიან ბეჭვდითი სიტყვის ნაწარმოების გამავრცელებელ აპარატთან, გადარიცხული იქნენ საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირში.

ლითონ-ტრესტის შუამდგომლობა

ლითონტრესტმა შუამდგომლობა აღძრა ს. შ. უ. ს წინაშე 100 და 60 ცხენის ძალიან დიზელების რეალიზაციის შესახებ ნებართვის მისაღებათ. ს. შ. უ. საბჭომ აღნიშნული საკითხი გადასცა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

ტრესტის აღნიშნული შუამდგომლობა გამოწვეულია იმით, რომ პროვინციის ქალაქებს სურთ შეიძინონ ელექტრო მანქანები ახალი ელსადგურების მოსაწყობად.

სკოლების შეკეთება

თბილისში და მის მაზრაში სკოლების შესაკეთებლად მიმდინარე საოპერაციო წლისთვის გადადებული იქნა 88.800 მანეთი. ამ თანხით დღემდე შეკეთებულია 5 პროფესიონალური სკოლა, 29 ოთხწლიანი შრომის სკოლა, 22 საბავშვო ბაღი, დუშეთის და აბულალის საბავშვო ახალშენების შენობები და ორი ბიბლიოთეკა. სულ სასკოლო შენობების შეკეთებაზე დაიხარჯა 33.497 მანეთი.

საბჭოთა სახლები

უძრავ ქონებათა სამმართველოსთან დაარსდა სარემონტო სექცია. სამმართველოს განკარგულებაში მყოფ საბჭოთა სახლების შეკეთების საქმის ხელმძღვანელობის გასაწევათ. განზრახულია წელს შეკეთებული იქნას ყველა საბჭოთა სახლები.

შვიდწლედის მასწავლებელთა გამოშვება

გორის პედაგოგიურ ტექნიკუმში მეცადინეობა თავდება 7 ივნისს. 8 ივნისიდან ტექნიკუმის ყველა ჯგუფებში დაიწყება გამოსაცდელი კოლოკვიუმები, რომელიც გაგრძელდება 20 ივნისამდე. მიმდინარე წელს გორის პედაგოგიურ ტექნიკუმს ათავებს 23 ახალგაზრდა, რომელთაც მიეცემათ 7 წლედის მასწავლებლთა უფლებები. კურსდამთავრებულთა შორის 12 ქალია.

გლეხური ახალგაზრდობის სკოლები

მომავალი სამოსწავლო წლიდან ეწერის, გორის, უხუთის, ოზნის, ქვემო-სვიმონეთის; ტობანიერის და ნახახულევის (ქუთაისის მაზრა) თემების შვიდწლიანი სასწავლებლები გადაკეთებული იქნება გლეხური ახალგაზრდობის სკოლებად.

საყოველთაო განათლების შემოღებისათვის

საყოველთაო განათლების შემოღებასთან დაკავშირებით, საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაავალა სოც.-კულტურულ სექციას შეიმუშაოს განათლების სახ. კომისარიატთან შეთანხმებით კონკრეტიული ღონისძიებანი საბავშვო მოსახლეობის კონტინგენტის, სასკოლო რადიუსის, სამოსწავლო წლის ფაქტიური ხანგრძლივობის, მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის, სასკოლო წლოვანების, ბავშვთა წლოვანების და ჯანმრთელობის და სკოლაში და სკოლიდან სახლში მიმოსვლის საკითხების მოწესრიგება.

კომუნალური ბანკის განყოფილების გახსნა ქ. ზესტაფონში

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო კომუნალური ბანკის განყოფილების გახსნა ქ. ზესტაფონში.

სას.-სამეურნეო გადასახადის შესახებ

პრეზიდიუმმა მიიღო საბიუჯეტო - საფინანსო სექციის დასკვნა ზოგიერთ სას.-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრ ობიექტების საშემოსავლო ნორმების გადასინჯვის შესახებ.

ტფილისის ალმასკომში

◆ **ტრამვაის მეორე ხაზი სომხის ბაზარში.** დამთავრდა ტრამვაის მეორე ხაზის გაყვანა სომხის ბაზარში. მოძრაობა დაიწყება ამ დღეებში.

◆ **ჭლექის სამდღიური მაზრაში.** ჯანმრთელობის განყოფილების ცნობით, ჩატარდება 10, 11 და 12 ივნისს.

სხვადასხვა

◆ **უპატრონო ბავშვთა მეგობართა საზ-ბის** საერთო საქალაქო კონფერენცია გაიხსნება 10 ივნისს.

◆ **კოოპერატიული განათლება.** ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტთან არსებული კოოპერატიული კურსები დაამთავრა 50 კაცმა.

◆ **საჯარო მოხსენება.** დღეს, სამშაბათს, 7 ივნისს, საღამოს 7½ საათზე, სკოლის გარეშე განათლების სახლში (ჯორჯაძის ქ., № 4) საბიბლიოგრაფიო-საბიბლიოთეკო კაბინეტი გამართავს მორიგ საჯარო მოხსენებას; გ. ბაქრაძე წაიკითხავს: „კორპორაციული პრინციპი ქართულ ანბანურ კატალოგიზაციაში“.

◆ **მბეჭდავთა სექციის უმუშევართა საყურადღებოთ.** მბეჭდავთა კავშირის ც. გამგეობა იტყობინება, რომ ბეჭვდითი სექციის უმუშევართათვის საწევრო წიგნაკების გამოცვლა და მათი ხელახლად რეგისტრაცია იწარმოებს მბეჭდავთა კავშირში ხუთშაბათს, 9 ივნისს, დილის 12—3 საათამდე.

მბეჭდავთა სექციის ყველა უმუშევრებს ევალებათ ამ დროისათვის გამოცხადდენ ც. გამგეობის შენობაში (მუშათა სასახლე, 3-ე სართული, ოთახი № 40—41).

ავტომობილის კატასტროფა

ქუთაისი, 6 ივნისი. წყალტუბოს საკურორტო სამმართველოს ავტომობილი, რომელსაც მგზავრები მოჰყავდა წყალტუბოდან, მუხრუჭის გაფუჭების გამო ასცდა გზას და გადაბრუნდა. მგზავრები და შოფერი მსუბუქად დაშავდენ. შოფერის თანაშემწეს, რომელიც მანქანის ქვეშ მოჰყვა ჩამტვრეული აქვს გვერდი.

ქუთაისში მიღებულია ცნობა, რომ ლეჩხუმის ალმასკომის ავტომობილი, რომელიც ლეჩხუმიდან მოდიოდა, დაიმტვრა. არის კაცის მსხვერპლი. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ არის მიღებული. უბედურ შემთხვევის ადგილას ქუთაისიდან გაემგზავრა გზატკეცილების სამმართველოს კომისია (ადს).

მინერალური წყლების აღმოჩენა ლეჩხუმში

ლეჩხუმის მაზრაში სოფელ ზუბში აღმოჩენილ იქნა მინერალური წყლები, რომლის შემადგენლობაში ქიმიური გამოკვლევით აღმოჩნდა გოგირდმჟავას ჰანგი, რკინა და თაგვის შაქარი. ასეთი შემადგენლობის მინერალური წყალი ერთად ერთია არა მარტო ამიერ-კავკასიაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

თავისი შემადგენლობითა და ღირსებით ეს მინერალური წყაროები ოდნავადაც არ ჩამოუვარდებიან საქვეყნოდ განთქმულ ამავე ხასიათის მინერალურ წყალს „ლევიკოს“ (ავსტრია).

საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს განზრახვა აქვს ფართოდ დააყენოს ამ წყლის ექსპლოატაციის საქმე, მოაწყოს ამ მინერალური წყლის კაპტაჟი და სხვა.

შემთხვევები

დედა, რომელმაც ახალშობილი ბავშვი ფეხისადგილში ჩაფლა

გუშინწინ დავითის ქუჩაზე სახლი № 36-ში, ფეხისადგილში აღმოჩენილი იქნა ახლად დაბადებულ ბავშვის გვამი.

ცნობის მიღების შემდეგ შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელი **ა. მიმინაშვილი** და ოლქის სასამართლოს გამომძიებელი **თაბაგარი.**

გამოძიებით გამოირკვა, რომ აღნიშნული ბავშვი ჩაფლული იქნა ფეხისადგილში მასწავლებელ **ს. თ—ს** მიერ.

ს. თ—ს ქალმა პირველად განაცხადა, რომ ბავშვი მისი არ არის, მაგრამ საქმიო შემოწმების წინ იგი გამოტყდა, რომ ეს დანაშაულება ჩაიდინა მან.

ს. თ—ს ქალი გაემგზავრა საავადმყოფოში. აძლევენ **პასუხისგებაში.**

ორლოვსკის გვამის პოვნა

ამა წლის 12 მარტს დაიკარგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქირურგიული კლინიკის ასისტენტი ექიმი **ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ორლოვსკი** (42 წლისა).

ორლოვსკი კლინიკაში მსახურებდა 1922 წლიდან.

როგორც გამოირკვა, მარტში იგი წასულა ქიათურაში ნაცნობ ექიმ **ხუნდაძესთან,** რომელთანაც გაუტარებია 3—4 დღე. ერთ დღეს, ორლოვსკის უთქვამს ხუნდაძესთვის, რომ ის მიდის წვერის გასაპარსავად და მალე დაბრუნდება. გავიდა ხანი და ორლოვსკი არსად სჩანდა. ძებნამ შედეგი არ გამოიღო.

გუშინ ქიათურიდან მიღებული ცნობით, ორლოვსკის გვამი უპოვნიათ მდ. ყვირილაში სოფ. ზოსლევთან.

დაწვრილებითი ცნობების გასაგებად გუშინ ქიათურაში გაემგზავრა კლინიკის ექიმი **ასლანიშვილი.**

მკვლელობა

ტაბახმელის საშრატე სადგურზე მუშებისათვის ფეხსაცმელების შესაკერავათ მოწვეული იყვნენ ქვერაველები: **გრიგოლ არუთინოვი და ხეჩო კარაპეტიანცი.**

გუშინწინ არუთინოვმა მძინარე კარაპეტიანცს ხანჯლით გამოჭრა ყელი.

მკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია.

არუთინოვი დააპატიმრეს.

თვითმკვლელობა

გუშინ, დილის 11 საათზე, რევოლვერით თავი მოიკლა 20 წლის **ნატალია ოქროპირიძემ** (ბატარეის ქ. 10).

ოქროპირიძემ დასტოვა წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ის თავს იკლავს რომანიულ ნიადაგზე.

◆ **ტრამვაიში ასვლის** დროს ვერის დაღმართთან გიორგი კოლოტაძეს ჯიბიდან ამოაცალეს 99 მ.

◆ **ნაქურდალი ნივთებით** 5 ივნისს დააპატიმრეს ვასო სიმონის ძე ძიმისაშვილი.

◆ **ცეცხლი.** საბურთალოზე მახმედ აჯილოვის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილ იქნა.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 5 ივნისს განოვის ქ. 7 დავით დიმიტრის ძე ბზიავას ბინიდან მოიპარეს 320 მანეთი.

◆ **„ზაკტპო“-ს** ექსპედიტორმა არჩილ დავითაშვილმა განუცხადა მილიციას, რომ მას საბარგო სადგურის შენობაში ჯიბიდან ამოაცალეს 300 მ. სახაზინო ფული.

◆ **მწვანე ბაზარში** სუსანა ბალაიანცს ჯიბიდან ამოაცალეს 38 მ.

◆ **დაჭრა.** ნავთის ქუჩაზე ჩხუბის დროს ამოიკ ჯანგულოვმა დანით მძიმეთ დასჭრა არმენაკ მხითაროვი. დამნაშავე შეიპყრეს.

◆ **ქურდობა.** კარის გატეხის საშუალებით 5 ივნისს თელავის ქ. 38 გაქურდეს გიორგი ავაქოვის ბინა.

საჰკომსაბჭოში

მეტეხის ხიდი

საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს დასკვნის თანახმად, საჰკომსაბჭომ საჭიროდ სცნო მეტეხის ხიდის გორის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაში გადაცემა.

სას.-სამ. ამხანაგობათა თანხების გაძლიერება

საჰკომსაბჭომ მოიწონა სრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს პროექტი დადგენილებისა—სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა და მათი კავშირების ძირითადი და სპეციალური თანხების გასაძლიერებლად სესხის გაღების წესისა და პირობების შესახებ.

მალარიასთან ბრძოლა საახალშენო ადგილებში

საქართველოს საახალშენო ადგილებში მალარიასთან ბრძოლის საქმის ადგილობრივ შესასწავლად და ამ ადგილებში მალარიის წინაღმდეგ საბრძოლველად საჭირო ღონისძიებათა პროექტის შესამუშავებლად საჰკომსაბჭომ საჭიროდ სცნო გაგზავნილ იქნეს ხსენებულ ადგილებში სპეციალისტების კომისია.

სასამართლო

მიწის გაყიდვა

1924 წ. სოფ. ახალსოფლის (თელავის მაზრა) მიწების განმანაწილებელ კომიტეტის წევრებათ არჩეული იქნენ: **იაკობ ცოკიაშვილი** და **მათე ნინოშვილი.** მათ დავალებული ჰქონდათ მიწების განაწილება. მუშაობას ცოკიაშვილი და ნინოშვილი აწარმოებდენ თავიანთი ჯიბის გასასქელებლად. ჩამორთმეულ მიწებს აძლევდენ ისეთ გლეხებს, რომლებიც მათ სასარგებლოდ გადაიხდიდენ 3—4 კოდ ხორბალს და სხვა სანოვაგეს.

მათ მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას სისტემატიური ხასიათი ჰქონდა.

ცოკიაშვილი და ნინოშვილი პასუხისგებაში მისცეს.

გლეხების მოთხოვნით; საქმე ამ დღეებში გაირჩევა ადგილობრივ.

ს. ახვლედიანის და სვანიძის ოინები

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს უფროსმა გამომძიებელმა ამხ. **ს. მესარქიშვილმა** დაასრულა წინასწარი გამოძიება **სოლომონ იასონის ძე ახვლედიანის და ივანე ვასილის ძე სვანიძის საქმეზე.**

მოქ. ახვლედიანი დიდი ხანია, რაც სოციალ. უზრუნველყოფის კომისარიატში მსახურობდა.

პირველ ხანებში ხელმძღვანელობდა სალატარეო კომისიას და ამ კომისიის გაუქმების შემდეგ დაინიშნა საკლუბო კომისიის დირექტორად. მის მოვალეობას შეადგენდა სოც. უზ. კომ. გამგებლობაში მყოფ სათამაშოების („ბული“; „პტიშკო“ და ლოტო) ხელმძღვანელობა. სათამაშოების კონტრაგენტზე გაცემა, ანარიცხების აღება და სხვა საკლუბო კომისია შემოსავლიანი წარმოება იყო და არსებობდა კომისარიატის სათანადო დადგენილების მიხედვით პროცენტულ ანარიცხების საფუძველზე.

მოქ. ახვლედიანის შემოსავალი უდრიდა 450 მანეთს. თვიურ ჯამაგირს ღებულობდა 300 მანეთის რაოდენობით; ხოლო 150 მანეთს ღებულობდა ქალაქში მოგზაურობის ხარჯების სახით, რაზედაც არ ადგენდა სათანადო ანგარიშებს. მიუხედავათ ამისა ახვლედიანი ანგარების მიზნით ეწეოდა კომბინაციებს.

დადიოდა ხმები, რომ ახვლედიანი კომბინაციებს ეწევაო. მოხდა რევიზია; რევიზიით ახვლედიანს გაფლანგული აღმოაჩნდა 5.900 მანეთი. სასჯელის თავიდან ასაცილებლად რევიზიის შემდეგ მან მთლიანად დაფარა დანაკლისი.

შემდეგში გამოაშკარავდა, თუ როგორი ოინებითა და ხრიკებით ეწეოდა ახვლედიანი ბოროტმოქმედების ჩადენას:

1925 წ. პირველ დეკემბერს, გათამაშებული იქნა კომისარიატის მიერ ლატარეა; რომლის მოგებათა გასაცემად ახვლედიანმა იმავე დღეს მიიღო 3.750 მანეთი. ჩვეულებრივი წესის მიხედვით მოგებათა გაცემა უნდა მომხდარიყო სათანადო გასავლის ორდერების გამოწერით—ბუჰხალტერიის წესით, მაგრამ რატომღაც ახვლედიანმა ეს ოპერაცია ჩამოაშორა ბუჰხალტერიას. როგორც თვით ლატარეას ბილეთებზე იყო აღნიშნული, მომგებს უნდა მიეღო მოგება პირველ მარტამდე. რომლის შემდეგ მოგება აღარ გაიცემოდა და ჩაითვლებოდა შეწირულებათ. ამის გამო ახვლედიანს პირველ მარტს უნდა გაეწყვიტებია ანგარიში და წარედგინა ნაშთი მის მიერ მიღებული ფულიდან, მაგრამ მას არავითარი ანგარიში არ წარუდგენია ბუჰხალტერიაში. რა თანხა მისცა ახვლედიანმა მომგებთ და სახელდობრ ვის—ამის გამორკვევა შეუძლებელი შეიქნა, როგორც რევიზიის, ისე წინასწარი გამოძიების დროს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგიერთ მომგებიან ბილეთზე მომგების გვარი აღნიშნული იყო გაურკვევლად. ერთ მომგებიან ბილეთზე, რომლის მიხედვით უნდა გაცემულიყო 100 მანეთი—იყო ხელმოწერილი გაურკვეველი გვარი. როდესაც რევიზია შეუდგა ფულის მიმღების და გაცემულ ფულის რაოდენობის გამორკვევას—მან დახია ბილეთი და ფული შეიტანა კომისარიატში. ამით ახვლედიანმა დაფარა ბოროტმოქმედების კვალი.

გამოძიებით გამოირკვა, რომ ახვლედიანს გაფლანგული აქვს აგრეთვე 762 მანეთი. მან გამომძიებელს განუცხადა, რომ ეს თანხა დახარჯა მოსკოვში მივლინების დროს, მაგრამ ახვლედიანის განცხადება ტყუილი აღმოჩნდა.

ნაცვლად იმისა, რომ გაეტარებია ცხოვრებაში მომჭირნეობის რეჟიმი, მან ხელი მიჰყო ავანსების უთავბოლოდ გაცემას.

ახვლედიანს ბრალდება აგრეთვე ანგარების მიზნით თანამდებობის ბოროტად გამოყენება. იმ დროს, როდესაც მრავალჯერ ეთქვა მას უარი საკუთარ ნივთების ვერცხლის ალეგრაში გათამაშებაზე—ის რაღაც ხრიკებით წინასწარ შეუთანხმდა მოქ. სვანიძეს და გასცა მასზე „იჯარით“ ვერცხლის ალეგრა და ფიქტიური კონტრაგენტის სვანიძის წყალობით გაათამაშა ალეგრაში 400 მანეთის საკუთარი ნივთები. ამ ხაირი გზით აიღო 2.000 მანეთი.

ახვლედიანმა ამგვარი „საქმიანობით“ კომისარიატს მიაყენა 4.610 მანეთის ზარალი.

გამოძიების დროს ახვლედიანმა განაცხადა, რომ კონტრაგენტ სვანიძეს მიღებული აქვს მისგან 2.610 მანეთი, მაგრამ გამოძიებით ეს გარემოება არ დადასტურდა.

გამოირკვა ისიც, რომ სვანიძეს ამ ოპერაციაში ერთი კაპეიკიც არ დაუზანდებია.

ამჟამად ახვლედიანი და სვანიძე პასუხისგებაში არიან მიცემული და ამ ახლო ხანში წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

ხელოვნება

საოპერო საჩვენებელი საღამო

სახელმწიფო კონსერვატორია 11 და 12 ივნისს რუსთაველის თეატრში გამართავს საოპერო კლასის ორ საოპერო-საჩვენებელ წარმოდგენას.

დაიდგმულ იქნება ექვსი ნაწყვეტი შემდეგი ოპერებიდან: „პიკის ქალი“, „ევგენი ონეგინი“, „მეფის საცოლე“, „ფაუსტი“, „სევილიელი დალაქი“ და „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

საოპერო წარმოდგენა ასეთი სახით წელს პირველი ცდაა. და მიზნად ისახავს მოსწავლეთა რაც შეიძლება მეტი ძალების გამოყვანას (18 კაცი, გუნდის გარდა). წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ის მოსწავლეებიც, რომლებიც წელს ათავებენ კონსერვატორიას.

წინასწარი ჩაწერა ბილეთებზე სწარმოებს სახელმწიფო კონსერვატორიის კანცელარიაში.

◆ **სტუდენტების საღამო.** სამშაბათს, 7 ივნისს, სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართება სტუდენტთა უკანასკნელი ღია საღამო.

— **სიმფონიური კონცერტი.** სამშაბათს 7 ივნისს საქ. ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება რუსთაველის თეატრში თბილისის სკოლების მოწაფეთათვის, სახ. არტ. ივანე ფალიაშვილის ხელმძღვანელობით მართავს სიმფონიურ კონცერტს. შესრულებული იქნება ქართვ. კომპოზიტ. ნაწარმოებნი.

იაკობ გოგებაშვილის
გარდაცვალებიდან 15 წ. თავის აღსანიშნავად

ცნობილ პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებიდან 15 წლის თავის აღსანიშნავად შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შედიან: **ამხ. მარ. ორახელაშვილი, არჩილ მიქაძე, კ. ქაცარავა, ალ. მდივანი, დიმ. დუმბაძე, ვარლ. ბურჯანაძე და ივ. გომელაური.**

კომისიამ თავის პირველ სხდომაზე დაადგინა: მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს მთელ რესპუბლიკაში მოეწყოს საღამოები იაკობ გოგებაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად; გამოიცეს წიგნი, სადაც მოთავსებული იქნება ი. გოგებაშვილის ბიოგრაფია და ბიბლიოგრაფია; ჟურ. „განათლების მუშაკი“-ს ერთი ნომერი სავსებით დაეთმობა გოგებაშვილის ხსოვნას.

კომისიის დადგენილებითვე თბილისში დაიდგმება ი. გოგებაშვილის ძეგლი. და სოფ. ვარიანის (გორის მაზრა, სადაც დაიბადა გოგებაშვილი) სკოლა გადაკეთდება სადღე-საჩვენებელ სკოლად და ეწოდება ი. გოგებაშვილის სახელი.

განათლ. მუშაკთა ხელფასი

სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა, რათა მასწავლებლებს ჯამაგირი დაურიგდეს თავის დროზე და ადგილობრივ ხელისუფლების მიერ მასწავლებლებს ჯამაგირი ურიგდებოდეს სამსახურის ადგილზე ყოველ ზედნართი ხარჯების გარეშე (ე. ი. ხელფასის გადაგზავნასთან დაკავშირებული ხარჯები საფოსტო ან მივლინების ხარჯები არავითარ შემთხვევაში არ გადახდეს მასწავლებლებს).

საჰკომსაბჭომ განიხილა ხსენებული საკითხი და საჭიროთ სცნო გაეგზავნოს ყველა სამაზრო აღმასკომებს ცირკულიარული განკარგულება, რათა განათლების მუშაკებს ხელფასი აუცილებლად დაწესებულ ვადაში და სამსახურის ადგილზე ეძლეოდეს; ამასთანავე უნდა განემარტოს სამაზრო აღმასკომებს, რომ ხელფასის ადგილზე გადაგზავნასთან დაკავშირებული ყოველგვარი ხარჯი უნდა დაიფაროს ადგილობრივი სახსრიდან მიმდინარე 26—27 საბიუჯეტო წლის სამაზრო აღმასკომების ბიუჯეტის მე-20 მუხლის მიხედვით, ხოლო მომავალი 1927—28 საბიუჯეტო წლიდან ასეთი ხარჯი უნდა გათვალისწინებულ იქნეს იმავე ბიუჯეტის საოპერაციო ხარჯებით.

წინადადება მიეცა ფინანსთა სახ. კომისარიატს შეიმუშაოს პროექტი დადგენილებისა სამაზრო ცენტრის დაშორებით მომუშავე სხვადასხვა უწყების თანამშრომელთა ხელფასით დაკმაყოფილების წესის შესახებ.

რატომ იპარგებიან ბავშვები

ბავშვების დაკარგვის შემთხვევების შესახებ სისხლის სამართლის მილიციის თანაშემწემ ამხ. **შ. მელაძემ** განაცხადა შემდეგი:

ამ უკანასკნელ ხანებში ბავშვების დაკარგვამ შედარებით ხშირი ხასიათი მიიღო. ამ სამი დღის წინათ, მხოლოდ ერთ დღეს დაიკარგა 5 ბავშვი. გუშინ მივიღეთ 4 განცხადება ბავშვების დაკარგვის შესახებ.

ამ არანორმალური მოვლენის თავიდან ასაცილებლად სისხლის სამართლის მილიციამ მიიღო სათანადო ზომები და ჩაატარა დაწვრილებითი გამოძიება იმის გამოსარკვევად—არის თუ არა ეს მოვლენა გამოწვეული ბოროტი განზრახვით. განსაკუთრებით გვაინტერესებდა ჰქონდა თუ არა ბოროტმოქმედთა მიერ ადგილი ბავშვების გატაცებას.

გამოძიებით გამოირკვა, რომ გატაცებას ადგილი არ ჰქონია. ბავშვები თვით გადიან სახლიდან. ჩვენი თანამშრომლების მიერ შემჩნეული იქნა მთელი რიგი შემთხვევები იმისა, რომ ქუჩებში ჯგუფად შეყრილი ახალგაზრდები სთხზავდენ გეგმებსა და წინასწარ მოლაპარაკებას მართავდენ სახლიდან გაპარვის შესახებ.

მაგრამ ასეთი სახლიდან გაპარვის შემდეგ ისინი სიმშილობენ და დიდ გაჭირვებაში ვარდებიან. ამის გამო გაქცეული ბავშვები იძულებული არიან სახლში დაბრუნდნენ და მართალაც გაპარული ბავშვების დიდი უმრავლესობა უკვე მოვიდა თავიანთ სახლებში.

აღმრდელობითი თვალსაზრისით, ამ არანორმალურ მოვლენას ცუდი შედეგები მოაქვს გაპარული ბავშვებისათვის. სიმშილი და გაჭირვება მათ აიძულებთ კავშირი დაიჭირონ ქურდ-რეციდივისტებთან. უკანასკნელები ეწევიან ბავშვების ექსპლოატაციას და ახელოვნებენ მათ ქურდობაში.

ს. სამართლის მილიცია შეძლების და გვარათ ებრძვის ამ მავნე მოვლენას, მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა შრომის სკოლების ხელმძღვანელების მიერ მოწაფეთა შორის ჩატარებული იქნას კამპანია, რომლითაც მოსწავლეებს უნდა განემარტოს ამ არანორმალობის მავნებლობა მათი მომავალი ცხოვრებისათვის.

გარდა ამისა, თვით მშობლებმაც უნდა იზრუნონ თავიანთ ბავშვებზე და მისცენ მათ სათანადო გაფრთხილება.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 7 ივნისი

დღეს საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

1. წითელარმიელთა რადიო-გაზეთი—ქართულ და რუსულ ენებზე 7—7—20; 2. მებოსტნეობა საქართველოში—ლექცია ქართულ ენაზე 7—20—7—40; 3. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი—სომხურ და თურქულ ენებზე 7—40—8; 4. ტექნიკური კონსულტაცია 8—8—20; 5. ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე 8—20—8—40; 6. კონცერტი ანდა ტრანსლიაცია 8—40—11.

სამკურნალო ტალახის აღმოჩენა

შირაქის ველზე, სიღნაღიდან 12 კილომეტრის დაშორებით აღმოჩენილია ვულკანური წარმოშობის სამკურნალო ტალახის დიდი რაოდენობა. გარეგნული შეხედულებით, აღნიშნული სამკურნალო ტალახი სავსებით მიაგავს ახტალის სამკურნალო ტალახს, ხოლო სპეციალისტების თქმით, იგი ისეთივე ღირსებისაა, როგორც ახტალის ტალახი.

ტალახი მიწის გულიდან ამოდის ზედაპირზე და იღვრება ტბათ. ტალახი რუხი ფერისაა და თბილი.

უკვე შეუდგენ აღნიშნული ტალახის ღირსების შესწავლას.

„მწყემსი“ კურორტებზე

ამ დღეებში, საზოგადოება „მწყემსმა“ დასდო ხელშეკრულება წაღვერის სანატორიუმთან და დასასვენებელ სახლთან მათი უზრუნველყოფის შესახებ სურსათ-სანოვაგითა და რძის პროდუქტებით.

გარდა აღნიშნული დაწესებულებისა „მწყემსი“ საკუთარ სავაჭრო პუნქტებს ხსნის აგრეთვე კურორტის ბაზარზეც. „მწყემსის“ სავაჭროებიდან ყოველგვარი პროდუქტები გაიყიდება მტკიცე ფასებში.

დღემდე კურორტის მთელი ბაზარი ჩაგდებული ჰქონდათ ხელში კერძო ვაჭრებს. „მწყემსის“ მუშაობის პირველ დღეებშივე კერძო ვაჭრებმა უკვე დაიწყეს თავიანთი სავაჭროების დახურვა.

მომავალში „მწყემსს“ განზრახვა აქვს ხელში ჩაიგდოს დანარჩენი კურორტების ბაზრებიც, რის გარშემოც უკვე დაწყებულია მოლაპარაკება.

ექსკურსიები

ბათომში მოეწყო საექსკურსიო ბიურო, რომელიც იმუშავებს პოლიტგანათლების სამმართველოს ხელმძღვანელობით. ბიურო აწყობს საექსკურსიო ბაზას, სადაც ჩამოსული ექსკურსანტები მიიღებენ საწოლს, ადუღებულ წყალს, აბანოს შეღავათიან პირობებში, საექიმო დახმარებას, ბაზა ექსკურსანტებს მიაწვდის აგრეთვე გამყოლებს, რომელიც ექსკურსიებს მისცემენ გეგმაშეწონილ ხასიათს. ყოველ ექსკურსანტს დღე-ღამეში გადახდება ქირად არა უმეტეს 50 კაპიკისა. ექსკურსანტთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად ქალაქის რაიონში გამოყოფილი იქნება აგრეთვე ცალკე სასკოლო შენობები, სადაც ქირა იქნება გაცილებით ნაკლები.

მიმდინარე ზაფხულზე მოსალოდნელია დიდი ძალი ექსკურსიები. საექსკურსიო ბიუროში უკვე შემოსულია განცხადებები ისეთი შორეული კუთხეებიდან, როგორც არის ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი. მაისის განმავლობაში აჭარისტანში მოიარა დაახლოვებით 10-მა ექსკურსიამ, რომელიც ჩამოსული იყვნენ ახლომახლო რაიონებიდან.

წილკანის წყალსადენი

წყალთა მეურნეობის სამმართველომ გადასწყვიტა საჩქაროთ შეუდგეს სოფ. წილკანში წყალსადენის მოწყობას. მთელი წყალსადენის გაყვანა დაჯდება 10.000 მანეთამდე და მისი საშუალებით წყალს მიიღებს 1500 მცხოვრები.

წყალსადენის გასაყვან სამუშაოთა უფროსად დანიშნულია ინჟ. **ა. ჯაფარიძე,** რომლის გადმოცემითაც აღნიშნულ ადგილას უფრო მიზანშეწონილი იქნება თვითდენის სისტემის წყალსადენის მოწყობა. წყალსადენის მოსაწყობათ საჭირო მასალები ნაწილობრივ თბილისში იქნება შეძენილი და ნაწილობრივ ადგილზევე დამზადებენ.

წყალსადენის გასაყვანათ საჭირო წინასწარი მუშაობა უკვე დასრულებულია. წყალთა მეურნეობის სამმართველოს გადაწყვეტილებით მთელი სამუშაოები უნდა დასრულდეს ერთ თვენახევარში. გაზაფხულის მიწურულისთვის მცხოვრებთ მიაწოდებენ წყალს.

ადგილობრივი გლეხების დადგენილებით მიწის სამუშაოები შესრულებულ იქნება მცხოვრებთა მიერ, სავალდებულო ბეგარის სახით.

რკინის გზეზე

ელექტრომოწყობილობისათვის

ა.-კ. რკ. გზის სამმართველომ შეუკვეთა სახელმწიფო ელექტრო ტრესტის თბილისის განყოფილებას სხვადასხვა ელექტრო მასალები თბილისის და ნავთლუღის კვანძების საელექტროფიკაციოთ. მასალები მოხმარდება აღნიშნულ კვანძების ზაჰესის ელდენით განათებას.

წყალსადენი

ა.-კ. რკ. გზის გამგეობამ საქართველოს წყალთა მეურნეობას გადასცა 6.400 მანეთი წყალსადენის მოსაწყობად სოფ. ჩალიუბანში.

მემანქანეთა კურსები

რკინისგზის პროფგანათლების განყოფილებამ გახსნა მემანქანეთა თანაშემწეების კურსები 20 კაცისათვის. პარალელურათ გაიხსნება ახლო ხანში მემანქანეთა კურსებიც 20 კაცისათვის. კურსები ექვსთვიანია.

უმოქმედო ორგანიზაცია

ა.-კ. რკინის გზის გამგეობამ აცნობა საბჭოთა კავშირის სატრანსპორტო საბჭოს, რომ იგი ზედმეტად თვლის საუწყებათაშორისო ეკონომიური თათბირის არსებობას, რადგან მის ფუნქციებს ამჟამად ასრულებს წარმატებით ტვირთზიდვის მომწესრიგებელი ა.-კავკასიის კომიტეტი.

წყლის სპორტი

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება შეუდგა წყლის სადგურის მოწყობას ზაჰესის ტბაზე პროფკავშირების წევრებისათვის.

ქალაქის აღმასკომისაგან შეძენილია საჭირო შენობა; ამჟამად სწარმოებს მისი შეკეთება. ამას გარდა ეწყობა ნავთსადგური და მიღებულია ზომები წყალის გასაწმენდათ.

პროფსაბჭოს უკვე შეძენილი აქვს რამოდენიმე მოტორიანი და ჩვეულებრივი ნავი, რომელთაგან ნაწილი უკვე მიღებულია.

ტბაზე მოწყობილი იქნება ნაოსნობა და ცურვა. სადგურის გახსნა განზრახულია ივნისის ბოლო რიცხვებში.

ახალი სტადიონი

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში შესდგა თათბირი, რომელმაც განიხილა და მიიღო ახალი დიდი სტადიონის პროექტი.

სტადიონი აშენებული იქნება ვაკეზე ყოფ. სემინარიის ახლოს. სტადიონი დაიტევს 6.000 მოვარჯიშეს და 10.000-დე მაყურებელს. მოწყობილი იქნება მოედნები ფეხბურთისა, ტენისისა და სხვა სპორტთამაშობისათვის. მაყურებსისა რბენისა და სხვა სპორტ თამაშობისათვის. მაყურებლებისათვის მოეწყობა ამფითეატრი. სტადიონამდე გაყვანილი იქნება ტრამვაი.

ზოგიერთი მთავარი სამუშაოები დაიწყება მიმდინარე წლიდან. სტადიონის დამთავრება განზრახულია მომავალ წელში.

სტადიონს აშენებს საქართველოს პროფსაბჭო.

განზრახულია ასეთი სტადიონები მოეწყოს სხვა რაიონებშიაც.

ფეხბურთი

„არსენალი“ — „წ. ა. ფ. ს.“

კვირას ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა „არსენალის“ და წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდის კალენდარული შეჯიბრი.

შეჯიბრის ორივე განყოფილებაში ინიციატივა უმეტესად არსენალელების ხელში იყო; ეს უკანასკნელები, თუმცა, ამ დღეს ჩვეულებრივზე სუსტად თამაშობდენ, მაგრამ მაინც ადვილად გაუსწორდენ თავის შედარებით სუსტ მოწინააღმდეგეს.

შეჯიბრი დამთავრდა 5:1 „არსენალის“ სასარგებლოდ.

„დინამო“ საბჭოთა მუშაკები

იმავე დღეს „დინამო“-ს სტადიონზე გაიმართა „დინამო“-ს და საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის გუნდის კალენდარული შეჯიბრი.

თუმცა საბჭოთა მუშაკებს თბილისის უძლიერეს გუნდთან ჰქონდათ საქმე და წინდაწინვე დარწმუნებული იყვნენ თავის დამარცხებაში, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ისინი არ დაბნეულან და ბოლომდი მწყობრად ჩაატარეს თამაში.

გუნდში ყველა ახალგაზრდა მოთამაშეებია. სჩანს, რომ ისინი კარგათ არიან შეწყობილი ერთმანეთთან. თამაშის კლასიც საკმაოდ განვითარებულია.

„დინამომ“ თავიდანვე სწრაფი ტემპით დაიწყო თამაში და პირველ წუთებშივე ორი გოლით გაუმასპინძლდა თავის ახალგაზრდა მოწინააღმდეგეს. თამაში უმეტესად საბჭოთა მუშაკების კარებთან სწარმოებდა. იყო შემთხვევები, როდესაც ეს უკანასკნელებიც უახლოვდებოდენ დინამოს ჭიშკარს. მაგრამ დინამოს მცველები გასაქანს არ აძლევდენ მათ ფორვარდებს.

ტაიმის ბოლომდე დინამოელებმა კიდევ ორი ბურთი გაატარეს საბჭოთა მუშაკების ბადეში და თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 4:0.

მეორე ტაიმში დინამოელებს არ შეუწყვეტიათ იერიშები. შეჯიბრის ბოლომდე მათ კიდევ 4 ბურთი გაიტანეს და, ამრიგათ, თამაში დამთავრდა 8:0 „დინამო“-ს სასარგებლოდ.

დინამოს მხრიდან თამაშობდენ: დ. ცომაია, ფოჩხუა. ბლანკმანი, იმნაძე. ანიკინი, ფეოდოროვი, კოიავა, გუნია, ან. ჟორდანია, ვლ. ცომაია და ქებაძე.

შეჯიბრს სჯიდა ამხ. კრავჩენკო.

ვ-ნი.

საექიმო-სამეც. ექსპედიცია
აჭარისტანში

აჭარისტანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დავალებით მიმდინარე წლის ზაფხულზე ხულოს და ქედის მაზრებში მიემგზავრება სპეციალური საექიმო სამეცნიერო ექსპედიცია ამ ადგილებში გავრცელებულ ჩიყვის ავადმყოფობის შესასწავლად. ექსპედიციის ხელმძღვანელად მოწვეულია ჩიყვის სნეულების სპეციალისტი ექ. ი. ასლანიშვილი. გასული წლის ზაფხულზე ექსპედიცია ამავე მიზნით მუშაობას აწარმოებდა სვანეთში, სადაც დაგროვილ იქნა დიდძალი მასალები ამ ავადმყოფობის შესასწავლად. აჭარისტანში გასამგზავრებელ ექსპედიციაში შედიან იგივე სპეციალისტები, რომელნიც იყვნენ სვანეთის ექსპედიციაში.

მასიური ექსკურსია
ზაჰესში

კვირას, 5 ივნისს, ფეიქართა, მედსანშრომის და მბეჭდავთა პროფკავშირებმა მოაწყვეს თავიანთი წევრების მასიური ექსკურსია ზაჰესში; ექსკურსიაში სამივე კავშირიდან მონაწილეობა მიიღო 1.200-მა კაცმა.

ექსკურსანტებს ამიერ-კავკასიის რკინისგზების სამმართველომ დაუთმო სპეციალური მატარებელი.

ექსკურსანტებმა ზაჰესში დაათვალიერეს ვენათხარი, მთავარი ჯებირი, ტბა, სხვადასხვა სახელოსნოები და საგენერატორო სადგური. მათ ახსნა - განმარტებას აძლევდენ ზაჰესის სპეციალისტები.

ექსკურსიის საქმიანი ნაწილის დამთავრების შემდეგ დაიწყო საერთო სეირნობა და სხვადასხვა წრეების გამოსვლა. ექსკურსანტებს თან ახლდა რამოდენიმე ორკესტრი.

ზაჰესიდან ექსკურსანტების ნაწილი ფეხით წავიდა მცხეთაში, სადაც დაათვალიერა საპავშო კოლონია (ყოფ. დასასვენებელი სახლები).

მეცნიერება და ტექნიკა

ახალი უზარმაზარი გიდრო-პლანი

თანამედროვე ავია - ტექნიკოსების ლტოლვამ აეროპლანების ზომის გადიდებისაკენ განსაკუთრებით გარკვეული გამოხატულება ჰპოვა ახალი უზარმაზარი გიდრო - აეროპლანის პროექტში, რომელიც გერმანიაში შეადგინეს. გერმანელმა კონსტრუქტორებმა, რომლებიც საერთოდ ცნობილი არიან დიდი ზომის საფრენი აპარატების პროექტებით, ამ შემთხვევაში გადასწყვიტეს ახალი საფრენი აპარატის სიდიდით გააოცონ მთელი მსოფლიო. კონსტრუქტორ კლაშტის მიერ შედგენილი პროექტი უზარმაზარი გიდრო - აეროპლანისა უსათუოდ გახმაურებას გამოიწვევს თავისი გრანდიოზულობით. გიდრო - აეროპლანი დანიშნულია საფრენათ ჰამბურგ - ნიუ-იორკის ხაზზე. გადაფრენას ამ ორ პუნქტს შორის მოუნდება ერთი დღე-ღამე, ნაცვლად ოთხი დღისა სწრაფმავალი გემით.



გიდრო - აეროპლანს აქვს სამი ნავი. თითოეული ნავის წყალწყვა უდრის 180 ტონას. ორ (კიდის) ნავში ათავსებენ ფოსტასა და სამარაგო ნაწილებს. შუა ნავში — დამხმარე მოტორს, რადიო - სადგურს და ტელეფონის სადგურს. ოთახები, რომლებიც გიდროპლანის ფრთაშია მოთავსებული, იტევენ 180 მგზავრს.

გიდროპლანზე დადგმულია 5 მოტორი, რომელთა სიმძლავრე 15.000 ცხ. ძალას უდრის.

გიდროპლანის ფრთების სიგრძე უდრის 140 მეტრს, კორპუსის სიგრძე — 46 მეტრს, სიმაღლე — 17 მეტრს, წმინდა წონა — 94.000 კილოგრამს (940 ფუთს), საწვავი მასალა—30 საათის ფრენისათვის — 80000 კილოგრამი, წონა სრული დატვირთვით — 194.000 (1.940 ფუთს), ფრენის სისწრაფე: .4500 მეტრის სიმაღლეზე—260—300 კილომეტრს საათში.

პროექტის ავტორის განცხადებით, ასეთი გიდროპლანის აგება სიძნელეს არ წარმოადგენს. მთელი აპარატის (მოტორებით) დამზადებას დასჭირდება 2-3 წელიწადი და დაჯდება 2.500.000 მანეთი. ამ თანხის შეგროვებას პლანკი ნებაყოფლობითი შემოწირულებათა სახით აპირობს.

პარტიული კალენდარი

ოთხშაბათს, 8 ივნისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალური კლუბის (პლეხანოვის პროს. № 123) შენობაში **მოწვეულია ქალაქისა და სოფლის კავშირის თბილისის საზოგადოების მეორე საერთო - საქალაქო კონფერენცია.**

კონფერენციის დღის წესრიგი:

1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ; 2) წლიური მუშაობის შედეგები და ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების მორიგი ამოცანები **(ასრიბეკოვი)**; 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება **(მაისურაძე)**; 4) შინასაუწყებო მუშაობა **(ნ. მახარაძე)** და 5) არჩევნები.

მანდატები და სტუმრების ბილეთები მიღებულ უნდა იქნას ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების უჯრედებში.

— თბილისის სახელ. უნივ. პოლიტეხნიკური ფაკულტეტის გაერთიანებული პროფკომი დღეს 7 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ქიმიის აუდიტორიაში **იწვევს სტუდენტთა საერთო კრებას. დღის** წესრიგი:

1. პოლიტექნ. ფაკ. დეკანის პროფ. მუსხელიშვილის მოხსენება.

— საქ. კომპარტიის ცენტრ. საკონტრ. კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ივანე კაპანაძეს, ანდრო ბუციკოვს და ალექსი ლოგინოვს (ტრამვაიდან), რომ დღეს, 7 ივნისს, დილის 8 საათზე გამოცხადდენ ცენტრ. საკონტრ. კომისიაში (რუსთაველის პრ. 24, მესამე სართული, ოთახი 12).

— სახ. უნივ. პოლიტეხნიკური ფაკულტეტის ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო იტყობინება თავის უჯრედის წევრების და კანდიდატების საყურადღებოთ. რომ დღეს, 7 ივნისს, საღამოს 6 საათზე კომუჯრედის ოთახში შესდგება უჯრედის კრება. დასწრება სავალდებულოა.

ნორჩ - პიონერთა თბილისის ბიურო იტყობინება, რომ სამშაბათს, 7 ივნისს, საღამოს 8 საათზე განათლების მუშაკთა სახლის შენობაში **შესდგება პედაგოგთა წრის მორიგი მეცადინეობა ბავშვთა კომმოძრაობის შესასწავლად.**

საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ 6-დან 10 ივნისამდე თბილისის კომიტეტში სწარმოებს უმაღლეს სასწავლებლებში საკონკურსო გამოცდებისათვის მოსამზადებელ კურსებზე ჩაწერა იმ კომკავშირელებისა, რომელნიც წელს ათავებენ ცხრაწლედს.

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი მშობლები: მამა ნიკოლოზ ლუარსაბისძე, დედა ნინა ბაგრატის ასული დგებუაძეები თავის ძმის შვილი ტატიანათი, ბიძა ვალოდია და ბიცოლა პასიკო დგებუაძეები თავის შვილებით, მამიდები მარგარიტა და მისი მეუღლე ამბაკო ნადარეიშვილი, ელენე ჭავჭანიძისა შვილებით, მამიდაშვილი ნადეჟდა და მისი მეუღლე ალექსანდრე თურქია, მამიდაშვილი ალექსანდრე ხობელია აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათთვის უსაყვარლესი და დაუვიწყარი

თამარა ნიკოლოზის ასული
დგებუაძის

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. გამოსვენება სამშაბათს 7 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე მთავარ საავადმყოფოდან. დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე. 1—1 1286

ღრმა მწუხარებაში მყოფნი შვილები: თამარი, ნადია, მარიამი და ოლღა, სიძეები: აკაკი მებუკე, გრიგოლ ზურუბაია და შალვა ლორთქიფანიძე შვილის შვილებით თინა, გოგი, ელენე, შოთა და ნათლული ელენე აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 5 ივნისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ხონში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და ტკბილი დედა, სიდედრი და ბებია

ნატალია ბექანის ასული
პილაევასი

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 1—1 2947

ღრმად დამწუხრებული შვილი ოლღა და მეუღლე მისი ნიკო კობახიძე აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 5 ივნისს, გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

პელაგია იოსების ასული
თედეშვილი

გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 7 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე, საკუთარ ბინიდან ცხემის ქ. (ყ. არკადის) № 9, დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. 2944

თავზარდაცემული მშობლები გაბრიელ საკელის-ძე და ელენე სტეფანეს ასული, დები ნადო და ნინო გოგავები; ბიძები: იოსებ სტეფანეს-ძე ოჯახობით და დავით გრიგოლის-ძე, ბიცოლა მარიამ სამსონის ასული, ბიძაშვილები მიშა და შალიკო და დეიდები ეკატერინე და ნინო გრიგოლის ასული ლობჟანიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასის და დედმამის ერთადერთი ვაჟის

ალექსანდრე (ბიჭი) გაბრიელის-ძე
გოგავას.

ტრაღიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება სამშაბათს, 7 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე საკუთარ ბინიდან (სტავროპოლის ქუჩა №, 20), დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2945

ამ დღეებში გაიხსნება საზაფხულო
კინო-თეატრები

აპოლო
ბაღში „არტო“

დარბაზი
ბაღში, პლეხანოვის № 91

ეთერი
სახოპერის ბაღში

სახსამხკინოს საუკეთესო სურათი

მისი უდიდესებულების სოლისტკა
(ყ. საიმპერატ. თეატრების ბალეტის სკოლის, კულისების და სცენის ცხოვრება)

მთავარ როლებში:
ნიკოლოზ მეორე—სტეპან კუზნეცოვი
მატილდა—ვ. კუინჯი.
ზუბოვა—ო. კნიპერი-ჩეხოვისა.
დიდი მთავარი სერგეი მიხეილის-ძე—ა. გეიროტი და სხვა.

თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს. ნ. 1289 1—1

მედსანშრომის
მუშაკთა საზაფხულო
კლუბი
(ყოფ. ბაღი სტელა, სოლოლაკის 15)
2950 1—1

სამშაბათს, 7 ივნისს და ოთხშაბათს, 8 ივნისს
ორი მორიგი
სიმფონიური კონცერტი
1-ელ შრომის კოლექტივისა, რომელიც შესდგება საოპერო ორკესტრის 50 მსახიობისაგან, მოსკოვის თეატრების დირიჟორის **ანატოლ კარდაშევის** ხელმძღვანელობით. ამ კლუბში კონცერტები იმართება ყოველკვირა; სამშაბათობით, ოთხშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. დაწვრილებითი პროგრამა აფიშებში. დასაწ. საღ. 9 საათ.

აპოლო
ტელ. 7—61.
არფასტო
ტელ. № 19—22.
სოლეი
ტელ. 20—44.
დარბაზი
ტელ. 14—03.
0—20 ნ. 1094

ახალი ამერიკული სურათი
„ბ ა რ ი ყ უ ლ ი ბ ე მ ი“
ჟენი ჯიუგოს მონაწილეობით.

კონვეი ტირლი და ელენ გამერშტეინი
საუკეთესო სურათში
„ქ ა ლ ი ბ უ რ უ ს ი დ ა ნ“

მეორე კვირა გრძელდება
„ს ა მ თ ა ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი“
რეჟ. ა. რომმი. ბავშვები არ დაიშვება.

პირველად თბილისში
„ჯ ი მ ი ს ც ი რ კ ი“
პროგრამის გარეშე „კაზოარი და ავაზაკები“

ა ნ ო ნ ს ი: მალე საუკეთესო სურათი: „მისი უდიდესებულობის სოლისტკა“.

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო მომხმარებელთა საზოგადოება
„ზ ა კ ტ პ ო“
ამით აცხადებს, რომ
აბასთუმანში წაღვერში
გაიცემა **იჯარით**
სასადილო-სასადილოს და სამზარეულოს
უოველივე ავეჯით და მოწყობილობით.
მსურველთ უნდა შემოიტანონ წერილობითი განცხადებები დახურულ პაკეტებში. განცხადებები განხილულ იქნება, 9 ივნისს ა. წ. დღის 2 საათზე.
გამგეობა.
(„ზაკტპო“—პლეხანოვის პრ. № 138). 9012

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი
ბ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

სახელმწიფო ელექტრონის ტრესტი „გ ე ტ“ (ГЭТ)
იუწყება, რომ ელექტრონის ლამპები ტრესტის საქარხნო ფასებში
იყიდება მუშკოოპის მაღაზიებში:
1) ცენტრალური მაღაზია, ქორესის ქუჩ. და პლეხანოვის პროსპ. კუთხე.
2) სადგურის პასაჟი საბარგო სადგურის პირდაპირ.
3) მაღაზია № 7, შაუმიანის მოედანი (კახეთის მოედანი, ავლაბარი).
4) მაღაზია № 9, თავისუფლების მოედანი, ქალაქის აღმასკომის შენობის ქვეშ.
5) მაღაზია № 27, თათრის მოედანი (დახურული რკინის რიგები).
6) მაღაზია № 38, რუსთაველის პრ. (ყოფ. გოლოვინის პრ. № 40).
7) მაღაზია № 1, ლენინის ქ. № 3, (ყოფ. ზემელის აფთიაქის პირდაპირ). ნ. 1286

კვირას, 19 ივნისს, დილის 10 საათიდან შესდგება
საჯარო ვაჭრობა
მსუბუქი ავტომობილების გასასყიდად:
ბათომში—№ დივიზიის შტაბი (რუსთაველის ქუჩა), თბილისში—საწყობში № 110 (არსენალის მთა). **იმავე დღეს 13 საათიდან** საწყობში № 2, მოხდება ვაჭრობა აბუნიციის, სხვადასხვა საგნების (разная подделка) და სხვ. ქონების გასასყიდად. ნ. 1287

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია
ამით აცხადებს, რომ ის 10 ივნისს 1927 წლ., დღის 1-ლ საათზე არაგვის ქუჩის შესახვ. № 21, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ქვიტკირის ორსართულიან სახლს, რომელიც ეკუთვნის მოქ. სოლომონ ვარდი-ოღლს. აღნიშნული სახლი შესდგება თორმეტი ოთახისაგან, ორი სამზარეულო და ორი სარდაფისაგან, დახურულია კრამიტით, შეფასებულია 5.250 მანეთად მოქ. პეტრე სოლონჩენკოს ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბილისის შრომის სასამართლოს ა.წ. 17 თებ. № 530 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.
საჯარო ვაჭრობა მოხდება, თანახმად სამ. საპ. კოდექსის 311—312 მუხლების დაცვით. ნ. 1288

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ეგლის მახლობლად. 25—21

სურამ-ბორჯომის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
ი. ქურდევანიძე
ამით აცხადებს, რომ ს. წაღვერში 16 ივნისს 1927 წ. დილით 10 საათიდან **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება ერთ სართულიანი ქვიტკირის შენობა ორი განყოფილებით, ხოლო ზედა სართული ხისა, რომელიც ეკუთვნის წაღვერის აღმასკომს, ქვედა კი ქვიტკირის ყველა თავის მოწყობილებით—წაღვერის გლეხკომს ა.-კ. რკ. გზათა ტყის დამმუშავებელთა განყოფილების 376 მ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ბორჯომის უბ. სახ. სასამარ. აღმასრულებელი ფურცლისა № 1531. მყიდველებმა უნდა დაიცვან სამ. სამარ. საპრ. კოდ. 311, 312, 313, 314 მუხ. 2949

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
სხივლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

დავკარგე პირადობის მოწმობა № 648, მიღებული გაზ. „კომუნისტი„ს მთავარ კანტორიდან—შალვა მანჯავიძის სახელზე, ჩ. გ. 2947

დავკარგე უვადო პირადობის მოწმობა № 400 —დიმიტრი ალექსის-ძე კოპაძის სახელზე, ჩ. გ. 2943

დავკარგე უვადო პასპორტი, პარტიული წიგნაკი № 0861918, სამსახურის პირადობის მოწმობა, მუშკოოპის საწევრო წიგნაკი,—არსენ გიორგის-ძე კიზირიას სახელზე, ჩ. გ. 2946.

დავკარგე დამზღვევი წიგნაკი № 1652,—ივანე ფარსადანის-ძე ლომიძის სახელზე, ჩ. გ. № 2948

დავკარგე პირადობის მოწმობა ალექსანდრა ტარასენკოს სახელზე, ჩ. გ. 2957

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.